DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Javakhishvili, A. / ჯავახიშვილი, ა. / Джавахишвили, А.И.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები ტომი IV / Археологические Експедиции государственного музея грузии том IV
- Publication Date: 1975
- Publisher: Georgian National Museum, Georgian Academy Of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_a121c510c3

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

## Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

IVE
2841(4)



# საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

# არქეოლოგიური ექსპედიციები

# IV

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ им. С. Н. ДЖАНАШИА

# АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

## IV

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1975

IVE
2841

# საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები

## IV

17982

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1975

ბიბლიოთეკა

902.6(C41)
069(47.922):902.6
ს 323

კრებულში მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1972—1973 წწ. ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები.

В сборнике помещены отчеты археологических экспедиций Государственного Музея Грузии за 1972—1973 гг.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი:
ა ლ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

ს $\frac{10602}{M\ 607(03)-75}$ 196—75 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1975

დ. თუშაბრამიშვილი

# ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972—1973 წლებში ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითად მიზანს 1972—1973 წლებში შეადგენდა საქართველოში პალეოლითელი ადამიანის წარმოშობის და განსახლების საკითხის შესწავლა. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად ექსპედიციამ გააგრძელა სტაციონალური გათხრები ძუძუანის მღვიმეში[1] და ჩაატარა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჭიათურისა და საჩხერის რაიონების ტერიტორიაზე[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპედიციის ერთ-ერთ ძირითად მიზანს შეადგენდა ძუძუანის მღვიმეში სტაციონალური გათხრების გაგრძელება. 1972—1973 წლებში მღვიმის წინა ფართობზე (მღვიმის შესასვლელის მარცხენა ნაწილში) კლდოვან იატაკამდის გაითხარა ხ—ჲ 4—4 კვადრატები და ხ—ჲ 5—5 კვადრატები მე-7 ფენამდე. გარდა ამისა, დავამტვრიეთ ღ—ჲ 2—2 4—4 კვადრატების ფარგლებში მდებარე უზარმაზარი კირქვის ლოდები და მთლიანად გავწმინდეთ ლოდების ქვეშ მდებარე მე-7 და მე-8 კულტურული ფენები.

1972—1973 წლებში გაკეთდა ორი განივი ჭრილი (ხ—ჲ 5—5 და 6—6 კვადრატების დასაწყისში). შესაბამისად, გაგრძელდა გრძივი ჭრილი ჲ—ჲ კვად-

---

[1] ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის წინა წლების ანგარიშები; იხ. დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, ტ. I, თბილისი, 1969; მისივე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1968—1969 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. II, თბილისი, 1971; დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წლების ძირითადი შედეგები. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. III, თბილისი, 1973.

[2] საანგარიშო პერიოდში ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: დ. თუშაბრამიშვილი — ხელმძღვანელი (1972—1973 წწ.), მ. კეცხოველი, ხელმძღვანელის მოადგილე (1972—73 წწ.); რ. ბახტაძე, უფრ. მეცნ. თანამშრომელი; უმც. მეცნ. თანამშრომლები: ლ. ჭორჭიკაშვილი (1972—1973 წწ.), ც. დავლიანიძე (1972 წ.), ლ. ფანცხავა (1972 წ.); მხატვარი გ. ჯიქურიშვილი (1972—73 წწ.), ლაბორანტი ქ. დვალი (1972—73 წწ.); არქიტექტორები გ. მანაგაძე (1972 წ.) და ჯ. ხუციშვილი (1973 წ.); მუზეუმის ავტომანქანის მძღოლი თ. ამოევი (1972—73 წწ.) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი, ამჟამად განყოფილების უმცრ. მეცნ. თანამშრომელი თ. მეშველიანი (1972—1973 წლებში).

რატების დასასრულის გასწვრივ მღვიმის ცენტრალური ღერძის პარალელურად. 1972 და 1973 წლებში მიღებული განივი სტრატიგრაფიული ჭრილები ერთმანეთის მსგავსია როგორც ფენათა რაოდენობითა და თანამიმდევრობით, ისე სტრუქტურული თვალსაზრისითაც. განსხვავება შეიმჩნევა მხოლოდ ფენათა სიმძლავრესა და მათი ზედაპირების კონფიგურაციაში.

განვიხილოთ 1972 წ. გაკეთებული 5—5 კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი, ვინაიდან 1973 წ. 6—6 კვადრატების დასაწყისში გაკეთებული სტრატიგრაფიული ჭრილი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ბოლომდე არ არის მიყვანილი. b—g 5—5 კვადრატების (იხ. სურ. 1) განივ ჭრილში სულ ფიქსირებულია 8 ძირითადი ფენა (ნაკერალი შრისა და ჩართული ფენის — $4^a$ გამოკლებით), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლითოლოგიური თვალსაზრისით, სიმძლავრით და გავრცობის ხასიათით. ეს ფენებია:

1. ჰუმუსოვანი ფენა, ღორღისა და წვრილი ლოდების ჩანართებით: ადრეული ბრინჯაოს ხანის მასალების შემცველი. ფენის სიმძლავრე c—5 კვადრატის დასაწყისში (მღვიმის მარცხენა კედელთან) 75 სმ-ია, e—5 კვადრატის შუა ნაწილში — 5 სმ, ხოლო g—5 კვ. ბოლოს — 45 სმ. როგორც ჩანს, d—f და ნაწილობრივ g კვადრატებში პირველი ფენის ზედა ჰორიზონტი გადარეცხილია.

2. მოყავისფრო-მონაცრისფრო თიხნარი, პალეოლითური I ფენა, b—5 კვ. ბოლოს (მღვიმის კედელთან) აღნიშნული ფენის სიმძლავრე 10 სმ-ია, შემდეგში მისი სისქე მატულობს და e—5 კვადრატის შუა ნაწილში 65 სმ აღწევს. ხოლო g—5 კვ. ბოლოში 70 სმ-ია.

3. შლადი ღორღის, ქვიშის, მარგანეცისა და თიხის შემცველი ფენა. პალეოლითური ნაშთების შემცველი II ფენა. სიმძლავრე b—5 კვ. შუა ნაწილში 25 სმ-ია, e—5 კვ. შუა ნაწილში — 45 სმ, ხოლო g—5 კვ. ბოლოს — 30 სმ.

4. მუქი მონაცრისფრო-მოყავისფრო თიხნარის ფენა, ქვიშისა და ღორღის ჩანართებით. პალეოლითური III ფენა. აღნიშნული ფენის სიმძლავრე ზემოთ დასახელებულ კვადრატების მონაკვეთებში შემდეგია: 10, 20 და 60 სმ (მე-$4^a$ ჩართულ ფენასთან ერთად, რომელიც მხოლოდ f—g კვადრატებში და გრძივ ჭრილშია წარმოდგენილი).

$4^a$ ფენა. თიხნარი, შლადი ღორღისა და მარგანეცის ჩანართებით. საშუალოდ 20 სმ სიმძლავრის. პალეოლითური ნაშთების შემცველი.

5. თიხნარი, მარგანეცის, ქვიშის და შლადი ღორღის მინარევით. პალეოლითური IV ფენა. შესაბამისად 65, 55, 40 სმ სიმძლავრის.

6. მუქი მოყავისფრო-მონაცრისფრო თიხნარის ფენა, ქვედა ჰორიზონტში ერთგვაროვანი ქვიშის მცირე მინარევით. პალეოლითური ნაშთების შემცველი. შესაბამისად 55, 45, 60 სმ სიმძლავრის.

7. ნაკერალი შრე. მრავლად შეიცავს წვრილ ღორღს, კაჟის ქვის ანატკეც იარაღებს და ცხოველთა დამწვარ ძვლებს. b—5 კვ. შუა ნაწილში ნაკერალი შრის სიმძლავრე 20 სმ-ია, e—5 კვ. შუა ნაწილში 10—15 სმ, ხოლო g—5 კვადრატის ბოლოს აღარაა წარმოდგენილი.

7. მოშავო-მოყავისფრო თიხნარის ფენა. VI პალეოლითური ფენა. იწყება c—5 კვ. დასაწყისიდან. აქ მისი სისქე 5 სმ-ია, e—5 კვ. შუა ნაწილში — 55 სმ. ხოლო g—5 კვ. ბოლოს 45 სმ.

8. ღია მოყავისფრო-მოყვითალო წებოვანი თიხნარი, ქვიშის მინარევია-

ნი ფენა. ზედა ჰორიზონტში პალეოლითური ნაშთების შემცველი. შესაბამისად 10, 30, 15 სმ სიმძლავრის.

სტერილური შრე ფენებს შორის არსად არ შეიმჩნევა.

ამგვარად, ხ—ჲ 5—5 კვადრატების განივ ჭრილში ფენების საერთო სიმძლავრე ასეთია: ხ—5 კვ. ბოლოს — 2,70—2,75 მ, ე—5 კვ. შუა ნაწილში — 3,30—3,35 მ, ხოლო ჲ—5 კვ. დასასრულს — 3,60—3,65 მ. როგორც მოტანილი განაზომებიდან, ისე განივი ჭრილიდანაც (სურ. 1) ნათლად ჩანს, რომ ფენების საერთო სიმძლავრე ყველგან ერთნაირი არ არის, სხვაობა ჭრილის დასაწყისისა და დასასრულის სიმძლავრეთა შორის თითქმის ერთი მეტრია (95 სმ), რაც გამოწვეულია მღვიმის კლდოვანი იატაკის მნიშვნელოვანი დახრილობით „ცენტრალური ღერძისაკენ". ამასთან შესაბამისად რამდენადმე დახრილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ზემოთ აღწერილი ერთმანეთისაგან ლითოლოგიურად განსხვავებული ფენებიც. შეიმჩნევა აგრეთვე ფენათა ზედა და ქვედა ჰორიზონტების მნიშვნელოვანი უსწორმასწორობა, რაც გამოწვეული უნდა იყოს არა მარტო მღვიმის კლდოვანი იატაკის კონფიგურაციით, არამედ, შესაძლებელია, ფენათა ზედა ჰორიზონტების გადარეცხვითაც.

1972—1973 წლებში ძუძუანის მღვიმის I ფენაში, რომელიც შეიცავს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ინვენტარს, ქვის მასალა შედარებით მცირე აღმოჩნდა როგორც რაოდენობრივი, ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისით. 561 ც. კაჟის ქვის ნივთიდან 28 ც. ნუკლეუსია; 59 ც. — ანამტვრევი, 270 ც. ჩვეულებრივი ანატკეცია, ხოლო 47 ც. წვრილი და ქერცლისებური. ფენაში აღმოჩნდა 118 ლამელა, აქედან 25 მიკროლითურია; რეტუშირებული ლამელები და ანატკეცები 3 ც-ია. იარაღები სულ 39 ერთეულის სახითაა წარმოდგენილი, აქედან 29 ც. სხვადსხვა ტიპის საფხეკია, 4 ც. საჭრისი, 3 ც. ზურგდაბლაგვული დანა, თითო ცალია სახვრეტი, სათლელისებური იარაღი და ისრისპირი[3]. რიყის ქვისაგან დამზადებული იარაღები სულ 8 ცალია, ყველა სხვადასხვა ტიპის სათლელისებური და სატეხისებური იარაღია. აღმოჩენილია აგრეთვე თიხის ჭურჭლების 568 ფრაგმენტი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის ბრტყელძირა, მუცელგამობერილ, ოდნავ პირგადაშლილ ჭურჭლებს. თიხის ჭურჭლების ნატეხების ნაწილს ზედაპირზე ეტყობა წითლად შეღებვის კვალი. გვხვდება ე. წ. „იმპორტული" კერამიკის ფრაგმენტებიც. რიგი ჭურჭელი შემკული ყოფილა მეჭეჭიანი და ჭდეული ორნამენტით. გაცილებით მეტია სადა, შეუღებავი, გაუპრიალებელი ზედაპირიანი ნატეხები, რომელთა შორის გვხვდება სქელკეციანი და ტლანქად ნაძერწი[4]. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძუძუანის მღვიმის I ფენაში საანგარიშო წელს მოპოვებული ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მასალა არაფრით არ განსხვავდება წინა წლებში მოპოვებულისაგან.

როგორც ზემოთ, სტრატიგრაფიული ჭრილის დახასიათებისას აღვნიშნეთ, II—VIII ფენები პალეოლითური ნაშთების შემცველია. 1972—1973 წლებში თითოეულ ფენაში მოპოვებულ მასალას ცალ-ცალკე უკეთდებოდა ფიქსაცია, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში მასალა განხილული იქნება ცალკეული ფენების მიხედვით.

---

[3] როგორც წინა წლების ანგარიშებშიც გვქონდა, აღნიშნული კაჟის ქვის ნაწარმის დიდი ნაწილი (მათ შორის იარაღებიც) I ფენაში მოხვედრილია II (პალეოლითური) ფენიდან.

[4] ძუძუანის მღვიმის I ფენის მასალებს სწავლობს საქ. სახ. მუზეუმის, უმცრ. მეცნ. თანამშრომელი ლ. ქორქიკაშვილი.

I პალეოლითურ ფენაში (სტრატიგრაფიული ჭრილის მიხედვით რიგით II ფენაში) 1972—1973 წლებში სულ მოპოვებული იქნა კაჟის ქვის 557 ნივთი, აქედან 19 ც. სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსია, რაც მთელი მასალის 4,79% შეადგენს[5]. ჩვეულებრივი ლამელა 107 ც-ია (27,6%), ხოლო მიკროლითური — 19 ც. (4,39)[6]. I პალეოლითურ ფენაში სულ აღმოჩნდა სხვადასხვა ტიპის 61 ც. იარაღი, რაც მთელი მასალის 15,76% შეადგენს. იარაღებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია საფხეკ-სახოკები — 24 ც. — 39,83%. საჭრისები მცირეა — (6 ც.) — 9,83%; ასევე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი გრავეტის ტიპის დანები და ზურგდაბლაგვული მიკროლამელები — 2 ც. — 3,27%.

II პალეოლითურ ფენაში სულ აღმოჩნდა 595 ნივთი. აღნიშნული რიცხვიდან 13 ც. სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსია, რაც მთელი მასალის 3,17% შეადგენს. ლამელები საკმაოდ მრავალრიცხოვანია (118 ც.) და შეადგენს 29,72%. მიკროლამელები 44 ცალია — 11,08%. II ფენიდან სულ 42 იარაღია, რაც შეადგენს 10, 58%-ს. იარაღების აღნიშნული რიცხვიდან 6 ც. რეტუშირებული მიკროლამელაა — 14,2%, რეტუშირებული ლამელა — 3 ც. — 7,1%. საფხეკ-სახოკები 12 ცალია — 28,5%, საჭრისები 9 ც. (23,8%). დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი გრავეტის ტიპის დანები და ზურგდაბლაგვული მიკროლამელები (8 ც.),რაც იარაღების საერთო რაოდენობის 19,04% შეადგენს.

III პალეოლითურ ფენაში უფრო მრავლად აღმოჩნდა ქვის მასალა (1113 ც.), ვიდრე ზედა ორში. აღნიშნული რიცხვიდან 36 ც. სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსებია, რაც მთელი მასალის 4,24% შეადგენს. ლამელები 258 ც. — 31,73%, მიკროლამელები — 76 ც. — 9,34%. ყველა სახის იარაღი 101 ც., რაც მთელი მასალის 12,43% უდრის. იარაღებს შორის 13 რეტუშირებული ლამელაა (12,86%), 17 ც. რეტუშირებული მიკროლამელა (16,53%), 26 ც. საფხეკ-სახოკი (25,74%). საჭრისი 20 ცალია (19,8%), ერთ ცალი შალაშინია. II ფენის მსგავსად აქაც მრავლადაა გრავეტის ტიპის დანა (3 ც.) და ზურგდაბლაგვული მიკროლამელა (16 ც.) — სულ 19 ც., რაც იარაღების საერთო რაოდენობის 18, 81% უდრის. აღსანიშნავია, რომ გრავეტის ტიპის დანების და ზურგდაბლაგვული მიკროლამელების (ერთად აღებული) ასეთი დიდი პროცენტული მაჩვენებლები, როგორც II და III ფენებშია, ძუძუანის მღვიმის არცერთ ფენაში ჯერჯერობით არ გვაქვს.

სხვა სახის იარაღები III ფენაში 1972—1973 წლების გათხრების დროს არ აღმოჩენილა.

---

5 აქაც და შემდეგაც ნუკლეუსების % რაოდენობა გამოყვანილია მთელი ქვის მასალის (ანამტვრევებისა და ქერცლისებური ანატკეცების გამოკლებით) რაოდენობასთან შეფარდებით. ლამელების — მთელი ქვის მასალის (ნუკლეუსების, ანამტვრევების და ქერცლისებური ანატკეცების გამოკლებით) შეფარდებით. იარაღების საერთო % რაოდენობა გამოყვანილია ლამელების მსგავსად, ხოლო სხვადასხვა სახის იარაღის % რაოდენობა იარაღების საერთო რაოდენობასთან შეფარდებით. იარაღების რიცხვში შეტანილია რეტუშირებული ანატკეცები და ლამელები.

6 ძუძუანის მღვიმის პალეოლითურ ფენებში 1972—1973 წლებში მოპოვებული ყოველგვარი ლამელების სტატისტიკურ მონაცემებში არსად არ არის გათვალისწინებული ლამელებზე დამზადებული იარაღები. ზოგადად, სუმარულად არის წარმოდგენილი სხვადასხვა იარაღთა ჯგუფები (საფხეკ-სახოკები, სხვადასხვა ტიპის საჭრისები, გრავეტის ტიპის დანები და ზურგდაბლაგვული მიკროლამელები და სხვ.). მოპოვებული მასალის უფრო სრული ტექნიკურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ჩატარება და აქედან გამომდინარე სტატისტიკური ანალიზი — მომავლის საქმეა.

IV პალეოლითური ფენა. სულ აღმოჩენილია 665 ც. კაჟისა და სხვა ქანის ნივთი. ამ რიცხვიდან 32 ც. ნუკლეუსია — 6,46%, ლამელა 112 ც. (24,19%), მიკროლამელა — 39 ც. (8,48%). იარაღები სულ 49 ცალია, რაც მთელი მასალის 10,58% შეადგენს. იარაღებიდან 3 ც. რეტუშირებული ლამელაა (6,1%), 5 ც. რეტუშირებული მიკროლამელა — 10,2%. რაოდენობის მხრივ ამ ფენაშიც წამყვანი ადგილი სხვადასხვა ტიპის საფხეკ-სახოკებს უკავიათ (22 ც.), რაც ყველა სახის იარაღის 44,8% შეადგენს. საჭრისი მხოლოდ 8 ცალია (16,32%); ერთი ცალი შალაშინია, ერთიც სათლელისებური იარაღი, ხოლო 3 ც. გრავეტის ტიპის დანა და ზურგდაბლაგვული მიკროლამელაა (6,1%).

V ფენა. მიუხედავად იმისა, რომ V და VI ფენებს შორის მდებარე ნაკერალი შრე ცალკეა გათხრილი და მასალაც სათანადოთაა ცალკე ფიქსირებული, ჩვენ მაინც ერთად განვიხილავთ V ფენიდან და ნაკერალი შრიდან მომდინარე მასალებს, ვინაიდან ნაკერალი შრე ორგანულადაა დაკავშირებული V ფენასთან და მასალებს შორისაც ჯერჯერობით არ შეიმჩნევა რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა. ამგვარად V პალეოლითურ ფენაში და ნაკერალ შრეში 1972—1973 წლებში სულ აღმოჩნდა 18540 ნივთი. აღნიშნული რიცხვი თავისთავად მეტყველებს თუ რაოდენ გადატვირთულია ქვის ინვენტარით V ფენა და ნაკერალი შრე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მასალის ასეთი რაოდენობა მომდინარეობს 8 კვადრატის ფართობიდან, სადაც V ფენის და ნაკერალის შრის საერთო საშუალო სიმძლავრე 65 სმ-ია. ამგვარად თითოეული კვადრატის 65 სმ სიმძლავრის ფენაზე დაახლოებით **2,317** ც. სხვადასხვა სახის ნივთი მოდის (ცხადია აღნიშნულ რიცხვში არ შედის ფაუნისტური ნაშთები).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, V ფენაში (ნაკერალი შრითურთ) სულ აღმოჩენილია 18540 ნივთი, აქედან 918 ც. სხვადასხვა სახის ნუკლეუსია, რაც მთელი მასალის 6,77% შეადგენს. ლამელები 2258 ც. — 16,71%, მიკროლამელები 1072 ც. — 7,9%. იარაღების საერთო რიცხვი (1729 ც.) მთელი მასალის 13,73% შეადგენს. იარაღებიდან 169 ც. რეტუშირებული ლამელაა (13,64%), ხოლო 136 ც. რეტუშირებული მიკროლამელა (10,97%). ყველაზე დიდი რაოდენობით (712 ც.) და შესაბამისად მაღალი პროცენტითაა (57,46%) წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის საფხეკ-სახოკი. ასეთი დიდი შეფარდება არცერთ სხვა ფენაში არ შეიმჩნევა. საჭრისები სულ 297 ც. (23,97%). მატულობს შალაშინების რიცხვი — 32 ც. (2,58%). მატულობს აგრეთვე სათლელისებური იარაღების რაოდენობა (10 ც. 0,80%). გრავეტის ტიპის დანა (5 ც.) და ზურგდაბლაგვებული მიკროლამელა (21 ც.) ერთად აღებული შეადგენენ ყველა სახის იარაღის მხოლოდ 2,09%. ზედა ფენებთან შედარებით მრავლადაა წარმოდგენილი სახვრეტები (7 ც. — 0,56%) და კომბინირებული იარაღები (5 ც.) შესაბამისად 0,40%. 5 ც. ოდენობითაა წარმოდგენილი აგრეთვე კაჟის ქვისაგან ნაკეთები რეტუშორი.

ძუძუანის მღვიმის VI ფენაში 1972—1973 წლებში სულ აღმოჩენილია 5735 ნივთი. აღნიშნული რაოდენობიდან 366 ც. ნუკლეუსია (1,36%), ლამელა 681 (26,48%), მიკროლამელა 541 ც. (21,07%). VI ფენის მასალებში იარაღები 473 ც. ოდენობითაა წარმოდგენილი, რაც მთელი მასალის 18,41% შეადგენს: იარაღებიდან 52 ც. რეტუშირებული ლამელაა—10,9%, 59 ც. რეტუშირებული მიკროლამელა — 12,47%. რაოდენობის მხრივ წამყვანი ადგილი

აქაც საფხეკ-სახოკებს უკავიათ — 155 ც. (32,76%). საჭრისები 109 ცალია, რაც შეადგენს 23,04%. მნიშვნელოვნად იმატა შალაშინების რიცხვმა — 20 ც., რაც შესაბამისად შეადგენს 4,00%. გრავეტის ტიპის დანა და ზურგდაბლაგვული მიკროლამელა სულ 12 ც. (2, 53%), სათლელისებური იარაღი 6 ც. (1,26%). სახვრეტი მხოლოდ ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-6 ფენაში ორი წლის მანძილზე სულ აღმოჩენილია 541 ც. მიკროლამელა. აღნიშნული რიცხვიდან 135 ც. აღმოჩნდა 1973 წ., ხოლო დანარჩენი 1972 წ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1973 წ. მოპოვებული მიკროლამელებიდან 75 ც. აღმოჩნდა e—d და ნაწილობრივ g 3—3 4—4 კვადრატების ფარგლებში მდებარე უზარმაზარი ლოდის ქვეშ, პატარა ორმოში. ორმოში აღმოჩენილი მიკროლამელების უმრავლესობა ნემსისებური მოყვანილობის, თანაბარი ზომისაა. როგორც ჩანს, მიკროლამელები სპეციალურად იყო შენახული ორმოში პირველყოფილი ხელოსნის მიერ. სხვა მასალა ორმოში არ აღმოჩენილა.

მე-7 ფენიდან მომდინარე მასალები ყველაზე მცირერიცხოვანია (სულ 93 ნივთი), რაც აიხსნება არა მარტო ფენის სიღარიბით, არამედ იმითაც, რომ მისი გათხრა 1973 წ. ვერ მოვასწარით. 96 ნივთიდან 6 ც. ნუკლეუსია, რაც მთელი მასალის 7,53% შეადგენს. ლამელა 9 ც. (12,85%). სხვადასხვა იარაღი სულ 13 ცალია (18,57%), მათ შორის 2 ც. რეტუშირებული ლამელა (15,3%), 3 ც. რეტუშირებული მიკროლამელა (23,07%). საფხეკ-სახოკი სულ 4 ც. (30,76%), საჭრისი კი 3 ც. (23,07%), სხვა ტიპის იარაღი მე-7 ფენაში არ აღმოჩენილა.

ძუძუანის მღვიმის სხვადასხვა ფენებში 1972—1973 წლებში მოპოვებული ქვის ნაწარმის რაოდენობა და მათი პროცენტული შეფარდება უფრო ნათლად ჩანს თანდართულ ცხრილში (ცხრილი 1).

როგორც ვხედავთ, მე-7 ფენის ქვის ინვენტარის პროცენტული შეფარდება საგრძნობლად მაღალია, რაც არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს, ვინაიდან ცნობილია, რომ მცირე კოლექციებზე ჩატარებული პროცენტული გამოთვლა მითუმეტეს სრული სტატისტიკური ანალიზის ჩატარება არ იძლევა სათანადო შედეგს (განსაკუთრებით თუ ნივთების რაოდენობა 100-ზე ნაკლებია), რაც პროცენტულ შეფარდებათა უზუსტობაში გამოიხატება. ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მე-7 ფენის ქვის ინვენტარის სტატისტიკური მონაცემები არ არის ზუსტი, ვინაიდან მცირეა არა მარტო იარაღთა საერთო რაოდენობა, არამედ მთელი მასალაც. ეს შეიძლება ითქვას სხვა ფენების იარაღებზეც, სადაც მათი რიცხვი ასზე ნაკლებია. მიუხედავად ამისა, ჩავატარეთ ზოგადი სტატისტიკური ანალიზი, ვინაიდან იგი მაინც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას სხვადასხვა ფენებში მასალის გავრცობის სურათზე და იძლევა რიგი დასკვნის გამოტანის საშუალებას. მაგალითად, ძუძუანის მღვიმის ყველა ფენაში იარაღებთან ერთად საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ნუკლეუსები, ანამტვრევები და ანატკეც-ლამელები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მღვიმე წარმოადგენდა პირველყოფილ ადამიანთა არა მარტო საცხოვრებელს, არამედ სახელოსნოსაც, რომ აქ მოჰქონდათ ნედლი მასალა (უმეტესად კაჟის კონკრეციების, კაჭრების სახით) და მღვიმეშივე ხდებოდა ძირითადად მათი როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავება. ამ უკანასკნელზე მიუთითებს ქერცლისებური ანატკეცების სიუხვე, რომელიც მიიღება

ცხრილი 1

| №№ რიგ. | დასახელება | I ფენა რაოდ. | I ფენა % | II ფენა რაოდ. | II ფენა % | III ფენა რაოდ. | III ფენა % | IV ფენა რაოდ. | IV ფენა % | V ფენა რაოდ. | V ფენა % | VI ფენა რაოდ. | VI ფენა % | VII ფენა რაოდ. | VII ფენა % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნუკლეუსები | 19 | 4,79 | 13 | 3,17 | 36 | 4,24 | 32 | 6,46 | 918 | 6,7 | 366 | 10,36 | 6 | 7,89 |
| 2 | ანამტვრევები | 20 | — | 9 | — | 22 | — | 16 | — | 1043 | — | 375 | — | 2 | — |
| 3 | სამწახნაგა ანამტვრევები | 8 | — | 12 | — | 25 | — | 14 | — | 408 | — | 146 | — | 2 | — |
| 4 | ანატკეცები დიდი ზომის | 14 | 4,15 | 14 | 3,52 | 30 | 3,78 | 24 | 5,18 | 528 | 4,21 | 191 | 6,03 | 7 | 10,00 |
| 5 | ანატკეცები საშ. ზომის | 170 | 54,4 | 172 | 43,32 | 340 | 41,8 | 229 | 45,6 | 6744 | 53,08 | 2208 | 69,7 | 41 | 58,57 |
| 6 | ანატკეცები წვრილი და ქერცლ. | 133 | — | 164 | — | 217 | — | 140 | — | 3583 | — | 1681 | — | 18 | — |
| 7 | ანატკეცები, დარტყმის მოედანი შე'წორებული აქვთ | 1 | 0,29 | 1 | 0,25 | 3 | 0,36 | — | — | 15 | 0,1 | 4 | 0,12 | — | — |
| 8 | რეტუშირებული ანატკეცები | 3 | 4,91 | 2 | 4,76 | 5 | 4,95 | 6 | — | 321 | 3,41 | 59 | 12,47 | 1 | 7,68 |
| 9 | განიერი ანატკეცები | 6 | 1,78 | 6 | 1,51 | 5 | 0,71 | 10 | 2,15 | 205 | 2,56 | 69 | 2,17 | — | — |
| 10 | ლამელები | 107 | 27,6 | 118 | 29,72 | 258 | 31,73 | 112 | 24,19 | 2258 | 16,71 | 681 | 26,48 | 9 | 12,85 |
| 11 | რეტუშირებული ლამელები | 16 | 26,2 | 3 | 7,1 | 13 | 12,86 | 3 | 6,1 | 169 | 19,64 | 52 | 10,9 | 2 | 15,3 |
| 12 | მიკროლამელები | 19 | 4,39 | 44 | 11,08 | 76 | 9,34 | 39 | 8,4 | 1072 | 7,9 | 541 | 21,07 | — | — |
| 13 | რეტუშირებული მიკროლამელები | 8 | 13,13 | 6 | 14,2 | 17 | 16,53 | 5 | 10,2 | 136 | 10,97 | 59 | 12,47 | 3 | 23,07 |
| 14 | საფხეკები, სახოკები | 24 | 39,83 | 12 | 28,5 | 26 | 25,74 | 22 | 44,8 | 712 | 57,46 | 155 | 32,76 | 4 | 30,76 |
| 15 | საჭრისები | 6 | 9,83 | 9 | 23,8 | 20 | 19,8 | 8 | 16,32 | 297 | 23,97 | 109 | 23,04 | 3 | 23,07 |
| 16 | შ ა ლ ა შ ი ნ ე ბ ი | — | — | — | | 21 | 0,99 | 1 | 2,04 | 32 | 2,58 | 20 | 4,0 | — | — |
| 17 | გაურკვეველი იარაღები | — | — | — | | — | | | — | 8 | 0,64 | — | — | — | — |
| 18 | გრავეტის დანები და ზურგდაბლაგვული მიკროლამელები | 2 | 3,27 | 8 | 19,04 | 19 | 18,81 | 3 | 6,1 | 26 | 2,09 | 12 | 2,53 | — | — |
| 19 | სათლელისებური იარაღი | 2 | 3,27 | — | | — | — | 1 | 2,04 | 10 | 0,80 | 6 | 1,26 | — | — |
| 20 | სახვრეტები | — | — | 2 | 4,74 | — | — | — | — | 7 | 0·56 | 1 | 0,21 | — | — |
| 21 | სადგისები | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0,08 | — | — | — | — |
| 22 | კომბინირებული იარაღები | — | — | — | — | — | — | — | — | 5 | 0,40 | — | — | — | — |
| 23 | რეტუშორები | — | — | — | — | — | — | — | — | 5 | 0,40 | — | — | — | — |
| | | 557 | | 595 | | 1113 | | 665 | | 18,540 | | 5735 | | 98 | |

იარაღების დამზადების (რეტუშირების) დროს და ნუკლეუსების ფუძე-კიდეების შესწორების შედეგად. სტატისტიკური ანალიზიდან ირკვევა, აგრეთვე ფენების მიხედვით სხვადასხვა სახის ქვის ნაწარმის რაოდენობრივი გავრცელების გარკვეული კანონზომიერება, რაც შესაბამის პროცენტულ შეფარდებაში გამოიხატება. მაგ.: II—IV ფენებში ნუკლეუსების შეფარდება, მასალის საერთო რაოდენობასთან 3—5% ფარგლებში მერყეობს, ხოლო V—VI პალეოლითურ ფენებში — 6,5—10% ფარგლებში; ანატკეცების (ქერცლისებურის გამოკლებით) შესაბამისად 47—52,5%-ს და 59—61% ფარგლებში (გამონაკლისს წარმოადგენს VII ფენა, სადაც ყველა სახის ანატკეცი მასალის საერთო რაოდენობის მხოლოდ 41,5% უდრის). II—IV ფენების რეტუშირებული და ურეტუშო ლამელების შეფარდება მასალის საერთო რაოდენობასთან 40—46% ფარგლებში მერყეობს, V—VII ფენებისა კი 20-დან 42% ფარგლებში, რაც ასევე კანონზომიერი ჩანს, ვინაიდან ქვედა ფენები უფრო ადრეულია, ვიდრე ზედა. რაც შეეხება მიკროლამელებს, აქ განსხვავებული სურათი ჩანს (რასაკვირველია ჩვენ ვმსჯელობთ მხოლოდ 1972—1973 წლების პროცენტული მაჩვენებლებით), II—IV ფენებში მათი რაოდენობა ნაკლებია (მერყეობს 7—12% ფარგლებში), ვიდრე V—VII ფენებში (მერყეობს 9,5—18% ფარგლებში), რაც არ არის კანონზომიერი, ვინაიდან, როგორც კანონი, საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის უფრო გვიანი ხანის ძეგლებში (ან ფენებში) მიკროლამელების რიცხვი მატულობს, ძუძუანის მღვიმეში კი პირუკუ სურათს ვხედავთ.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ფაქტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ორი გარემოებით: V—VI ფენების კაჟის ნაწარმის დამტოვებელი ადამიანები ქვის პირველად დამუშავებას აწარმოებენ მღვიმის ფარგლების გარეთაც და მზა პროდუქცია მიკროლამელების სახით მოჰქონდათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე, ან კიდევ საქმე გვაქვს ძუძუანის მღვიმის პალეოლითური კულტურის გარკვეულ თავისებურებასთან. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული თავისებურების მაჩვენებელი უნდა იყოს აგრეთვე გრავეტის ტიპის დანების და ზურგდაბლაგვული მიკროლამელების შედარებითი (პროცენტული) სიმცირე და გ ე ო მ ე ტ რ ი უ ლ ი მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ო ბ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ა. ეს უკანასკნელი ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ძუძუანის მღვიმის ყველა ფენაში მრავლადაა არამარტო დაუმუშავებელი მიკროლამელები, არამედ მათი შესატყვისი ნუკლეუსებიც (კერძოდ სოლისებური), იმ დროს როდესაც საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის როგორც ადრეულ, ისე განვითარებული პერიოდის ძეგლებში (ბერგულის კლდე, დევისხვრელი, საკაჟია) გეომეტრიული მოყვანილობის იარაღები ასე თუ ისე წარმოდგენილია. მათი რიცხვი მნიშვნელოვნად მატულობს გვიანი ხანის ძეგლებში, როგორიცაა გვარჯილას კლდე, ეძანი, ზურტაკეტი და სხვ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლამელების სიუხვე სრულიად კანონზომიერია ზედაპალეოლითის გვიანი საფეხურის ძეგლებისათვის. მაგრამ ჩვენი აზრით, ძუძუანის მღვიმის არც ზედა და მით უმეტეს არც ქვედა ფენების მასალები გვიანი პერიოდის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ვერ მოთავსდებიან. აღნიშნული მოსაზრების (მართალია წინასწარულის) საფუძველია მთელი რიგი ფაქტობრივი მონაცემები. მაგ.: ძუძუანის მღვიმის საფხეკ-სახოკების დიდი ნაწილი ნაკეთებია ანატკეცებზე ან მოკლე ლამელებზე, ხოლო საჭრისე-

ბი მასიურ, შედარებით უხეშ ანატკეცებზე. საჭრისებს შორის მრავლად გვხვდება ნუკლეუსისმაგვარი და მრავალფაცეტიანები; საფხეკებს შორის კი მაღალ სამუშაოპირიანი. შალაშინების პროცენტული შეფარდება იარაღების საერთო რაოდენობასთან V ფენაში 2,5% შეადგენს, VI ფენაში კი 4,0%. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მცირეა გრავეტის ტიპის დანები და ზურგდაბლაგვული მიკროლამელების საერთო რაოდენობა, V ფენაში მათი რიცხვი ყველა სახის იარაღის მხოლოდ 2,0% უდრის, VI ფენაში კი — 2,50%. მათი პროცენტული შეფარდება მატულობს ზედა ფენებში. მართალია ძუძუანის მღვიმის თითქმის ყველა ფენაში საფხეკების საერთო რაოდენობა დაახლოებით 1,5—2-ჯერ აღემატება საჭრისებისას, მაგრამ დაახლოებით ასეთივე სურათი ჩანს საქართველოს ზედაპალეოლითის განვითარებული ხანის ძეგლებში. დევისხვრელში საფხეკები ორჯერ და მეტად სჭარბობენ საჭრისებს, საკაჟიაში მათი რიცხვი თითქმის თანაბარია; მხოლოდ მღვიმევის ნაბინავარია ამ მხრივ განსხვავებული. საჭრისები აქ რამდენადმე მეტია საფხეკებზე.

იარაღების პროცენტული შეფარდებიდან, იარაღების ფორმა-მოყვანილობიდან და მათი დამუშავების ტექნიკიდან გამომდინარე ძუძუანის მღვიმის ქვედა ფენებს (V—VII ფენები) წინასწარულად ვათარიღებთ საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარებული საფეხურის ადრეული პერიოდით, ხოლო ზედა ფენებს — განვითარებული საფეხურის დასასრულით.

ასეთია ძუძუანის მღვიმის 1972—1973 წლებში წარმოებული გათხრების შედეგები.

გარდა ძუძუანის მღვიმისა, ექსპედიციის ერთი რაზმი (უფროსი ისტ. მეცნ. კანდიდატი ლ. დ. ნებიერიძე), რომელიც დააფინანსა და დააკომპლექტა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა. 1972 წ. აგრძელებდა მუშაობას ჭიათურის რაიონის სოფ. დარკვეთის ტერიტორიაზე მდებარე ეხში, სადაც გამოვლენილია ენეოლით-ბრინჯაოს, ნეოლითისა და მეზოლითის პერიოდის ფენები და შესატყვისი პერიოდების ნივთიერი მასალა. საანგარიშო წელს არქეოლოგიურმა რაზმმა იმუშავა მხოლოდ ფენათა სტრატიგრაფიის დაზუსტებაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ექსპედიციამ ჩაატარა დაზვერვითი ხასიათის მნიშვნელოვანი სამუშაოებიც. ჭიათურის რაიონის სოფ. ე წ ე რ ი ს ტერიტორიაზე, ადგილ თ ე ბ ლ ო ვ ა ნ ე ბ ზ ე მიაკვლია გვიანი აშელური ხანის ახალ ნაბინავარ-სახელოსნოს. ძეგლი მდებარეობს სოფ. ეწერის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოვაკებულ ბორცვზე, კაცხი-ეწერის სამანქანო გზის მარცხენა მხარეს, გზიდან 200—250 მ დაშორებით. აღნიშნული ბორცვი პარალელურადაა გაჭიმული იმ ბორცვთა მწკრივისაგან, სადაც ექსპედიციის მიერ წინა წლებში მიკვლეული იყო აშელომუსტიეური ხანის ძეგლები ორბალი I, II, IV. ბორცვის სამხრეთ კალთა ეშვება არაღრმა, საკმაოდ გრძელ ღარტაფში, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართება. ღარტაფისაკენ მიმართული ბორცვის სამხრითი კალთა რიგ ადგილას გაშიშვლებულია და ზედაპირზე ამოდის კაჟის შემცველი ქანები. ბორცვის მოვაკებული ნაწილი კოლმეურნეობას სახნავ ფართობად აქვს გამოყენებული. აღნიშნულ სახნავზე, რომლის ფართობი დაახლოებით 2,5—3 ჰექტარს უდრის, მიწის ზედაპირზე შეგროვებული იქნა სხვადასხვა ფერის მაღალხარისხოვანი კაჟის 753 ნივთი. ნუკლეუსებს შორის მნიშვნელოვნად სჭარბობს ლევალუაზური ფორმები, მათ შორის: „კუსჯავშნის“ ფორმის, საი-

დანაც ატკეცილია ერთი ძირითადი ფირფიტა, მარაოსებური ერთფუძიანები პარალელური ატკეცის კვალით და სხვ. აქვეა წარმოდგენილი დისკოიდალური ნუკლეუსები, როგორც ცალმხრივ, ისე ორმხრივი ატკეცის კვალით (სურ. 2). დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი აგრეთვე ანატკეცები და ლამელები, ეს უკანასკნელი სწორი პროპორციებით და მოყვანილობით ხასიათდებიან (სურ. 3). ქვედაპალეოლითურ ძეგლ თებლოვანზე მოპოვებულ იარაღებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ტიპის სახოკები, ლევალუაზური წვეტანები და დანები ბუნებრივი ზურგით, განსაკუთრებით საყურადღებოა მუქი მოთაფლისფრო კაჟისაგან დამზადებული ორმხრივ დამუშავებული შესანიშნავი ხელცული (სურ. $4_{11}$), რომელიც თავისი პატინით და დაცულობით არაფრით განსხვავდება დანარჩენი მასალისაგან, რაც გვაფიქრებინებს, რომ თებლოვანებზე მოპოვებული ქვის ინვენტარი ერთი პერიოდისაა. სოფ. კაცხის ტერიტორიაზე, კაცხის სვეტის აღმოსავლეთით მდებარე პლატოზე, ექსპედიციამ მიაკვლია მუსტიეური ხანის ახალ ძეგლს. მიწის ზედაპირზე, სახნავ ფართობზე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „კონკრობას" უწოდებენ, შეგროვილი იქნა რამდენიმე ათეული ცალი ნუკლეუსი, ანატკეც-ლამელა და იარაღი. მუსტიეური ხანის მასალაში შერეული აღმოჩნდა ნეოლით-ენეოლითური (?) ხანის ორმხრივ დამუშავებული კაჟის რამდენიმე ჩასართი.

ექსპედიციამ ხელახლა მოიხილა სოფ. კაცხის ტერიტორიაზე წინა წლებში გამოვლენილი ქვედა პალეოლითური ძეგლები — ორბალი I, II და IV და მოიპოვა დამატებითი მასალები.

1972 წ. ჭიათურელმა არქეოლოგიის მოყვარულმა სიმონ ხითარიშვილმა შეგვატყობინა, რომ სოფ. კაცხში კაცხის სვეტთან აღმოჩნდა აკლდამა, რომელიც სპეციალურ გათხრა-შესწავლას მოითხოვსო. აღნიშნული აკლდამა ვინახულეთ ამავე მიზნისათვის ჩამოსულმა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის განყოფილების უმცრ. მეცნ. თანამშრომელმა ვ. ჯაფარიძემ, ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ნათელა ჯაფარიძემ და ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა. აკლდამა აღმოჩენილა შემთხვევით. ქარს წაუქცევია ხე, რომლის ფესვებსაც წაქცევისას ნაწილობრივ დაუზიანებია აკლდამის სამხრეთი კედელი. დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ აკლდამა უკვე „გაეთხარათ" ადგილობრივ „არქეოლოგებს". აკლდამა აღმოჩნდა მიწის სიღრმეში, კაცხის სვეტის მახლობლად, კაცხის სვეტზე გამოსახულ ბოლნური ტიპის ჯვრიდან რამდენიმე მეტრზე. შესასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონია და ადრევე ამოუქოლიათ. ნაშენებია ნათალი ქვით და აგურით. გადახურვა თაღოვანი აქვს. აკლდამა ავზომეთ და ავგეგმეთ (იხ. სურ. 5). შესაძლებელია, იგი აქ ადრე არსებული მონასტრის ეკლესიის ქვეშ მოწყობილ საძვალეს წარმოადგენდა. გამორიცხული არ არის, რომ აკლდამა-საძვალე ბოლნური ჯვრის თანადროული იყოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აკლდამა აშენებული ჩანს გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე. ამაზე მეტყველებს აკლდამის ძირზე, გვერდზე მიხვეტილი ადამიანის ჩონჩხების ნაწილების ქვეშ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლების რამდენიმე ფრაგმენტი.

ექსპედიციამ დამატებითი მასალების მოპოვებისა და სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით რამდენიმე დღე იმუშავა 1968 წ. მიკვლეულ ტოღონ

კლდის ზედაპალეოლითურ ძეგლზე. სამწუხაროდ ეხის კლდოვან იატაკამდის ვერ დავედით და ამდენად სტრატიგრაფიული ჭრილის დაზუსტება არ მოხერხდა. მოპოვებულმა მასალებმა მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით შეავსო წინა წლების კოლექცია. თვისობრივად ახალი 1972—1973 წწ. არ აღმოჩენილა; დაზუსტდა მხოლოდ ფაუნის სახეები. აქ დადგენილია: 1. შაშვის, 2. რუხი გნოლის, 3. მაჩვის, 4. მღვიმური ლომის, 5. გარეული ცხენის, 6. ტახის, 7. პირველყოფილი დომბის და 8. კავკასიური ჯიხვის ნაშთები. ტოღონ კლდეში მოპოვებული ქვის ნაწარმი, წინასწარი მონაცემებით, ახლოს დგას საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლებთან — ხერგულის კლდის და თარო კლდის მასალებთან.

სიმონ ხითარიშვილის დახმარებით მოვიხილეთ წილთოს მღვიმეთა კომპლექსი (წილთო I, II, III). არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა წილთო III ანუ ჯვრის მღვიმე. იგი მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. პერევისის ტერიტორიაზე, მდ. წილთოს ხეობის (საძალიხევის შენაკადი) მარჯვენა ფერდობზე, ზედაცარცულ კირქვებში. მღვიმე შედგება სამი ხვრელისაგან, რომელთაგან ერთი დახშულია, ორი კი ერთმანეთს უერთდება შესასვლელიდან დაახლოებით 60—70 მ შემდეგ და ქმნის საკმაოდ მოზრდილ დარბაზს, რომლის იატაკი შესასვლელის საწინააღმდეგო მხარესაა დაქანებული. როგორც დარბაზში, ისე მარჯვენა გვირაბის წინა ნაწილში მრავლად ჩნდება ქვევრების და სხვა კერამიკული ნაწარმის ნამტვრევები. ფენა დარბაზში და მღვიმის წინა ნაწილშიაც თითქმის სრულიად განადგურებულია განძის მაძიებლების მიერ. როგორც ჭილთო III ისე ჭილთო II ალაგ-ალაგ გადარჩენილია ფეოდალური (?) ხანის რაღაც ნაგებობის კედლები. ჭილთო II მღვიმეში, კირქვის კედელზე, ნათლად ჩანს სეგმენტისა თუ ნალისებური მოყვანილობის შეღრმავება-ფოსოები სხვადასხვა სიმაღლეზე. როგორც ჩანს, აქ რამდენიმე სართულიანი ნაგებობა იდგა და აღნიშნული ფოსოები ძელის თავების დასადებად იყო ამოკვეთილი.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში დაცულია ზედაპალეოლითური ხანის მცირერიცხოვანი მასალა მოპოვებული სტეფანე კრუკოვსკის მიერ სოფ. გუნდაეთის ტერიტორიაზე მდებარე მღვიმეებში: საჭინკიაში, საძროხიაში და ჩელტის თავში. ძეგლების ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად და დამატებითი მასალების მოსაძიებლად ექსპედიციამ მოიხილა აღნიშნული მღვიმეები და გააკეთა საძიებო თხრილები. საჭინკიის მღვიმე მდებარეობს სოფ. გუნდაეთის ტერიტორიაზე, სასაფლაოს მახლობლად, მდ. საძალიხევის კანიონისებური ხეობის მარჯვენა ნაპირზე, ზედაცარცულ კირქვებში, მდ. საძალიხევის დონიდან დაახლოებით 70—80 მ სიმაღლეზე. მღვიმე მშრალია, განათებულია მხოლოდ მისი შესასვლელი ნაწილი. 10—15 სმ სისქის ნაკელისა და ჰუმუსოვანი ფენის შემდეგ იწყება მღვიმის კლდოვანი იატაკი. არქეოლოგიური ნაშთები არ აღმოჩენილა. როგორც ჩანს, უკანასკნელი 45—50 წ. მანძილზე აქ არსებული ფენა გამორეცხა ეპიზოდურად მოქმედმა ღვარებმა. ასევე არ მოუცია შედეგი ჩელტის თავის მღვიმეს, აქ უკვე სრულიად აღარ გვხვდება მიწის ფენა, კლდოვანი იატაკი გაშიშვლებულია. საძროხიის მღვიმეც სოფ. გუნდაეთის ტერიტორიაზე, მდ. საძალიხევის მარჯვენა ნაპირზეა. აქვს ორი შესასვლელი, რომელთაგან ერთი,

უფრო დიდი, მიუდგომელია. საძიებო თხრილში, რომელიც კლდოვან იატაკამდის ვერ დავიყვანეთ, აღმოჩნდა, ზედაპალეოლითური იერის რამდენიმე ნივთი. ექსპედიციას განზრახული აქვს მიმდინარე წელს გააღრმავოს საძიებო თხრილი საძროხის მღვიმეში.

ასეთია ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972—73 წლებში წარმოებული სამუშაოების შედეგები.

## სურათების აღწერილობა

სურ. 1. ძუძუანის მღვიმის 5—5 კვადრატების დასაწყისის განივი და გრძივი ჭრილი.

სურ. 2. 1—2. დისკოიდალური ცალმხრივი ნუკლეუსები კაჟისა.
3. ორფუძიანი ნუკლეუსი კაჟისა.
4. დისკოიდალური ორმხრივი ნუკლეუსი კაჟისა.
5. დისკო კაჟისა, მცირე ზომის, რეტუშირებული.

სურ. 3. ანატკეცი პროტოლევალუაზური კაჟისა, ამოღარული.
2—4. ანატკეცები კაჟისა, არალევალუაზური.
5. ლევალუაზური წვეტანა კაჟისა.
6. ანატკეცი კაჟისა, ლევალუაზური.

სურ. 4. 1—3, 10. სახოკები კაჟისა.
4. ლევალუაზური წვეტანის ფრაგმენტი. კაჟისა.
5. სამკუთხა ანატკეცი კაჟისა.
6. ლამელა კაჟისა, ლევალუაზური, წვერმოტეხილი.
7—8. ლამელისებური ანატკეცები კაჟისა. არალევალუაზური.
9. ანატკეცი კაჟისა.
11. ხელცული კაჟისა, ორმხრივ დამუშავებული.

სურ. 5. კაცხის სვეტის აკლდამის გეგმა და ჭრილი.

# ძუძუანას მღვიმე

## ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია

1972 წ.

განივი ჭრილი I : I 5 : 5 კვ. დასაწყისი

გრძივი ჭრილი II : II




მ - 1 : 20

სურ. 1

ბიბლიოთეკა



სურ. 2.




სურ. 3.




სურ. 4.

ჭრილი მ-1:25




სურ. 5.

ლ. ღლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე

# ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1972—1973 წწ.)

1972—1973 წლებში ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია[1] სამუშაოებს აწარმოებდა უსახელო ნასოფლარზე, რომელსაც ექსპედიციამ ხრამის დიდი გორა უწოდა, რადგანაც ის არის ხრამის სანაპირო ველის ადრესამიწათმოქმედო ხანის სადღეისოდ გადარჩენილი ყველაზე დიდი ძეგლი. იგი ეკუთვნის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლართა ყაჩაღანის ჯგუფს, რომლის შემადგენელი ხუთი გორიდან ამჟამად მხოლოდ ისღაა გადარჩენილი. გორა მდებარეობს ხრამის მარჯვენა სანაპირო ველის შუაგულში, დებედას აღმოსავლეთით, სოფ. ყაჩაღანსა და თაქალოს შორის, ამ უკანასკნელის დასავლეთ ნაპირას, ტრიალ მინდორში და რამდენიმე კილომეტრითაა მოცილებული როგორც დებედას, ისე ხრამის ნაპირებს.

ნასოფლარი წარმოადგენს 4 მ სიმაღლის, 300-ოდე მ სიგრძის და 100—150 მ სიგანის ბორცვს, დაგრძელებულს O—W ხაზზე. ბორცვის ზედაპირი უსწორმასწოროა — დაფარულია 5—10 მ დიამეტრის დეპრესიებითა და პატარა შემაღლებებით. მას თითქოს ორი თავი აქვს, აღმოსავლეთისა — ოდნავ უფრო მაღალი და მკაფიოდ გამოხატული, ვიდრე დასავლეთისა, რომელიც შედარებით გაშლილია. ბორცვის აღმოსავლეთის, დაახლოებით 2/3 ნაწილი უჭირავს ამჟამადაც მოქმედ თათრულ სასაფლაოს (ტაბ. $I_1$).

პირველი სეზონის დროს გაიჭრა მხოლოდ სტრატიგრაფიული ჭრილი O—W მიმართულებით, ზომით 5×10 მ, გორის დასავლეთი ფერდობის შუა ადგილას, ძირიდან 30-ოდე მ მანძილზე, ისე რომ მასში მოექცა ერთ-ერთი დეპრესიის შემაღლებული ნაპირისა და ჩაღრმავების ნაწილი. 1973 წ. გათხრები გაფართოვდა 225 კვმ-მდე; წინა წელს გაჭრილ სტრატიგრაფიულ თხრილს დაემატა 2 მ O-დან, 3 მ W-დან, 10 მ კი N მიმართულებით. მიწის ზედაპირი აქ საშუალოდ მოდის —2 მ დონეზე. რბილი ბალახოვანი ფენის ქვეშ, რომლის სისქე 15 სმ არ აღემატება, გამოჩნდა ფხვიერი, ღორღიანი და აგურნარევი ფენა, რომელშიც გვხვდებოდა ცისფრად მოჭიქული ფილებისა და აგურის ნატეხები და მცირეოდენი არქაული მასალა —კერამიკა, ობსიდიანი, ძვალი. ასეთი „ნაგვიანი მიწით“ ამოვსილი აღმოჩნდა მკვრივ თიხნარ ფენაში

---

[1] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ალ. ჯავახიშვილი (ხელმძღვანელი), ლ. ღლონტი, თ. კიღურაძე, ლ. ფანცხავა, ე. ქორიძე, თ. მეშველიანი, ჯ. ხუციშვილი (არქიტექტორი მოწვ.), ზ. ამოევი, თ. ამოევი და ს. ილიჯევი (მძღოლები).

ამოჭრილი, ერთმანეთთან ვიწრო გასასვლელით დაკავშირებული მიწურები (ტაბ. $I_2$).

აგური და ცისფრად მოჭიქული შორენკეცი უნდა ეკუთვნოდეს აქ ოდესღაც არსებულ მაჰმადიანურ მავზოლეუმს, რომლისაგანაც უძრავად მდგარი ნაშთი გათხრილ ფართობზე არ შეგვხვედრია, კერამიკა კი არქაულია და ქვედა საამშენებლო ჰორიზონტებს ეკუთვნის.

მიწურების შემავსებელ ფენაში არის დიდი რაოდენობით თეთრი კირქვის ნატეხები, რომლებიც, როგორც ჩანს, საფლავის ქვების ნაშთებია. გათხრილი ფართობის NO სექტორში 59 კვადრატში, დაახლოებით —2,3 მ დონეზე აღმოჩნდა მაჰმადიანური საფლავის ქვის მოზრდილი ფრაგმენტი, ზომით 55×45×30 სმ, გათლილი ზემოხსენებული ჯიშის ქვისაგან. საფლავის ქვა სწორკუთხა მოყვანილობისაა და ზემოდან „სწორკუთხავე“ ქედი გააჩნია.

მიწურების ამოწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ გასათხრელი ფართობის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი უკავია ჯერ კიდევ 1972 წლის სტრატიგრაფიულ ჭრილში გამოჩენილი № 2 მიწურს (№ 1 მიწურის ნაწილიც ამავე წელს გაიწმინდა), რომელიც მიემართება SW-დან NO-კენ და წარმოადგენს მოზრდილ, ოთხკუთხა კუთხეებმომრგვალებულ სათავსოს, ზომით 12×5,5 მ, ამოჭრილს არქაული ნასოფლარის ალიზის შენობების მკვრივ ნანგრევებში; მიწურის ზედაპირი, საშუალოდ —2,3 —2,5 მ დონეზე მოდიოდა, ხოლო ძირი —2,9 მ დონემდე ჩადიოდა. მიწურის კედლის გასწვრივ, ალაგ-ალაგ მდგარა გადახურვის დამჭერი ბოძები — გაიწმინდა 6 მომცრო ორმო, საშუალოდ 20—30 სმ დიამეტრისა და 40 სმ-მდე სიღრმისა, შიგ ჩარჩენილი ხის ნაშთებით.

№ 2 მიწურის გვერდით NO მხრიდან, მისგან 2—2,5 მ დაშორებით ამოიწმინდა ასეთივე მიწურის მცირე ნაწილი — NW გვერდი, რომელიც გრძელდება 9 მ მანძილზე. № 2 მიწურის SO გვერდის თითქმის პარალელურად და შედის ჩვენი თხრილის S და O კედელში: როგორც ჩანს, ეს (№ 4) მიწურიც მოზრდილია.

№ 2 მიწურის W მხარეს ამოსუფთავდა № 3 მიწურის ნაწილი, რომლის კედელიც ნაწილობრივ ჩანდა 1972 წლის შურფში. ეს მიწურიც საკმაოდ მოზრდილი უნდა იყოს — ჩანს მხოლოდ მისი NO ნაწილი, სიგანით 7 მეტრამდე და ორიენტირებულია სხვა მიწურებივით SW—NO მიმართულებით.

მთელ გათხრილ ფართობზე დადასტურდა საკმაოდ მჭიდრო სამაროვნის არსებობა. სულ გამოვლენილ იქნა 20 სამარხი, ჩაჭრილი -2,6-3,14 მ დონეებს შორის: მათგან უმეტესობა ჩადიოდა საშუალოდ -3 მ დონეზე (გადახრები სამარხთა დონეებს შორის იმით უნდა აიხსნას, რომ გათხრილი ფართობი მდებარეობს ბორცვის ნაპირას, რომელსაც საგრძნობი დახრა აქვს W-ით).

ინვენტარი აღმოჩნდა მხოლოდ 1972 წ. გათხრილ ერთ სამარხში (№ 2-ში): მასში, როგორც ჩანს, ქალი იყო დამარხული, რომელსაც აღმოაჩნდა წყვილი საყურე — წვრილი მავთულის გახსნილი რგოლი, დაბლა დაშვებული, ბოლოწაწვეტებული ღერაკით; მარცხენა საფეთქელთან მდებარე საყურე დამზადებულია სპილენძისაგან, მარჯვენასთან მდებარე კი — ოქროსაგან.

№ 6 სამარხის გარდა, ყველა წარმოადგენდა მარტივ გრუნტულ ორმოს, ამოღებულს მიცვალებულის ზომაზე. № 6 სამარხი, მათგან განსხვავებით, გამართული იყო აგურის წყობით — აკლდამის სახით. აკლდამა აგებული იყო კარგად გამომწვარი, წითელი, მოგრძო აგურისაგან (ზომით 24 × 13 × 5), რომე-

ლიც დაწყობილი იყო მეტად მკვრივ კირის ხსნარზე. ამოყვანილი იყო მხოლოდ კედლები, ძირი მიწისა ჰქონდა; გადახურვა ალბათ, ხისა; გადარჩენილი იყო აგურის წყობის 7 რიგი. აკლდამა მოყვანილობით წესიერ სწორკუთხედს წარმოადგენდა, ზომით 1,4×0,45 მ. აკლდამა ორიენტირებული იყო NO—SW ხაზზე; მისი SW ბოლო მოჭრილი ყოფილა № 2 მიწურის ამოღების დროს, დაზიანებული იყო მისი ჩონჩხიც, რომელიც ესვენა ზურგზე გაშოტილ, გულხელდაკრეფილ მდგომარეობაში, თავით SW მხარეს, პირით აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. ქრისტიანული წესით. სამარხი უინვენტარო იყო.

ამავე მიწურის გაჭრის დროს დაუზიანებიათ კიდევ ერთი № 7 სამარხი, რომლის ნაშთი — ხერხემალი, მარჯვენა მკლავი, მენჯი და წვივის ძვლები აღმოჩნდა 57—67 კვადრატებში, დაახლოებით —3 მ დონეზე. ჩონჩხის მდგომარეობის მიხედვით ჩანს, რომ ისიც ანალოგიურად ე. ი. ქრისტიანული წესით იყო დასაფლავებული.

№ 3 მიწურის გამართვის დროს დაუზიანებიათ ზუსტად ასევე ორიენტირებული და დასვენებული ჩონჩხი (სამარხი № 13), რომელსაც წაჭრილი ჰქონდა ტანის ზედა ნაწილი (მუცელს ზემოთ).

დანარჩენი სამარხები შედარებით უკეთ იყო დაცული. მათი აღნაგობა და დამხრობა ძირითადად ერთნაირი ჩანდა — გრუნტული ორმოები, მეტნაკლებად წესიერი ოთხკუთხა მოყვანილობისა, ორიენტირებული არსებითად O—W მიმართულებით, მეტ-ნაკლები გადახრით NO—SW მხარეს. ყველა ჩონჩხი დამხრობილი იყო პირით აღმოსავლეთისაკენ და დასვენებული ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში, მუცელზე ან გულზე დაკრეფილი ხელებით. გამონაკლისს წარმოადგენდა 2 სამარხი — № 5 და № 12, სადაც მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, მცირედ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში; პირველი მდებარეობდა 00 კვადრატში —2,6 მ დონეზე, მეორე — 74 კვადრატში — —3,52 მ დონეზე.

როგორც აღნიშნული იყო, № 2 სამარხის გარდა არც ერთში არ აღმოჩენილა რაიმე ნივთი, ისე რომ მათი დათარიღება ზუსტად არ ხერხდება; ანგარიშგასაწევია ამ მხრივ ის, რომ ისინი ქრისტიან მოსახლეობას ეკუთვნის, როგორც დაკრძალვის წესის მიხედვით, ისე იმითაც, რომ მათ ჭრის მოგვიანო ხანის მიწურები, რომლებიც მაჰმადიანური მოსახლეობისაა; მაშასადამე, ეს სამარხები აქ მაჰმადიანების მოსვლამდე მცხოვრებ მოსახლეობას განეკუთვნება.

70 კვადრატში — 2,5 მ დონეზე, ფხვიერი თიხნარით სავსე პატარა ორმოში აღმოჩნდა პირაღმა ჩადებული ცხენის თავის ქალა; ისევე, როგორც იმირის გორაზე, ქვედა ყბა თან არ ახლდა. სამწუხაროდ, ვერც ამ შემთხვევაში ხერხდება მისი მიკუთვნება რომელიმე გარკვეული პერიოდის ფენისადმი, რადგანაც ის მოდიოდა № 4 მიწურის W ნაპირზე და გარკვევით არ ჩანდა მიწურისაა, თუ ადრეული პერიოდის ნანგრევისა. უფრო სავარაუდებელია, რომ თავის ქალა გვიანი პერიოდისა უნდა იყოს.

მთელ გათხრილ ფართობზე გაიწმინდა 9 მოზრდილი ხარო. თავდაპირველად ისე ჩანდა, თითქოს ისინი მიწურებიდანაა ჩაჭრილი, მაგრამ ზოგი მათგანი, კერძოდ ორი დიდი ხარო 36 და 37 კვადრატებში, მიწურის გარეთაა მოქცეული, და როგორც ჩვენი თხრილის N კედლის ჭრილში ჩანს, ამოღებული ყოფილა თითქმის გორის თანამედროვე ზედაპირიდან. ხაროებს ზარისებური

მოყვანილობა აქვს და სხვადასხვა დონეზე ჩადის; მაგალითად, ზემოდასახელებული ორი ხარო ჩადის —4 მეტრამდე, 59 კვადრატში ჩაჭრილი ხარო —4,5 მ-მდე, 56, 66 კვადრატებში კი— 2,7 —2,85 მეტრამდე. ხაროები სავსეა ისეთივე მიწით, როგორც მიწურები, ისე რომ მათი თანადროულობა უთუოდ სავარაუდებელია.

მიწურებისა და ხაროების დასათარიღებლად შეიძლება გამოდგეს აგურისა და ცისფერი შორენკეცის ნატეხები, რომლებიც აქ ოდესღაც მდგარი მავზოლეუმის ნაშთია. ასეთი მავზოლეუმები ჯერ კიდევ ფეხზე დგას მახლობელი სოფლის კუშჩუს სასაფლაოზე და მათზე მოთავსებული არაბული წარწერების მიხედვით, რომლებიც წაიკითხა ექსპედიციის წევრმა ერეკლე ქორიძემ, თარიღდება XVIII ს. მიწურულით. ამრიგად, მიწურები გამართულია მათი დანგრევის შემდეგ, ე. ი. დაახლოებით XIX ს. მეორე ნახევარში, ან XX ს. დასაწყისში და ალბათ, როგორც ეს გვითხრა ადგილობრივი სკოლის მასწავლებელმა ხუდაევმა, სეზონურ სადგომებს წარმოადგენდა. მაგრამ ამასთანავე ნათელი გახდა, რომ მისივე მტკიცების წინააღმდეგ ბორცვის ზედაპირზე შესამჩნევი დეპრესიები მიწურებს არ ემთხვევა.

მთელი გასათხრელი ფართობი, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, საშუალოდ —3 მ დონიდან, ე. ი. მიწურების ქვემოთ, დაფარული იყო ნანგრევი ალიზის შენობების მეტისმეტად მკვრივი ფენით. თიხნარი, დაშლილი ფენის პრეპარაციის შემდეგ, საშუალოდ —3—3,5 მ დონეზე თანდათანობით გამოიკვეთა შენობათა კედლების ნანგრევები და ნაწყვეტები. აქედან იწყება ბორცვის ძირითადი, უძველესი ნასოფლარის ფენა. რადგანაც 1972 წლის შურფში ძირითადად დადგენილ იქნა ნასოფლარის სტრატიგრაფია, ამიტომ აქ მიღებულ მონაცემებზე შედარებით ვრცლად შევჩერდებით (ტაბ. $I_3$, II, სურ. 1).

ალიზი, რომლითაც აგებულია შენობები, საკმაოდ დიდი ზომისაა; გვხვდება ძალიან დიდი ცალები, სიგრძით 50 სმ, მაგრამ ძირითადად გამოყენებულია 44 სმ სიგრძის ალიზი; სიგანე და სისქე ყველგან თანაბარია, შესაბამისად 20 და 8 სმ. ალიზები მცირედ არის ამოზურგული და წესიერი დაკუთხული მოყვანილობა აქვს. წყობა თავისუფალია, ალაგ-ალაგ გადაბმული. თიხის ხსნარი, ჩვეულებისამებრ, მტკიცე, 3—4 სმ სისქისაა; იგივე ხსნარი გამოყენებულია კედლების შესალესად.

თხრილის შუა ნაწილში, მთელ მის სიგრძეზე, შემოიხაზა ალიზის გრძელი (დაახლოებით 8 მ) და საკმაოდ სქელი, მორკალული — სამხრეთისაკენ გაზნექილი — კედელი, რომლის ორივე ბოლოში გამობმულია თითო წრიული ნაგებობა, აღმოსავლეთის — მომცრო (დიამ. 1,8 მ), თავის მხრივ დაკავშირებული თხრილის N O კუთხეში გამოჩენილ დიდ მორკალულ კედელთან, დასავლეთისა — შედარებით მოზრდილი (დიამ. 3 მ-მდე), როგორც ჩანს საცხოვრებელი: ამ უკანასკნელის კედელთან, გარეთ, —3,5 მ დონეზე აღმოჩნდა ერთად დაწყობილი ქვის გახეხილ-გაპრიალებული 3 ცული და ცულის 5 ნამზადი. მორკალულ ზღუდეს სამხრეთიდან პერპენდიკულარულად ებჯინება და უერთდება ასევე ოდნავ მორკალული კედელი, რომელიც შენობათა სხვა კომპლექსს უნდა ეკუთვნოდეს და ამჟამად თხრილს გარეთ გადის.

მორკალული დიდი კედლით შემოფარგლულ არეზე, მის ჩრდილოეთით, გაიწმინდა ალიზის წრიული შენობის ნაშთი, დიამ. 2,6—2,7 მ. მისგან გადარ-

ჩენილი იყო მხოლოდ ალიზის ქვედა ერთი რიგი, რომელიც მოდიოდა —3,05 მ დონეზე; იატაკს ნალესობა არ ეტყობოდა. ამ შენობის S მხარე უშუალოდ ებჯინებოდა ზღუდის კედელს, მაგრამ არაფრით არ იყო დაკავშირებული მასთან. საფიქრებელია, რომ ეს შენობა, რომელსაც მიეცა № 1, ზღუდეზე უფრო გვიანაა აშენებული.

ზღუდის შიგნით მოქცეულ ფართობზე, ამავე დონეზე, შემოიხაზა 6 პატარა წრე, რომელიც ამოწმენდის შემდეგ ნაცრით სავსე კერა აღმოჩნდა. ორი მათგანი ექცევა № 1 შენობის შუაგულში, ერთი თითქმის ზუსტად ცენტრში, მეორე კი — მის სამხრეთ-დასავლეთით; ამის მიუხედავად, ისე ჩანს, რომ კერები ამ შენობას არ ეკუთვნის. ნაცრიანი ფენა მთელს ამ ფართობზე ვრცელდება დიდი ზღუდის შიგნითაც და გარეთაც —3 მ დონეზე. ის უნდა წარმოადგენდეს აქ სადღეისოდ გადარჩენილ ზემოდან პირველს, ქვევიდან კი მე-9 ნაცრიან შრეს და ამავე დროს, ქვევიდან VI სამშენებლო ჰორიზონტს, რომელშიც მოვაქცევთ სხვადასხვა თანმიმდევრობით, მაგრამ ერთ პერიოდში აგებულ შენობების ნაშთებს — № 1 წრიული სახლი, ზღუდე და მასთან დაკავშირებული პატარა წრიული ნაგებობა № 3 და პერპენდიკულარული კედელი.

დიდი ზღუდის გარეთ, მის სამხრეთითა და შურფის O კედლის ძირში აღმოჩნდა კიდევ ორი კერის ნაშთი. კერები ძირითადად ერთნაირია, მხოლოდ სხვადასხვა ზომითაა შენახული და როგორც ჩანს სხვადასხვა დონიდან ყოფილა ჩაშვებული. ყველაზე სრულად იყო გადარჩენილი № 1 შენობის ფარგლებში მოქცეული ორი კერა. ისინი წარმოადგენენ თიხისაგან გამოძერწილსა და გამოუწვავ, ცილინდრულტანიან, ძირქუსლიანსა და პირმოყრილ ჭურჭლებს, პირამდე ჩაფლულს მიწაში; მათი ზომა დაახლოებით ერთნაირია: სიმაღლე — 70—75 სმ; დიამ. 65—70 სმ, კედლის სისქე — 2—4 სმ. ზოგიერთ მათგანს ეტყობა განახლების — სიმაღლეზე დამატებით მოლესვის ნიშნები. № 1 შენობის ცენტრში მოქცეულ კერას აღმოაჩნდა დასავლეთის კედელზე მიძერწილი 2 პატარა „ჯიბე“. ერთი მათგანი მიძერწილი იყო კერის გარედან, წელთან და დაკავშირებული იყო მასთან პატარა ხვრელით. მეორე მერცხლისბუდისებური „ჯიბე“ მიძერწილი იყო შიგნიდან, პირველის თავზე და ამოვსილი აღმოჩნდა დამწვარი რქისა და ძვლის წმინდა ფერფლით. თვით კერა პირამდე სავსე იყო მტკიცე ნაცრით, რომელშიც ეწყო ცხვრის 6 ნეკნი, რამდენიმე მალა, ძაღლის ქვედა ყბის ნახევარი და უმი თიხის მრგვალი და ოვალური კვერები, აგრეთვე — თითქოს კერის ზედა ნაწილის ფრაგმენტები და ქვის უფორმო ნატეხები; საყურადღებოა, რომ ეს კერა ჩადგმული აღმოჩნდა ქუსლით ასეთივე კერის ქვედა ნაწილში, რომელიც აქვე მდგარა და დაუქმების შემდეგ ადგილზე დაუტოვებიათ.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა № 1 შენობაში მოქცეული მეორე კერის ნაშთი, რომელიც მდებარეობდა პირველისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 30 სმ დაშორებით. ისიც პირამდე სავსე იყო მეტისმეტად მტკიცედ დატკეპნილი წმინდა ნაცრით, რომელიც წვის ნელ-ნელა წვის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი. აღსანიშნავია, რომ არც კერის უმი თიხის კედლებსა და არც ნაცარში ჩაწყობილ უმი თიხის კვერებს არ ეტყობა არც ალის, არც ძლიერი სიმხურვალის მოქმედების კვალი. უნდა ვიფიქროთ, რომ კერებში იდებოდა და ინახებოდა უკვე ცეცხლმოკიდებული, ნაცრისქერქგადაკრული და სანახევ-

როდ ჩაფერფლილი წივის ნაჭრები, რომელთა გულში ნელ-ნელა და დიდხანს ღვიოდა უქრობი ცეცხლი. წივის ფართოდ გამოყენებითვე უნდა აიხსნას სხვადასხვა საცხოვრებელ დონეებზე დარჩენილი ნაცრისა და ფერფლის არაჩვეულებრივი სიუხვე და ნახშირის ნაწილაკების მეტისმეტი სიმცირე.

ნაცრის ზედა ფენებში ეწყო უმი თიხის ოვალური კვერები, რომლებიც სამწუხაროდ, ადგილზევე იშლებოდა, ხოლო 12 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა უმი თიხისვე ბრტყელი „ფილების“ ნატეხები. უფრო ღრმად სხვადასხვა დონეზე ჩაწყობილი აღმოჩნდა უმი თიხის ანთროპომორფული ფიგურების მთელი სერია — 17 სხვადასხვა ეგზემპლარის ფრაგმენტები. მთლიანად მხოლოდ ერთი ფიგურის აღდგენა ხერხდება, სამს აკლია თავი (ტაბ. III). დანარჩენები კი წარმოადგენს სხეულის სხვადასხვა ნაწილს; აღსანიშნავია, რომ ამავე დონეზე, კულტურულ ფენაში და თხრილის SO კუთხესთან კერის ნაშთში ნაპოვნი იქნა ასეთივე ფიგურების კიდევ ოთხი ფრაგმენტი — ერთი შესანიშნავი თავი და ფეხების ნატეხები; ამრიგად ხრამის დიდ გორაზე 1972 წ. აღმოჩნდა სულ 21 ანთროპომორფული ფიგურის ნაშთი. ტორსისა და ფეხის ცალკეული ფრაგმენტები აღმოჩნდა 1973 წელსაც. ყველა ფიგურა წარმოადგენს მრგვალ სკულპტურას და მეტნაკლებად სტილიზებულია; მათი ზომები მერყეობს 5,6—4,6 სმ ფარგლებში. ერთი საეჭვო შემთხვევის გარდა ყველა ფიგურა გამოხატავს ქალს, უმთავრესად მკვეთრად ხაზგასმული მდედრობითი ნიშნებით. ერთის გარდა ყველა ფიგურა მჯდომარე პოზაშია; ფეხების მდგომარეობის მიხედვით მათ შორის შეიძლება გაირჩეს ორი ძირითადი ტიპი: ფეხმოხრილი. მუხლებაწეული და ფეხგაჭიმული. პირველი ტიპი ხასიათდება შესრულების შედარებით რეალისტური მანერით, თუმცა ერთის გარდა არც ერთს არ გააჩნია ხელები; ამ ერთსაც სხეულზე დაძერწილი აქვს თიხის რელიეფური „ღვედები“, რომლებიც სავარაუდოდ შეიძლება მივიჩნიოთ ხელებად. ფიგურები დიდი ოსტატობითაა მოდელირებული და მეტად ექსპრესიულია. მათ გამომეტყველებას აძლიერებდა თავის დროზე ინკრუსტირებული თვალები და თეთრი და შავი საღებავით შეფერადებული პირისახის სიბრტყეები, როგორც ამას ვხედავთ ცალკე აღმოჩენილ 2 თავზე[2].

ზემოაღნიშნული სამშენებლო ნაშთების ფიქსირების შემდეგ შევუდექით მათ აღებასა და თხრილში დაღრმავებას; დიდი მორკალული ზღუდისა და მასთან დაკავშირებული № 3 წრიული ნაგებობის ძირი —3,45 მ დონემდე ჩავიდა და შეწყდა; როგორც ჩანს, აგების დროს ისინი ამ სიღრმემდე იქნა ჩაჭრილი. ეს არის დონე, სადაც ვრცელდება და ხსენებული კედლების ქვეშაც შედის მძლავრი ნაცარნახშირიანი შრის შემცველი კულტურული ფენა, რომელთანაც დაკავშირებულია წინა, ე. ი. ჩვენი ვარაუდით მე-5 სამშენებლო პერიოდის ნაშთები და რომლებიც მოქცეულია საშუალოდ —3,20 —4,10 მ დონეებს შორის.

ნიშანდობლივია, რომ V სამშენებლო პერიოდში სოფლის ამ ნაწილში ისეთივე ძირითადი გეგმარება დგინდება, როგორც შემდეგში; ამ ხანაში აქ უკვე არსებულა ერთი დიდი საცხოვრებელი კომპლექსი, შედგენილი წრიული ზღუდისა და მასში ჩართული წრიული ნაგებობებისაგან; ამრიგად, VI პერი-

---

2 ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ფიგურების შესახებ საგანგებო წერილი დაიბეჭდა ძეგლის მეგობრის 33-ე ნომერში;

ოდის კედლები თითქმის ზუსტად ემთხვევა წინა პერიოდის კედლებს. მაგრამ არის ზოგი არსებითი განსხვავებაც: მთავარ მორკალულ ალიზის ზღუდეში, რომელიც აღმოსავლეთ ბოლოთი ებჯინება № 3 ნაგებობის ქვეშ ადრე მდგარ უფრო დიდი ზომის წრიულსავე ნაგებობას, ხოლო დასავლეთით უერთდება № 8 წრიულ შენობას (ის, როგორც ჩანს, VI პერიოდშიც განაგრძობდა არსებობას), ჩართულია საშუალო ზომის (დიამ. 2,5 მ) წრიულივე საცხოვრებელი შენობა № 6. უკანასკნელი მრავალმხრივაა საყურადღებო—შუაში მას ჰქონდა ორმო, რომელშიც იდო დაბრტყელებულზედაპირიანი მრგვალი ქვა (რომელზეც, შესაძლოა, ცენტრალური ხის სვეტი იდგა), ხოლო ჩრდილოეთით გაჭრილი კარის წირთხლებს ალიზის კვადრატული ორი პილონი ამაგრებდა. ეს საცხოვრებელი კომპლექსი არაერთხელ უნდა იყოს განახლებული ან გადაკეთებული, რაზედაც ჩვენ მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა თუ გვექნება, მანამ ის მთლიანად არ გაითხრება; ზღუდის კედელი ორჯერ მაინც ყოფილა განახლებული.

თვით № 6 შენობა და მასთან დაკავშირებული ზღუდე დგას უფრო ადრეული, IV პერიოდის საამშენებლო ნაშთებზე, ამ დროს № 6 შენობის ადგილას მდგარა ასევე წრიული, პილონებითვე კარებგამაგრებული, მხოლოდ უფრო მოზრდილი (დიამ. 3,5 მ) შენობა, დაკავშირებული ზღუდის კედლებით, დასავლეთით № 8 შენობის წინამორბედი № $8_1$ შენობასთან, ხოლო აღმოსავლეთით — ექსპედიციის მიერ ჯერჯერობით გაუთხრელ წრიულ შენობასთან; IV პერიოდის ნაშთები გავრცელებულია საშუალოდ —4,10 —4,50 მ შორის და დაკავშირებულია ქვევიდან მე-6, მძლავრ ნაცრიან შრესთან.

№ 6 და 7 შენობათა თავისებურებები, განსაკუთრებით ტანის აშკარად გამოხატული ცილინდრულობა, კარის გამაგრება პილონებით და № 7 შენობის კარგი დაცულობა იმდენად მნიშვნელოვნად გამოიყურებოდა, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ ჯერჯერობით თავი შეგვეკავებინა მათი დანგრევისაგან. ამიტომ დაღრმავება გავაგრძელეთ სტრატიგრაფიული თხრილის N ნაწილში, შემოზღუდული „ეზოს“ ფარგლებში; ჩვენ ხელუხლებლად ვტოვებდით აქ გამოჩენილ ალიზის კედლებს, ვაფიქსირებდით მათ და მათთან დაკავშირებულ ნაცარნახშირიან ფენებსა და ასე, ნელ-ნელა, ჩავდიოდით სიღრმეში. ამ გზით IV პერიოდის ნაცრიანი შრის ქვეშ —4,5 —4,8 მ დონეებს შორის დადგინდა № $8_1$ შენობასთანავე დაკავშირებული მძლავრი ნაცრიანი დონე, რომელიც ჩვენ ცალკე, III პერიოდად გამოვყავით; ამ დროს უნდა მომხდარიყო № 7 შენობის ერთგვარი გადაკეთება — ძველი კარის ამოშენება (?), რაც მისი შემდგომი შესწავლის შემდეგ უნდა გაირკვეს. —4,80 —5,40 მ შორის დაფიქსირებული იქნა ერთი მძლავრი, 25 სმ სისქისა, და ორი თხელი ნაცრიანი ფენა, რომლებიც უკავშირდება № $8_1$ შენობის ქვეშ ადრე მდგარ № 13 წრიულ შენობას (შურფში გაწმენდილი იქნა ამ შენობის O კედლის გარეთა პირის პატარა მონაკვეთი) და № 7 შენობის ძირს; ეს სამი ნაცრიანი შრე ცალკე, ქვემოდან II სამშენებლო პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. და ბოლოს, კიდევ ერთი, I პერიოდის შესატყვისი ნაცრიანი შრე და წრიული № 14 შენობის კედელი აღმოჩნდა № 7 შენობის ქვეშ, —5,56 მ დონეზე. ეს ფენა ჩადის —5,75 —6,0 დონემდე, სადაც იწყება გრუნტი. პირველი სამშენებლო ფენიდან გრუნტში 60—80 სმ სიღრმეზე ჩაშვებული აღმოჩნდა ორი პატარა ხარო, რომელიც, ძირითადად, მოქცეულია ჩვენი საძიებო თხრილის N კედლის გარეთ და გაუთხრელი დარ-

ჩა. სტრატიგრაფიული თხრილი დავიყვანეთ -6,8 მ დონემდე, ე. ი. გრუნტი ჩავჭერით 80 სმ სიღრმეზე; გამოირკვა, რომ ის წარმოადგენს სუფთა, ღია ყვითელი ფერის წვრილმარცვლიან თიხნარს.

ამრიგად, მცირე ზომების მიუხედავად, ხრამის დიდ გორაზე 1972 წ. გაჭრილი თხრილი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ ბორცვის დასავლეთ ფერდობზე კულტურული ფენის სიმძლავრე 4,8 მ აღწევს. ფენა შეიცავს 3 პერიოდის ნაშთებს: XIX ს. ნახევარმიწურებს, გვიანფეოდალური ხანის ქრისტიანულ სამარხებსა და ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარის ნანგრევებს: თვით ნასოფლარის ამ უბანზე დადგინდა 6 საამშენებლო პერიოდის შენობები და მათთან დაკავშირებული ნაცარ-ნახშირიანი 9 შრე. ირკვევა, რომ სოფლის არსებობის მანძილზე აქ არ მომხდარა არსებითი ცვლილება მის გეგმარებაში — მეტ-ნაკლები გადაკეთება შენობათა კომპლექსებს განუცდია ორჯერ — I—II და V—VI ჰორიზონტებს შორის, სხვა დროს კი ხდებოდა არსებული შენობების განახლება, ან ხელახლა აგება. კულტურის თვალსაზრისით ნასოფლარი სავსებით ერთნაირია; სხვადასხვა დონეზე აღმოჩენილ ნივთიერ მასალაშიც არ არის არსებითი განსხვავება.

1973 წ. გათხრები შედარებით, ფართოდ წარმოებდა, მაგრამ ძირითადად მხოლოდ V საამშენებლო დონეზე. გათხრილი ფართობის დიდი ნაწილი, როგორც აღნიშნული იყო, — 3 მ დონემდე, მიწურების ფენით ძლიერ იყო დაზიანებული, ისე რომ, ფაქტიურად, VI დონის ნაგებობათა მხოლოდ მცირე ფრაგმენტებიღა იყო გადარჩენილი, ისიც მის SO კუთხეში (სურ. 1).

გათხრილი ფართობის, დაახლოებით, შუაგული უჭირავს მეტ-ნაკლებად წესიერი წრიული მოყვანილობის საშუალო ზომის ალიზის ნაგებობას, რომელმაც მიიღო № 16. მისი კედლები გამოჩნდა № 2 მიწურის იატაკის აღებისთანავე —3 მ დონეზე, 67, 68, 77, 78 კვადრატებში. შენობის დიამეტრი უდრის 2,8 მ, შიდა დიამეტრი — 2,4 მ. შენობა ოდნავ ვიწროვდება ზემოთკენ, გარედან თითქმის ცილინდრული მოყვანილობა აქვს (როგორც წინა წელს გათხრილ № 7 ნაგებობას). მისი კედლები შემორჩენილია დაახლოებით 80 სმ სიმაღლეზე; სამხრეთის მხარეს, სადაც გაიწმინდა მტკიცედ მოტკეპნილი თიხის „იატაკი", ზედ გადაკრული ნაცრის თხელი შრით, შენობის კედლის გარეთა პირი ჩადის —3,8 მ დონეზე. აქედან ფართობი მცირედაა დაქანებული S მიმართულებით და 1972 წლის საძიებო თხრილის N კედლის ჭრილში გადადის (88 კვადრატში) —3,83 მ დონეზე, ე. ი. იქ, სადაც 1972 წ. დადგენილი იყო ზემოდან მეორე ნაცრიანი შრე, რომელიც შეესატყვისება № 6,8 შენობებს და მიეკუთვნება ქვემოდან V საამშენებლო ჰორიზონტს. ამას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან № 16 შენობას SO და NW მხრიდან უკავშირდება თითო მორკალული კედელი — გალავანი, რომელთაგან პირველი მეორე ბოლოთი ებჯინება № 3 შენობის N გვერდს, ხოლო მეორე № 8 შენობას — ზედა საამშენებლო ფენას. ამრიგად, იკვრება დაახლოებით ელიფსური მოყვანილობის ფართობი, შემოზღუდული ალიზის კედლით, რომელშიც ჩართულია 4 წრიული შენობა — № 6, № 8 (ზედა დონე), № 3 (ზემოდან მეორე დონე) და № 16. ეს არის საკმაოდ მოზრდილი სამეურნეო ეზო, სიგრძით დაახლოებით 7, ხოლო სიგანით 5 მ-მდე, შეკრული ალიზის კედლითა და 3 საცხოვრებელი და 1 მომცრო სამეურნეო ნაგებობით — ტიპიური საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის მსგავსი უკვე დადგენილი იყო იმირის გორაზე.

ეზოს შემომფარგვლელი კედლის იმ მონაკვეთში, რომელიც აერთებს № 16 და № 8 შენობებს, შუა ადგილას, გაჭრილი ყოფილა ეზოში შესასვლელი კარი, რომელიც გამაგრებულია ორივე მხარეს თითო მძლავრი პილონით. პილონები გაკეთებულია გარდი-გარდმო დაწყობილი ალიზით (როგორც იმირის გორის № 9—10 შენობაში) და შელესილია, კედლის მსგავსად, თიხის სქელი ხსნარით. კარს ჰქონია თიხისავე ზღურბლი; ამრიგად, ეზოში შესასვლელი გამართული ყოფილა N მხრიდან.

ამ საცხოვრებელი კომპლექსის სამი შენობა (№№ 3, 6, 8) როგორც ვიცით, გათხრილი იყო 1972 წელს. მეოთხე შენობა № 16 მთლიანად 1973 წელს გაითხარა, № 8 შენობისა კი გაიწმინდა მხოლოდ აქამდე ხელუხლებლად დატოვებული NW ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 3 მ დონიდან სხვადასხვა ადგილას გამოჩნდა რამდენიმე კერის ნაშთი; ყველა მათგანი ჩადიოდა საშუალოდ 20—30 სმ სიღრმეზე, ხოლო № 9 კერა, 76, 86 კვადრატში —3,6 მ დონემდე. ეს კერები ისეთივეა, როგორც 1972 წელს გაჭრილ თხრილში დადასტურებული კერები, სადაც ანთროპომორფული თიხის ფიგურებიც აღმოჩნდა და მათ მსგავსად უნდა ეკუთვნოდეს ან უშუალოდ ყველაზე ზედა VI საამშენებლო ჰორიზონტს, ან უკვე განადგურებულსა და სრულიად გამქრალ ჰორიზონტს.

ეს კერებიც სავსე იყო წმინდა ნაცრით, რომელიც უთუოდ წვის წვას შედეგადაა დარჩენილი; ნაცარში სხვადასხვა დონეზე გვხვდებოდა სხვადასხვა ზომისა და უწესო მოყვანილობის თიხის „კვერები“ და გუნდები, რომელთაგან ზოგიერთი მცირედ იყო გამომწვარი. № 9 კერაში ეწყო, აგრეთვე, ძვლის ორი სადგისი და ბატკნისა თუ თხის ძვლები — თავის ქალის ნაშთი და რამდენიმე ნეკნი.

ერთი ასეთივე კერის ნაშთი — ქვედა ნახევარი, აღმოჩნდა თხრილის NO კუთხეში გამოვლენილ № 17 ნაგებობის ფართობზე, მის ნანგრევებში. კერის ზედა ნაპირი წაჭრილი იყო № 2 მიწურის მიერ; ძირი ჩადიოდა დაახლოებით № 17 შენობის იატაკამდე. ამრიგად, თუმცა ზოგიერთი ამგვარი კერა მოდის ამა თუ იმ წრიული შენობის ფართობზე, ჯერჯერობით არც ერთი მათგანი, როგორც ჩანს არც 1972 წ. № 1 შენობის ფარგლებში აღმოჩენილი კერები მტკიცედ არ უკავშირდება რომელიმე შენობის ინტერიერს, დღესდღეობით აქ გადარჩენილ საამშენებლო დონეებზე.

თხრილის შუა ადგილას გამოვლენილი საცხოვრებელი კომპლექსის შენობებს რამდენიმე მორკალული კედელი უკავშირდება. № 8 შენობას NW მხრიდან მოკლე კედლით ებმის დაახლოებით მისივე ზომის წრიული ნაგებობა № 23. მისგან მხოლოდ ძირიღაა გადარჩენილი, რადგან მის თავზე გამართული იყო № 3 მიწური. შენობის გარე დიამეტრი 3,6 მ უდრის, ხოლო შიდა 3 მ. შენობის ცენტრში იდო მოზრდილი ხელსაფქვავის ქვედა ქვა, რომელსაც ცალი მხრიდან მოკოდვით მიცემული ჰქონდა წრიული მოყვანილობა. მისი ზედაპირი მთლიანად იყო დაფარული ღია წითელი ფერის ოქრით, რომელიც მასზე დაუფქვიათ პატარა მოგრძო კურანტით. იატაკი დაფარული იყო ნაცრის სქელი ფენით, ხოლო NO მხარეს, კედლის ძირში, რომელიც ცეცხლისაგან გაწითლებული და გაჭვარტლული იყო, გაიწმინდა მარტივი კერა — ნახევარწრიულად მოკირწყლული ფართობი, გადალესილი თიხის თხელი ფენით. SO მხარეს, კედლის ძირში შემოიხაზა ალიზის ვიწრო საფეხური, რო-

მელიც შესაძლოა ქვედა საამშენებლო ჰორიზონტის წრიული შენობის ნაშთიც იყოს.

№ 16 შენობას NO მხრიდან ებმის მცირედ მორკალული კედელი, რომელიც აღმოსავლეთისკენ გრძელდება 5 მეტრის მანძილზე და ჩვენი თხრილის O კედელში შედის. ამ ადგილას მასზე დაშენებულია პატარა წრიული ნაგებობა — № 20, რომლისგანაც მხოლოდ ძირია გადარჩენილი — ზედა ნაწილი განადგურებულია № 6 სამარხითა და № 2 მიწურით. № 20 შენობის ძირი მოდის —3,10 მ დონეზე და ის VI საამშენებლო ჰორიზონტს უნდა ეკუთვნოდეს. SO მხრიდან მასთან დაკავშირებულია მორკალული კედელი, რომელიც O-კენ გრძელდება და ჩვენი თხრილის O კედელში შედის.

ამავე საამშენებლო ჰორიზონტისა ჩანს № 15 წრიული შენობის ძირის ძლიერ დაზიანებული ნაშთი, 79, 70, 89, 80 კვადრატებში. მისი დიამეტრი 3 მ უნდა ყოფილიყო; ძირი მოდის —3,20 მ დონეზე. SW მხრიდან მასზე მობმულია მორკალული კედელი, რომელიც დასავლეთით მიემართება, ჰკვეთს № 3 და № 16 შენობების დამაკავშირებელ ალიზის მორკალულ კედელს და თვითონ გადაჭრილია № 2 მიწურით; რასთან იყო ის დაკავშირებული ამ მხრიდან, აღარ ჩანს.

ასევე გაურკვეველი რჩება კიდევ ერთი მორკალული კედლის ნაწყვეტის დანიშნულება; ის მიდგმულია № 16 და № 8 შენობების დამაკავშირებელ კედელზე ეზოს მხრიდან, კარის პილონის გვერდითვე. ერთი მხრივ, თითქოს უეჭველია, რომ ეს კედელი კომპლექსის თანადროულია, რადგან მის დონეზეა დაშენებული და მის მსგავსად გადარჩენილია თითქმის 80 სმ სიმაღლეზე; მაგრამ, მეორე მხრივ, მეტად უცნაურია, რომ, თუმცა ის მოხრილია SW-კენ და № 8 შენობისაკენ უხვევს, მაინც მეტად უხერხულადაა გაჩხირული შემოსასვლელში. სამწუხაროდ ეს კედელი გადაჭრილი აღმოჩნდა ჯერ მოზრდილი № 9 კერით, ხოლო შემდეგ № 2 მიწურით. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეზოში შემოსასვლელი, ერთგვარად პარადული კარი, რომლის სიგანე 80 სმ აღწევს, თავდაპირველად ყოფილიყო დახშული უხერხულად ჩაშენებული კედლით; საფიქრებელია, რომ ის აგებულია მოგვიანებით, როცა ეზოს დონემ მაღლა აიწია და კარმაც გარკვეული ცვლილება განიცადა; ამ ცვლილების კვალი მკრთლად ემჩნევა პილონებს, რომელთაგან დასავლეთისა ძლიერ ყოფილა დაზიანებული, ხოლო კარის ზღურბლი აწეული. ეზოს დონის აწევა შესამჩნევია გალავნის O ძირშიც, № 16 შენობის გვერდით, სადაც გამართული ყოფილა ღია კერა — ქვებით მოკირწყლული პატარა ოვალური მოედანი ცეცხლის დანთების ძლიერი კვალით; კედლის ზედაპირი ერთიანად შეწითლებული — გამომწვარია, ამ კერის ნაცრით უნდა ყოფილიყო დაფარული ეზოს ზედაპირი. კერა რამდენიმეჯერ ყოფილა განახლებული — დადგენილი იქნა ერთიმეორეზე გადალესილი მისი 3 ძირი.

№ 16 შენობის კედელში S მხარეს გაჭრილი ყოფილა 80 სმ სიგანის კარი, 30 სმ სიმაღლის ზღურბლით, კარის ნაპირები — წირთხლები სუფთადაა მომრგვალებული და შელესილი. ამრიგად ამ შენობას შესასვლელი ჰქონდა ეზოდან, S მხრიდან. აღსანიშნავია, რომ შულავერისა და იმირის გორებისაგან განსხვავებით, აქ შენობებისა და ეზოს თიხატკეპნილი იატაკი ერთ დონეზეა; არა ჩანს, აგრეთვე, მძლავრი თიხის სარტყლები კედლების ირგვლივ.

№ 16 შენობის აღმოსავლეთით, -3,5 მ დონეზე გაიწმინდა თიხატკეპნილი

ფართობი, რომელსაც ნაცრიანი შრე ეფარა. აქ, უშუალოდ № 16 შენობის კედელზე მიდგმული იყო ნახევარწრიული „კერა“ — მკვრივი თიხით მოლესილი 2 კონცენტრული ნახევარწრიული ბორტი; პატარის დიამეტრი 30 სმ-ია, ხოლო მისი შემომფარგვლელისა — 50 სმ. ამ „კერის“ ირგვლივ იატაკზე მოფენილი იყო შერდულის ქვები, რამდენიმე მოზრდილი რიყის ქვა; გარეთა წრე ამოვსებული იყო საგანგებოდ შერჩეული თეთრი წვრილი კენჭით; აქვე, ნაცარი სავსე აღმოჩნდა ობსიდიანის წვრილი ანატკეცებით, კაჟის ანამტვრევებითა და წვრილი ნახშირით. თვით „კერას“ ცეცხლის მოქმედების კვალი არ ემჩნევა. „კერის“ წინ, თიხატკეპნილ იატაკში ჩასმული აღმოჩნდა ჩვეულებრივი ქილისებური გამოუწვავი თიხის კერა, სავსე მტკიცე მოთეთრო ნაცრით, რომელშიც ჩვეულებისამებრ შერეული იყო თიხის „კვერები“ და გუნდები.

№ 16 შენობის შიდა ნაწილის პრეპარაცია მეტად გაძნელებული იყო. კედლებისა და გუმბათის ნანგრევებთან ერთად უნებლიეთ ითხრებოდა იატაკზე თიხითვე მოლესილი სხვადასხვა დანიშნულების „კერები“. სამწუხაროდ, არსებითად გაურკვეველი რჩება ინტერიერის ამგვარი მოწყობილობა.

№ 17 შენობაში, რომელიც თითქოს განცალკავებულად დგას თხრილის NO მონაკვეთში, მაგრამ სტრატიგრაფიულად V ჰორიზონტს შეიძლება მიეკუთვნოს, რადგან მისი ძირი მოდის -3,5 მ დონეზე, გაიწმინდა იატაკზე, კედელთან მოლესილი ორი ოვალური ფართობი, შემოფარგლული ძალიან დაბალი თიხის ბორტით. ერთი მათგანი, მოზრდილი, მდებარეობს SW მხარეს; შუაგულში მას გააჩნია „ბაქანი“ — საგანგებოდ დადებული ერთი ცალი ალიზი. ის ძალიან ჰგავს „კერას“, რომელიც № 16 შენობის კედელთან. გარედანაა გამართული, იმ განსხვავებით, რომ აქ, შუაში ღრმულის ნაცვლად სიბრტყეა. ნახევარწრის ზომა 70 სმ-ია, ბორტის სიმაღლე — 10 სმ, „ბაქანის“ სიგრძე — 35 სმ, სიგანე — 25 სმ. მეორე წრიული მოლესილობა გამართულია S ნაწილში, კედელთან, პირველისაგან 70 სმ დაშორებით; მისი დიამეტრი 60 სმ-ია.

ეს შენობა მეტად თავისებურადაა დანგრეული — მისი კედლების ზემო ნაწილები მთლიანად, დაუშლელად იყო ჩამოვარდნილი — გადმომჯდარი და ვერტიკალურადვე იდგა, ისე რომ თავდაპირველად ორმაგი კედლის შთაბეჭდილებას სტოვებდა. კედელი გადმომჯდარი იყო NO-დან SW-კენ — NO მხარეს შენობის შიგნით, SW მხარეს შენობის გარეთ. თვით შენობა ამოვსილი იყო ალიზის მსხვილი, ქვასავით მაგარი ნატეხებით და მეტად ძნელად იწმინდებოდა. ნგრევის ამგვარი სურათი ჩანდა № 6 შენობისა და მის და № 8 შენობას შორის ჩაშენებული გალავნის კედლის გაწმენდის დროს. № 6 შენობის კედელი გადმომჯდარი იყო SW მხრიდან NO მხარეს. 1972 წ. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ნგრევის ასეთი ხასიათი მიწისძვრით შეიძლება ახსნილიყო; № 17 შენობის ნგრევის ხასიათი თითქოს ამტკიცებს ასეთ ვარაუდს და მიგვითითებს მიწისძვრის ბიძგის ძირითად მიმართულებაზე — NO — SW. ამასთანავე, იგივე გარემოება შეიძლება მივიჩნიოთ № 6 და № 17 შენობების თანადროულობის საბუთად, თუმცა, როგორც ითქვა, ეს უკანასკნელი თითქოს არც ერთ შენობას არ ებმის: მისგან W მიმართულებით გამოდის გალავნის მორკალული კედელი, რომელიც 2 მეტრზე ვრცელდება და წყდება — წაჭრილი უნდა იყოს მოგვიანო, № 18 შენობის კედლისაგან. № 17 შენობიდან, ზემოხსენებულის გარდა, გამოდიოდა, როგორც ჩანს, კიდევ ერთი კედელი, რომელიც NW-კენ

უნდა ყოფილიყო მიმართული; მისგან ერთი ალიზის გარდა აღარაფერი იყო გადარჩენილი. სწორედ ამ კედლის ნაშთთან გაიწმინდა თიხატკეპნილი პატარა ფართობის ქვეშ მოფენილი, საგანგებოდ შერჩეული ფერადი კენჭების გროვა; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც ისეთივე თიხალესილი „კერა“ იყო, როგორც № 16 შენობის გარეთ, კედელთან.

მეტად საყურადღებოა ორი, სამწუხაროდ თითქმის სრულიად განადგურებული შენობის ნაშთები, რომლებიც გაიწმინდა 55, 56, 57, 66, 67 და 76 კვადრატებში —3,06 —3,40 მ დონეებს შორის. ეს არის ორი მორკალული კედელი, № 18 და № 19, მის დასავლეთით მდებარე, მიმართული N—S ხაზზე, მცირე გადახრით NW-კენ. № 18 კედლის N ბოლო მკვეთრად უხვევს W-კენ და მიადგება № 19 კედლის ბოლოს, რომელიც აქვეა გადაჭრილი; ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს № 19 შენობა ზემოდან აზის № 18 შენობის კედელს, მაგრამ ორივე კედლის ძირი მოდის ერთ დონეზე —3,4 მ. ამ კედლებს N მხარეს გააჩნია თითო პილონი — კედლის გარდიგარდმო დადებული ალიზები, როგორც იმირის გორის № 9—10 შენობასა და აქვე გათხრილი ეზოს კარის წირთხლებს, და № 6 შენობის შესასვლელს. თავისთავად, პილონების ფართოდ გამოყენება მეტად ნიშანდობლივია და სამშენებლო საქმის შედარებით დაწინაურებაზე მეტყველებს.

როგორი უნდა ყოფილიყო ეს შენობები თუ შენობა — არაფერი ვიცით. № 18 შენობის კედლის S ბოლო პირდაპირ ებჯინება № 16 შენობისა და გალავნის კედლების შეერთების ადგილას წარმოქმნილ კუთხეს და ერთი შეხედვით, მათთან ორგანულად შერწყმული მოჩანს. სინამდვილეში ის არ ჩადის № 16 შენობის კედლის ძირის დონემდე. გრძელდებოდა თუ არა № 18 შენობის ეს კედელი უფრო სამხრეთით, საცხოვრებელი კომპლექსის ეზოს ტერიტორიის თავზე, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ფართობის პრეპარაციის დროს, № 2 მიწურის იატაკის აღების შემდეგ, მკრთლად მოჩანდა მორკალული კედლის კვალი, რომელიც თითქოს ბუნებრივად აგრძელებდა № 18 კედლის მიმართულებას.

№ 19 კედლის S ბოლო გადადიოდა საცხოვრებელი კომპლექსის ეზოში შესასვლელი კარის W პილონის გვერდით და თითქმის იქვე ქრებოდა. შენობის W მხარე სრულიად გამქრალი აღმოჩნდა — ჩაჭრილი იყო № 15 და № 11 სამარხებით, ხოლო შემდეგ № 3 მიწურით.

რამდენიმე სხვადასხვა დონისა თუ ჰორიზონტის კუთვნილი შენობის ფრაგმენტი გაითხარა თხრილის SW და SO კუთხეებში. სულ ზედა VI სამშენებლო ჰორიზონტს უნდა მივაკუთნოთ № 22 კედელი, რომელიც მოემართება ჩვენი თხრილის SW კუთხიდან NO-კენ და ებჯინება № 8 შენობას, უფრო ზუსტად — № 8 შენობის კედლის ზედა რიგებს; ამრიგად, ეს კედელი იმ პერიოდისა უნდა იყოს, როცა № 8 შენობა VI ჰორიზონტში არსებობდა. № 22 კედელს შიგნიდან მიდგმული აქვს კარგა მოზრდილი ნახევარწრიული ბორტი, ისევე როგორც № 17 შენობის ინტერიერში; ცეცხლის კვალი არც მას ეტყობა. ამავე დონეზე მდებარე მეორე კედელი, № 21, № 22-საგან განსხვავებით, რომელიც გალავნის ნაწილი უნდა იყოს, წრიული ნაგებობის ნაშთს წარმოადგენს. მისი რომელიმე ჰორიზონტთან მიბმა ამჟამად შეუძლებელია.

მოკლე მორკალული კედლით ურთიერთგადაბმული ორი წრიული ნაგე-

ბობის ნაწილები გაიწმინდა აგრეთვე 03, 04, 05 კვადრატებში, №6 და №7 ნაგებობების დონეზე და უთუოდ, ერთ-ერთი მათგანის დროს ეკუთვნის.

74, 84 კვადრატებში გაიწმინდა მორკალული კედელი, რომელიც №23 შენობიდან მოემართება S-კენ, უხვევს და ცერად ებჯინება გარედან №8 შენობას. მისი დანიშნულება და სტრატიგრაფიული კუთვნილება გაურკვეველი დარჩა. დაბოლოს, 09,00 კვადრატებში გასუფთავდა მძლავრი კედელი, რომელიც ჩანდა უკვე 1972 წლის თხრილში და დიაგონალურად სჭრიდა №3 პატარა სამეურნეო სათავსოს, მაშასადამე, ეკუთვნის სულ ზედა, ამჟამად ერთიანად გამქრალ საამშენებლო ჰორიზონტს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ნივთიერი მასალა ყველა საამშენებლო დონეზე არსებითად ერთგვაროვანია, რაც უფლებას გვაძლევს იგი განვიხილოთ ერთობლივ და ზოგადად.

კ ე რ ა მ ი კ ა წარმოდგენილია ორი მთელი ჭურჭლითა და მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით. ყველა ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი; მათი კედლები არათანაბარი სისქისაა. ჭურჭლების უმეტესობა ნაძერწია არაორგანულ (დანაყილი ბაზალტი, ხვინჭა, შამოტი, იშვიათად, ობსიდიანი ან ქარსი) მინარევიანი თიხისაგან; მეტად იშვიათია ნამჯანარევი კერამიკა (ტაბ. $VI_{2, 3}$).

ძეგლზე გვხვდება როგორც უხეშ, ისე მოგლუვებულ თუ გაპრიალებულზედაპირიანი ჭურჭელი. აღსანიშნავია, რომ გაპრიალებულზედაპირიანი კერამიკა უკეთესი ხარისხისაა — უფრო თხელკედლიანი და საგულდაგულოდ ნაპრიალებია, ვიდრე იმირის გორის შესაბამისი ნაწარმი. როგორც ზედა, ისე ქვედა ჰორიზონტებში ნაპოვნია შეღებილზედაპირიანი ფრაგმენტებიც (ძირითადად, მოწითალოდ; ერთ შემთხვევაში კი — მოყავისფროდ).

უხეშზედაპირიან ჭურჭლებში გამოიყოფა მცირერიცხოვანი „შეთხუპნულზედაპირიანი“ ნაწარმი.

ჭურჭლის პირები (ქობა) თანაბრად შევიწროებული ან მომრგვალებულია; იშვიათია „წაკვეთილი“ („ზემოდან ბრტყელი“) პირები. აღსანიშნავია, რომ ძეგლზე აღმოჩენილ რამდენიმე ჭურჭელს, ილანლი-თეფეზე აღმოჩენილი ჭურჭლის მსგავსად[3], პირის ნაწილი ჩადრეკილი აქვს. ძირების უმეტესობა დაბალქუსლიანია; შედარებით ნაკლებად გვხვდება თითქმის უქუსლო ცალებიც. უხეშზედაპირიანი ჭურჭლის ძირებზე ხშირად შეიმჩნევა ლასტის სპირალური ანაბეჭდი.

რამდენადაც მთელი ჭურჭლებისა და მოზრდილი ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ხრამის დიდ გორაზე ყველაზე გავრცელებული ფორმაა პირმოყრილი, შებერილტანიანი, დაბალქუსლიანი, კასრისებური ქილები. გვხვდება, აგრეთვე, ცილინდრულ თუ კონუსურყელიანი ჭურჭლები; იშვიათია სწორკედლიანი და პირგადაშლილი ჭურჭლის ფრაგმენტები.

აღდგენილ ჭურჭელთაგან ერთი უხეშზედაპირიანი, პირმოყრილ, დაბალქუსლიან ქილას წარმოადგენს; მეორე მოგლუვებულზედაპირიანი, რამდენადმე ორიგინალური ფორმისაა — იგი ოვალური მოყვანილობისაა, პირფართო, თითქმის სწორკედლიანი, ოდნავ შებერილი მუცლითა და ოვალურივე მოყვანილობის ფართო, ბრტყელი, დაბალქუსლიანი ძირით. ამ ჭურჭელს პირს ქვე-

---

[3] И. Г. Нариманов, Раскопки энеолитического поселения Иланлы-тепе, АО 1968 года, М., 1969, გვ. 397, იხ. სურათი.

მოთ აქვს მასიური, ჰორიზონტალურად დაძერწილი, ყურისებრი შვერილი.

ორნამენტაცია მხოლოდ რელიეფურია და გვხვდება უხეშ ან მოგლუვებულზედაპირიან ჭურჭლებზე; ხშირია პირის გასწვრივ დაძერწილი კონუსური ან ვერტიკალურად დატანილი ნუშისგულისებრი კოპები; გვხვდება, აგრეთვე, „უსისტემო“ ჯგუფებად განლაგებული ნუშისგულისებური კოპები და მასიური, ნალისებური დანაძერწები. აღნიშნული ჭურჭლის გარდა, ორ ფრაგმენტსაც აქვს ჰორიზონტალურად დატანილი ყურისებური შვერილები; ერთ შემთხვევაში გვაქვს მერცხლისბუდისებური დანაძერწი.

ჰორიზონტალური შვერილებით, ნალისებური რელიეფებით, ჯგუფებად დატანილი კოპებითა და მერცხლისბუდისებური დანაძერწით ხრამის დიდი გორის კერამიკა არუხლო I მასალას უკავშირდება; იგივე ნალისებური რელიეფები და ჰორიზონტალური, ყურისებრი შვერილები ჩვენი ძეგლის მასალას ნახიჭევანის ქიულ-თეფეს I ფენის კერამიკასაც უახლოვებს.

მეტად საყურადღებოა, VI სამშენებლო ჰორიზონტში აღმოჩენილი, ამიერკავკასიის ნამოსახლარებისათვის „უცხო“ — ქვის მცირე ზომის ჭურჭლები (2 მთელი და 1 დაზიანებული), რომელთაც სწორი კედლები და მომრგვალო ძირი აქვს. რბილი ქანისაგან ნაკეთები ამ ჭურჭლების ზედაპირი უხეშადაა დამუშავებული, შიდაპირი კი — გახეხილი და მოგლუვებულია (ტაბ. $VI_1$).

დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ობსიდიანისა და კაჟის მასალა. ნუკლეუსები მხოლოდ ნალევებითაა წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს ანატკეც-ანამტვრევების სიჭარბე ლამელებთან შედარებით, რაც ალბათ, შულავერისა და იმირის გორებთან შედარებით, ძეგლების მოგვიანო ასაკზე უნდა მიუთითებდეს. აღსანიშნავია, ამ ძეგლებთან შედარებით, კაჟისა და კაჟისებური ქანის ფართო გამოყენებაც.

დამუშავებულ ლამელებს შორის გვხვდება თავრეტუშირებული, გვერდამოღარული და გვერდდაკბილული ლამელების სერიები.

იარაღებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია ხოწები (სათლელისებური იარაღი); შემდეგ მოდის საჭრისები, საფხეკები და სახოკები. ბურღები თუ სახვრეტები შედარებით იშვიათად გვხვდება.

დამახასიათებელ სერიას ქმნის კაჟისა თუ გაკაჟებული არგილიტის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნამგლის ჩასართები. მათი უმეტესობა ზურგდაბლაგვებული ლამელისებური ანატკეცი — „შომუ-თეფეს ტიპის“ ჩასართია. ჩასართების დიდ ნაწილს შერჩენილი აქვს ბითუმისებური მასის კვალი.

მეტად საინტერესოა ზედა სამშენებლო ჰორიზონტში ნაპოვნი ერთადერთი გეომეტრიული მიკროლითი — მცირე ზომის ზურგგათლილი ტრაპეცია.

აქაც, ისევე, როგორც დასახელებულ ძეგლებზე, როგორც ჩანს, მზა ნუკლეუსების დამუშავებას ჰქონდა ადგილი, რადგანაც ძალზე იშვიათია კაჭრის კანიანი ანატკეცებისა თუ ლამელების აღმოჩენის ფაქტი.

ქვის დანარჩენი მასალიდან აღსანიშნავია გახეხილ-გაპრიალებული ცულებისა და მათი ნამზადების აღმოჩენა; ცულების უმეტესობა ორმხრივლესილი, სოლისებური მოყვანილობისაა. ნამზადების ერთი ნაწილი წარმოადგენს უხეშად გაჩორკნილ „მაკროლითებს“.

ძეგლზე აღმოჩენილი ხელსაფქვავების უმეტესობა ვარცლისებურად ჩაღრმავებულ სამუშაოზედაპირიანია, რაც დამახასიათებელია ქვემო ქართლის ად-

რესამიწათმოქმედო ნამოსახლარებისათვის. ოვალური მოყვანილობის სასრესები (კურანტები), უპირატესად, ორმხრივ გამოყენებულია, თუმცა გვხვდება ცალმხრივი, ძირბრტყელი-ამოზურგული სასრესებიც. აღსანიშნავია, რომ ხელსაფქვავების ერთ ნაწილს ოქრის კვალი ეტყობოდა.

ზედა საამშენებლო ჰორიზონტში აღმოჩენილია ქვის მასიური 2 როდინი, რომელთაგან ერთი (მთელი ეგზემპლარი) გარედან უხეშად „გათლილ-გაჩორკნილია". მასთანვეა აღმოჩენილი მასიური ფილთაქვაც.

ნამოსახლარზე რამდენიმე ადგილას გროვებად ჩნდებოდა მომრგვალო და კვერცხისებური მოყვანილობის მცირე ზომის რიყის ქვები — „შურდულის ჭურვები". მრავლადაა, აგრეთვე, „ხელჩაქუჩები" და სხვადასხვა მოყვანილობის რიყის ქვები, გამოყენების კვალით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი ლახტისათვის ნამზადის (ბოლომდე გაუხვრეტავი, სხვამხრივ დასრულებული) აღმოჩენის ფაქტი. ერთი მარგანეცისაა (?), სფერული; მეორე — ქვიშაქვისა, ჩაქუჩისებური, ბოლოებგაწვრილებული, სეგმენტისებური მოყვანილობის.

მეტად საინტერესო, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია ხრამის დიდი გორის ძვლისა და რქის ინდუსტრია. ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული სადგისებისა და საპრიალებლების გვერდით, ყველა საამშენებლო ჰორიზონტში მრავლად იყო ნაპოვნი ძვლის თოხები; მათი უმეტესობა მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვალზეა ნაკეთები — ბეჭს წათლილი აქვს შუაქედი, ფოსო კი ზემოდანაა ჩახვრეტილი, ხოლო გახეხვა-გაპრიალების გზით გაბასრებული „ბოლო" სწორი ან ორკაპაა. გარდა ამისა, აქვეა ლულოვან ძვალზე ნაკეთები „თოხებიც", ასევე ზემოდან ჩახვრეტილი და მრგვალ გამჭოლსატარენახვრეტიანი მსხვილფეხა საქონლის მეტაპოდიაზე ნაკეთები თოხები. ეს უკანასკნელი, შედარებით, იშვიათია — ერთეული ეგზემპლარებითაა წარმოდგენილი. ამ ტიპის თოხები იშვიათად გვხვდება იმირის გორის ზედა ჰორიზონტებში, მაგრამ მრავლადაა დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლებზე — შომუ-თეფესა და თოირა-თეფეზე[4] (ტაბ. IV).

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ძვლის მრგვალღეროიანი, რომბისებურთავიანი „ისრისპირის" მთელი ეგზემპლარის, ორი „დისკოსებური" (წრიული მოყვანილობის, თხელფირფიტოვანი) საკიდისა და ტარმოტეხილი დანისებური ნივთის აღმოჩენის ფაქტი.

ირმის რქის იარაღებს შორის მრავლადაა წანაზარდებზე ნაკეთები მრგვალსატარენახვრეტიანი „თოხები" (როგორც დასრულებული, ისე ნამზადების სახით), რქის ფუძეზე ნაკეთები „ცულები" და მეტად ორიგინალური, სხვა ძეგლებზე თითქმის უცნობი „კვერთხისთავები" — მრგვალ, გამჭოლსატარენახვრეტიანი, ოდნავ მორკალული, ჩაქუჩის ფორმის იარაღები, რომელთაც ორივე ბოლო ბლაგვად, თითქმის მართი კუთხით აქვს წაკვეთილი, ამ ტიპის იარაღები მთლიანად გახეხილ-გაპრიალებულია.

ირმის რქის იარაღებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სამი ორნამენტირებული ნივთი. ერთი, ზემოაღნიშნული „კვერთხისთავების" განსხვავებულ ტიპს განეკუთვნება, რომელიც პროპორციებით, წანაზარდებზე გაკეთებულ „თოხს" წააგავს. იგი ისეა დამუშავებული, რომ სატარე ნახვრეტის გარშემო

---

[4] И. Г. Нариманов, О земледелии эпохи энеолита в Азербайджане, СА, 1971, № 3, გვ. 6-9, სურ. 2.

რელიეფური „სარტყელი“ გარშემოუყვება; მეორე, დაზიანებული, ირმის რქის ფუძეზე ნაკეთები იარაღია, რომლის ყუა სამი ოვალური კოპითა და დაჭდეული პარალელური ღარების სალტითაა შემკული. მესამე ნივთი წარმოადგენს მართი კუთხით ბოლოებწაჭრილ გაუხვრეტავ წანაზარდს, რომელიც ღრმად დაჭდეული წრიული და წიწვოვანი სახეებითაა შემკული. სამივე ნივთი გახეხილი და მეტ-ნაკლებად გაპრიალებულია (ტაბ. V).

საქართველოს ძეგლებისათვის უნიკალურია აქ ნაპოვნი ნიამორის რქისაგან ნაკეთები ოდნავ მორკალული ნამგლის „ბუდე“, საკმაოდ ფართო და ღრმა ღარით (ტაბ. V).

თიხის მცირე ნაკეთობებიდან, ზემოაღნიშნული ანთროპომორფულ ფიგურებთან ერთად მეტად საინტერესოა ძეგლზე აღმოჩენილი თიხის გამომწვარი თუ გამოუწვავი კონუსები. სამი მათგანი დაბალი და ძირშედრეკილია, მეოთხე — წოპიანი კონუსით დამთავრებული ცილინდრია; ძირი მასაც შედრეკილი აქვს. ამ უკანასკნელს პარალელი ეძებნება ჯეითუნის ნამოსახლარის მასალებში, აგრეთვე, როგორც ვ. მასონი აღნიშნავს, სიალკ I-შიც[5].

როგორც ძეგლზე დაწყებულმა გათხრებმა დაგვანახა, ხრამის დიდი გორა შულავერ-შომუთეფეს კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამოსახლარია, არა მხოლოდ თავისი ზომებით, არამედ მოპოვებული არქეოლოგიური მასალითაც.

წინასწარულად შეიძლება განისაზღვროს ამ ძეგლის ადგილიც ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარებს შორის. ხრამის დიდი გორა იმირის გორაზე მოგვიანო უნდა იყოს, რაზედაც მიგვანიშნებს სადღეისოდ ცნობილი მონაცემები. კერძოდ, ნივთიერი მასალა და ხრამის დიდ გორაზე სამშენებლო საქმის მაღალი დონე (ნაგებობათა ნეტ-ნაკლები ცილინდრულობა, ინტერიერის განსხვავებული მოწყობა, პილონების ფართოდ გამოყენება და სხვ.). ამავე დროს იგი არუხლო I-ზე ცოტათი უფრო ადრეული უნდა იყოს, ვინაიდან ამ ძეგლთან მას მხოლოდ VI (ზედა) სამშენებლო ჰორიზონტის კერამიკა აკავშირებს.

ასევე, ზოგადად, ძეგლის ასაკი ძვ. წ. V ათასწლეულით შეიძლება განისაზღვროს.

---

[5] В. М. Массон, Поселение Джейтун, МИА, 180, გვ. 41—42.

Л. И. ГЛОНТИ, А. И. ДЖАВАХИШВИЛИ, Т. В. КИГУРАДЗЕ

# РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ КВЕМОКАРТЛИЙСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ (1972—1973 гг.)

Резюме

Квемокартлийская археологическая экспедиция Гос. Музея Грузии в 1972—1973 гг. проводила раскопки на самом крупном из уцелевших раннеземледельческих селищ Юго-Восточной Грузии — Храмис Диди-гора. Поселение расположено на правобережной равнине р. Храми, между сс. Качагани и Такало (Марнеульский район ГССР).

Храмис Диди-гора представляет собой оплывший холм, вытянутый с востока на запад, высотой свыше 4 м, длиной до 300 м и шириной 100—150 м (табл. I. 1).

С целью выяснения стратиграфии поселения, в 1972 г. на западном склоне холма, в 30 м от его основания, был заложен разведочный раскоп, размером 5×10 м, который был доведен до грунта. В 1973 г. раскоп был расширен до 225 кв. м. Уровень дневной поверхности в пределах раскопа приходится примерно на отметке — 2 м.

Верхние строительные горизонты поселения были сильно потревожены средневековыми погребениями; последние же часто перекрывались или же были прорезаны землянками и хозяйственными ямами более позднего происхождения (примерно XIX в.). Ниже, примерно с отметки —3 м, начали появляться разрозненные фрагменты отдельных сырцовых построек раннеземледельческого поселения. В раскопе 1972 года было установлено непрерывное чередование шести строительных горизонтов (рис. 1). Грунт приходится на отметке —6 м; раскоп был доведен до отметки —6,8 м. Строительные горизонты были пронумерованы снизу вверх.

В вещественном материале, строительной технике или планировке этих горизонтов не наблюдается сколько-нибудь значительной разницы.

Постройки всех горизонтов — круглоплановые; возведены они нестандартным сырцовым кирпичом плоско-выпуклой формы, на глиняном растворе.

Характер и планировка поселений лучше всего были выявлены в V строительном горизонте, где был открыт комплекс жилых и хозяйственных построек, включенный в ограду (рис. 1), аналогично комплексам Имирис-гора. Нижние строительные горизонты (I—IV) изучены на сравнительно малой площади.

Среди находок особо примечательным является обнаруженная в верхних строительных горизонтах (VI?) серия (23 целых и фрагментированных экз.) антропоморфных женских статуэток (табл. III) из необожженной глины (специальная статья, посвященная изучению антропоморфных статуэток Храмис Диди-гора, печатается в очередном номере Вестника Гос. Музея Грузии).

В верхних же горизонтах были обнаружены и глиняные конусики (4 экз.) разных размеров.

Во всех строительных горизонтах, наряду с груболепленными сосудами (табл. VI), с шероховатой поверхностью, встречались и фрагменты керамики более высокого качества — тонкостенной, с окрашенной и залощенной поверхностью. Орнамент, исключительно рельефный и встречается только на груболепленных сосудах. Много разнообраз-

ных костяных и роговых предметов. Во всех горизонтах встречались проколки, лощила и мотыги, оформленные на лопаточных и трубчатых костях крупного рогатого скота, а также из рога благородного оленя (табл. IV). Среди роговых предметов выделяются орудия молоткообразной формы — навершия «булавы» (табл. $V_1$) и три орнаментированных предмета (табл. $V_2$). Уникальным для памятников Грузии является роговая основа серпа, с широким и глубоким пазом (табл. $V_3$).

Каменная индустрия представлена обычным для раннеземледельческих поселений обсидиановым и кремневым инвентарем, в котором выразительную серию составляют кремневые вкладыши серпа типа Шому-тепе — пластинчатые отщепы с притупленной спинкой. В верхних горизонтах найдено более двадцати шлифованных и полированных топоров, большей частью клиновидной формы.

Судя по размерам холма и добытому за первые два сезона материалу, можно с уверенностью сказать, что Храмис Диди-гора — одно из интереснейших раннеземледельческих поселений Юго-Восточной Грузии.





ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი

# მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—73 წლების მუშაობის ანგარიში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია 1972—73 წლებში აგრძელებდა მესხეთ-ჯავახეთში შუაბრინჯაოს ხანის ყორღანების შესწავლას. სამუშაოები მიმდინარეობდა ახჩიის ველზე და სოფ. ქვემო თმოგვის თავზე, ე. წ. „ბერთაყანებში“.

ახჩიის ველზე გავთხარეთ სხვადასხვა ტიპის 7 ყორღანი. არ ვერიდებოდით ისეთი ყორღანების გათხრებსაც, რომლებიც უკვე ჩანდნენ, რომ გაძარცულნი იყვნენ. ესენი ჩვეულებრივ დიდი ყორღანებია, რომლებიც ერთეულებით არიან წარმოდგენილნი ყორღანულ ველებზე, დიდი დასაკრძალავი კამერები აქვთ და შეიძლება გვიან ხანებში მართლაც იყვნენ გამოყენებულნი დარნებად — სამალავებად. 1972 წელს ორი ასეთი ყორღანი გავთხარეთ — ერთი ახჩიის ველის დასავლეთ კიდესთან — № 11, № 3 ყორღანის ახლოს, და ერთიც ახჩიის ველის მაღლა მდებარე ტერასაზე — ყორღანი № 15 (ტაბ. VIII$_2$).

№ 11 ყორღანი ისეთივეა, როგორც № 3, 4 და 9 ყორღანები. იგი გაძარცვული იყო და ინვენტარი მხოლოდ შავპრიალა კერამიკის ნატეხებითაა წარმოდგენილი. ასევე გაძარცვული აღმოჩნდა № 15 ყორღანი. ამ ყორღანს ისე როგორც თრიალეთის დიდ ყორღანებს და ყორღანს № 1 ქვიანი ფუძე ჰქონდა. დრომოსი და კამერა თითქმის ყორღანის ცენტრშია მოწყობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული, ოდნავ ჩრდილოეთით გადახრილი. დიდი ნაგლეჯი ქვებისაგან ნაგები დრომოსი ყორღანის ფერდიდან იწყებოდა. იგი შედარებით მოკლე იყო, 4 მ, კამერისაკენ სწრაფად ღრმავდებოდა და ვიწროვდებოდა. დრომოსის კედელი ფუძესთან ქვის ორი რიგისაგან შედგებოდა, კამერასთან კი ექვსისაგან. კამერისაგან გამოყოფილი იყო დიდი ლოდებისაგან ნაგები ტიხარით. კამერა — სიგრძე 6 მ, სიმაღლე 3,30 მ. ნაგებია დიდი ქვებისაგან. მის მთელ ფართობზე ამოდიოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ადამიანისა და ცხოველის ძვლები. კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დიდი დერგი და ორი მომცრო ჭურჭელი აღმოჩნდა. წმენდის დროს ვიპოვეთ ოქროს ფირფიტის ნატეხი.

ახჩიის ველის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე № 2 ყორღანთან ორი ქვაწრიანი უყრილო ყორღანი გავთხარეთ — № 12, 13. № 12 ყორღანი ამ ტიპის ყორღანებისათვის საკმაოდ მოზრდილია. ქვის წრის დმ—8 მ. კამერა წრის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა, იგი თითქმის წრიდან იწყებოდა 0,5 სიღრმეზე, დრომოსი არა ჰქონდა, სახურავის შუბლის ქვაზე იდო მოზრდილი ქვა, რომელიც გათხრამდეც ჩანდა. კამერა მიწითა და ქვით იყო პირამდე ამოვსებული, რომელშიაც შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ნატეხები ერია.

№ 13 ყორღანი ზედ ველის კიდესთან მდებარეობს, № 12 ყორღანის სამხრეთით მას ოვალური ლოდებისაგან შედგენილი წრე ჰქონდა. პატარა ზომის კამერა მოწყობილი იყო არა წრის შუაში, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზედ წრის ქვებთან. ყორღანი გაუძარცვავი იყო. მასში აღმოჩნდა ადამიანის დაშლილი ჩონჩხი, ექვსი თიხის ჭურჭელი, ძვლის სახელური ორი სამანჭვალე ნახვრეტით, რომელზედაც ბრინჯაოს ნაკვალევი ჩანდა, და სპილენძის სპირალი. ერთ-ერთ ქილაში აღმოჩნდა მძივი (ტაბ. VIII$_1$).

ამ ტიპის კიდევ ერთი ყორღანი გავთხარეთ ახჩიის ველის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — ყორღანი № 15. იგი ტერასაში იყო შეჭრილი და გათხრებამდე ტერასის წინ ლოდების ნახევარზე ჩანდა. ყორღანი გადასერილი იყო სამი დიდი ქვით. კამერას წინ მოწყობილი ჰქონდა 0,82 მ სიგრძის დრომოსი თუ კორიდორი. კამერა (სიგრძე 2,40 მ, სიგანე 1 მ, სიმაღლე 1,25) მიწით იყო სავსე. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ოცამდე ჭურჭელი. კამერის სამხრეთ კედლის კასწვრივ ადამიანის ჩონჩხი და მსხვილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა (ტაბ. VII). მიცვალებული რამდენიმე უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ დიდ დერგში ბავშვის თავის ქალა იყო ჩამარხული. აქ აღმოჩენილი კერამიკა ახლოს დგას სხვა ქვაყრილიანი ყორღანების კერამიკასთან და საკმაოდ განსხვავებულია დიდი ყორღანების თიხის ნაწარმისაგან. ეს სხვაობა შემდეგში მდებარეობს: დიდი ყორღანების კერამიკა უფრო თრიალეთურია, წრიანი ყორღანების თიხის ნაწარმი კი არქაულის — მტკვარ-არაქსული და თრიალეთური ფორმების შერწყმით ხასიათდება.

ახჩიის ველის თავზე № 15 ყორღანის დასავლეთით გაითხარა ორი პატარა ყორღანი № 17, 18, რომელთა ქვის წრის დმ 4—4,5 მ და სიმაღლე 0,5 უდრიდა. № 1 ყორღანის ქვის წრის შუაში აღმოჩნდა სამი დიდი ქვა, ქვების ქვეშ ეყარა თიხის ჭურჭლის ნატეხები და სამკუთხა პატარა სატევრის პირი. მიცვალებულის ძვლები არ ჩანდა. № 15 ყორღანის შუაში მოწყობილი იყო კამერის იმატაცია — ბრტყელი ფილით გადახურული ორი ქვა. აქაც მხოლოდ კერამიკის ნატეხები დავადასტურეთ. საფიქრებელია, რომ ორივე ყორღანი კენოტაფია.

როგორც აღვნიშნეთ, უკვე 1972 წელს სამუშაოდ გადავედით ე. წ. ბერთაყანებში. ბერთაყანები ერთ-ერთი ადგილია მტკვრის მარჯვენა, აღმოსავლეთ მხარეს, სადაც შუაბრინჯაოს ყორღანები კომპაქტურად არიან შეჯგუფებულნი. ისე როგორც ახჩიაზე, აქაც ყოველი ტერასა მარგასტანიდან მოყოლებული ვიდრე ბერთაყანების ნასოფლარამდე ყორღანულ ველს წარმოადგენს. 1972 წელს გავთხარეთ ერთი ყორღანი, მარგასტანის თავზე ყველაზე დაბლა მდებარე ტერასაზე. 1973 წელს კი ამ მიდამოებში 11 ყორღანი გაითხარა — 8 „კოურების“ ტერასებზე და 3 კი ბერთაყანის ნასოფლართან.

ბერთაყანის ყორღანები არც გარეგნულად და არც კამერა-დრომოსის მოწყობით არ განსხვავდებიან ახჩიის ჯგუფის ყორღანებისაგან. აქაც უმთავრესად სამი ტიპის ყორღანი დასტურდება: 1. ქვაყრილიანი დიდი ყორღანები წარმოდგენილი ერთეულებით, 2. საშუალო ზომის მიწაქვაყრილიანი ყორღანები და 3. ქვისწრიანი ყორღანები. აქაც ყორღანების უმეტესობას მცირე ზომის ყორღანები წარმოადგენენ. განსხვავება შეიძლება იმაში იყოს, რომ ქვისწრიან ყორღანებს აქ უფრო მაღალი ყრილი და გაცილებით მოზრდილი დრომოსი და კამერა აქვთ. სამწუხაროდ ყველა ჩვენს მიერ გათხრილი ყორ-

ლანი გაძარცვული აღმოჩნდა. ინვენტარი მხოლოდ კერამიკის ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი და მთელ ჭურჭელში მხოლოდ მიცრე ქვაწრიანმა ყორღანებმა მოგვცა.

საინტერესოა, რომ უფრო გვიან ზოგიერთი ყორღანი გამოყენებული ჩანს სამარხად. მარგასტანის თავზე 1972 წელს გათხრილ ყორღანში წმენდის დროს იატაკიდან 1,30 სიმაღლეზე აღმოჩნდა 4 მიცვალებულის ჩონჩხი — თავი და კიდურის ძვლები. ამავე დონეზე ამოვიდა ბრინჯაოს და რკინის რგოლები.

ბერთაყანის მიდამოები დასახლებული ჩანს შუაბრინჯაოს ხანის მომდევნო პერიოდშიც. აქ არა ერთი ნამოსახლარია. სამწუხაროდ ამჟამად ჭირს დადგენა თუ რა ხანას განეკუთვნება ესა თუ ის ნამოსახლარი. როგორც ჩანს სამშენებლო ტექნიკა აქ არ იცვლება შუაბრინჯაოს ხანიდან ვიდრე ჩვენი საუკუნის 40-იან წლებამდე. თითქმის ყოველი შენობა ერთნაირად მშრალად არის ნაგები ნაგლეჯი ქვებით. კირდუღაბი მხოლოდ ამოსაშენებლად არის გამოყენებული. ყველაზე მძლავრი დასახლება მაინც „კეთილეთშია". აქ შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები მოქცეულია ნამოსახლარ კომპლექსებში. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ქვის დიდი ლოდებით შემოფარგლულმა შემაღლებულმა წრიულმა მოედნებმა. მოედნების დიამეტრი 40—70 მ-ია. ერთერთ მოედანზე გავავლეთ რამდენიმე თხრილი აღმოსავლეთ ნაწილში. აღმოჩნდა, რომ ვთხრიდით ნაცრის გროვას, რომელიც შეიცავდა კერამიკის ნატეხებს გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ფეოდალური ხანის ჩათვლით. თხრილში 1,25 მ სიღრმეზე აღმოჩნდა სამარხი გვიანიანტიკური თუ ადრეფეოდალური ხანისა. სამარხები აღმოჩნდა აგრეთვე ჩრდილოეთ კედელთან და სამხრეთ-დასავლეთით გავლებულ თხრილებში. რას წარმოადგენს ეს მოედანი ძნელი სათქმელია. მისი თითქმის ნახევარი ნაცარგროვას უკავია. ასეთი ნაცარგროვები ჩვეულებრივ საკულტო ძეგლებზეა დადასტურებული (მაგ. მელი-ღელე). არაა გამორიცხული, რომ კეთილეთში დადასტურებულ მოედნებსაც საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ქონდათ. მითუმეტეს, რომ მოედანზე ნაგებობების კვალი არ დადასტურდა, ხოლო მასზედ ადამიანის მოსაქმეობის კვალი ჩანს გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ვიდრე ფეოდალურ ხანამდე.

გათხრების პარალელურად ვაწარმოებდით საკმაოდ ფართო მასშტაბის დაზვერვებს. ამჟამად უკვე შეიძლება მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვიდგინოთ შუაბრინჯაოს ყორღანების ტოპოგრაფია მესხეთ-ჯავახეთში. მესხეთ-ჯავახეთში შუაბრინჯაოს ყორღანები უმთავრესად დაჯგუფებულნი არიან არტაანის მტკვრის მარცხენა-დასავლეთ სანაპირო ტერასებზე.

ყორღანების ერთი ასეთი დაჯგუფება ახჩია-ნიალის ტერასებზეა. ყველაზე ქვემოთ ახჩიის ნასოფლარის ზემოთ მდებარე ყორღანული ველია. მის თავზე ახჩიის მინდვრებია და მის ზემოთ მდებარე ველი. უფრო მაღლა ახჩიის თავი და ნიალის მინდვრებია. ნიალიდან ყორღანები უფრო სამხრეთით გრძელდება და ალბათ თურქეთში გადადის. როგორც ცნობილია ქ. ყარსთან ჩვენი საუკუნის დამლევს რესლერმა რამდენიმე ყორღანი შეისწავლა, რომლებშიც თრიალეთური ჭურჭელი აღმოჩნდა.

მეორე დიდი ჯგუფი ყორღანებისა სოფ. ზემო თმოგვისა და ბეროუბანის მიდამოებშია დადასტურებული. რამდენიმე ყორღანი გვხვდება სოფ. გუნდეს ეკლესიასთან და გუნდუმის ძირში. მესამე დიდი ჯგუფი ყორღანებისა ბერთაყანების მიდამოებშია.

О. М. ДЖАПАРИДЗЕ, Я. А. КИКВИДЗЕ, Г. Б. АВАЛИШВИЛИ

# ОТЧЕТ МЕСХЕТ-ДЖАВАХЕТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1972—1793 гг.

Объединенная археологическая экспедиция ТГУ и Государственного Музея Грузии в 1972—73 годах продолжала изучение в Месхет-Джавахети курганов среднебронзовой эпохи. Работа проводилась в долине Ахчия и выше деревни Квемо-Тмогви, в т. н. «Берта Кана».

В Ахчия было раскопано 7 курганов различного типа. Экспедиция не воздержалась от раскопок таких курганов, которые, по всей видимости, были разграблены. Обыкновенно это большие курганы, единично представленные на курганных полях, имеющие обширную погребальную камеру. Надо полагать, что в более поздние времена их использовали как убежища.

В 1972 году было раскопано два такого рода кургана. Один (№ 11) на западной оконечности Ахчия, вблизи кургана № 3, и второй (№ 15) на террасе выше долины Ахчиа (табл. $VIII_2$).

Курган № 11, так же как курганы № 3 и № 4, разграблен, инвентарь представлен лишь обломками чернолощенной керамики. Разграбленным оказался и курган № 15. У этого кургана, так же как и у триалетских курганов и у кургана № 1, каменное основание. Дромос и камера находятся почти в центре. Дромос, сложенный из больших рваных камней сравнительно короткий (4 м). К камере дромос заметно сужается и идет наклонно. У основания кургана стены дромоса состоят из двух рядов камней, а у камеры — из шести.

Дромос от камеры отделяется перегородкой. Длина камеры 6 м, высота 3.30 м. Она выстроена из больших камней. На всей площади камеры обнаруживались обломки глиняной посуды, костей животных и людей. В юго-восточном углу камеры обнаружен один большой сосуд и два маленьких. Во время препарации найдены фрагменты золотой пластинки.

На юго-западной оконечности Ахчии, у кургана № 2 были раскопаны два кургана с каменными кругами без насыпи (№№ 12, 13). Курган № 12 по сравнению с курганами такого типа довольно больших размеров (диаметр каменного круга — 8 м). Камера находится в восточной части кургана. Она начинается почти у круга, на глубине 0,5 м. Дромоса нет. Камера доверху была заполнена землей и камнями вперемешку с обломками керамики, свойственной для средней бронзы.

Курган № 13 с юга примыкает к кургану № 12. Каменный круг выложен булыжниками. Камера — небольших размеров, находится не в центре, а в северо-восточной части круга. Курган оказался неразграбленным. В нем найдены истлевший человеческий скелет, 6 глиняных сосудов, костяная рукоятка, на которой виднелись следы бронзы, медная спираль (табл. $VIII_1$).

В северо-восточной части долины Ахчия был раскопан еще один курган такого типа (№ 15) (таб. VII). Курган врезан в террасу и до раскопок виден был полукруг из каменных глыб. Он перекрыт тремя каменными плитами. Перед камерой находится дромос длиной 0,85 м. Камера (дл. 2,40 м, шир. 1 м, высота 1,25 м) полна была землей. После расчистки обнаружилось 20 сосудов, вдоль южной стены камеры найдены человеческий скелет и кости крупного рогатого скота. Интересно, что в одном из больших сосудов лежал череп ребенка. Обнаруженная керамика стоит близко к керамике курганов с каменными кругами без насыпи и весьма отличается от глиняных изделий больших курганов. Керамика больших курганов более «триалетская», глиняные же изделия курганов с каменными кругами без насыпи отличаются слиянием Куро-Аракской и Триалетской форм.

Над долиной Ахчия, западнее кургана № 14, раскопаны два маленьких кургана — № 17, № 18, каменный круг которых равняется 4—4,50 м, высота 0,5 м, в середине каменного круга кургана № 1 обнаружено было три больших камня. Под камнями валялись обломки глиняной посуды и маленький треугольный клинок кинжала.

В 1972 году экспедиция перешла в т. н. «Берта Кана». Это одно из мест на правом берегу Артаанской Куры, где компактно сгруппированы курганы эпохи средней бронзы. Так же как и Ахчия, здесь каждая терраса, начиная с Маргастана до Бертакана, представляет собой курганное поле.

В 1972 году экспедиция раскопала один курган, а в 1973 году в этих местах было раскопано 11 курганов — 8 на Кожреби и 3 в Берта Кана.

Бертаканские курганы ни внешне, ни устройством камеры и дромоса не отличаются от курганов группы Ахчия. Здесь, в основном, зафиксированы курганы трех типов:

1) большие курганы с каменной насыпью;
2) курганы средней величины с каменно-земляной насыпью;
3) курганы с каменными кругами без насыпи.

К сожалению, все раскопанные курганы оказались разграбленными. Обнаруженный инвентарь представлен лишь фрагментами керамики. Интересно, что некоторые курганы для захоронения использовались и позднее. В кургане, раскопанном в 1972 году над Маргастаном, во время препарации на высоте 1.30 м от пола обнаружилось 5 человеческих скелетов, черепа и кости конечностей, на этом же уровне появились бронзовые и железные браслеты.

Окрестности Берта Каны, видимо, были заселены и в последующие периоды после средней бронзы. Здесь имеется немалое количество поселений, но к сожалению, пока трудно установить, к какому периоду они относятся. Как видно, строительная техника здесь почти не изменяется, начиная со времен средней бронзы вплоть до 40-х годов нашего столетия. Почти все здания одинаково выстроены сухой кладкой из рванных камней. Самым мощным поселением, видимо, является местечко Кетилети. Привлекают внимание крупные возвышения, обрамленные крупным булыжником. Диаметр этих площадок

40—70 м. На одной из этих площадок было проведено несколько траншей.

При раскопке восточной части оказалось, что это скопление золы, которая содержала обломки керамики начиная с эпохи бронзы и включая феодальную.

В одной из траншей на глубине 1,25 м обнаружилось погребение позднеантичной поры. Погребение обнаружилось и у северной стены и в траншеях, проведенных к юго-западу.

Трудно сказать, что представляет собой эта площадка. Почти половина ее площади занята скоплением золы. Такие скопления обычно обнаруживаются в культовых памятниках (напр. Мелигеле); не исключено, что площадки в Кетилети имели культово-ритуальное назначение, тем более, что на них не видно следов построек, а следы человеческой деятельности обнаруживаются со времен поздней бронзы вплоть до раннефеодальной поры.

Параллельно с раскопками экспедиция провела в весьма широком масштабе разведывательную работу. Теперь уже можно более или менее полно представить топографию курганов в Месхет-Джавахети в эпоху бронзы.

В Месхет-Джавахети курганы эпохи бронзы, в основном, сгруппированы на террасах Артаанской куры. Одна такая группа находится на террасе Ахчиа-Ниала.

От Ниалы курганы тянутся южнее и, видимо, переходят на территорию Турции. Как известно, в начале нашего столетия у города Карса Э. Реслер изучил несколько курганов, в которых обнаружилась типично триалетская посуда.

Вторая большая группа курганов зафиксирована в окрестностях Берта-Убани и деревни Земо Тмогви. Несколько курганов встречаются вблизи церкви деревни Гунде и у подножья Гундуми. Третья большая группа курганов — в окрестностях Берта-Каны.

ე. გოგაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. საგინაშვილი

# ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—73 წლების მუშაობის ანგარიში

1972—73 წლებში ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობას აგრძელებდა ნოსირის ნამოსახლარზე (ცხაკაიას რაიონი, სოფ. მესამე ნოსირი). 1972 წელს ექსპედიციამ ველზე დაჰყო 4 სექტემბრიდან 19 ოქტომბრამდე, 1973 წელს — 23 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე.

საველე სამუშაოები წარმოებდა ნამოსახლარის ძირითად ობიექტზე — სამოსახლო ბორცვზე, რომლის შესწავლას, 1967 წლიდან დაწყებული, სისტემატურად აწარმოებს ექსპედიცია. 1972—73 წწ. სამუშაოები, ძირითადად, მიზნად ისახავდა ბორცვის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილის სტრუქტურის გარკვევას და კულტურულ ფენათა სტრატიგრაფიის დაზუსტებას.

1972 წელს გრძელდებოდა წინა წელს ბორცვის აღნიშნულ ნაწილში 22 × 4 მ ფართობზე დადებული N—S თხრილის დაღრმავება (დიდი კვადრატები HE და IE); ამ ფართო ტრანშეისებურ თხრილს ჩვენ მივეცით აღნიშვნა N—SA, ხოლო მის გასწვრივ დასავლეთ მხარეს იმავე (1972) წელს დაწყებული ფართობი, რომელსაც აგრეთვე ტრანშეის სახე ჰქონდა (თუმცა ნაკლები სიგრძე-სიგანისა იყო), აღვნიშნეთ N—SB თხრილით (სურ. 1). N—SA თხრილი ხვდება კვადრატებზე: HE 13—14, 23—24, 33—34, 43—44, 53—54, 63—64, 73—74, 83—84, 93—94, 03—04, IE 13—14; N — SB თხრილი კი მოიცავს HE 62, 72, 82, 92, 02, IE 12 კვადრატების უდიდეს (შუა და დასავლეთ) ნაწილს და HE 61, 71, 81, 91, 01 $IE_{11}$ კვადრატების მცირედ (აღმოსავლეთ) ნაწილს. N—SB თხრილის ასეთი ნაწილობრივი დამთხვევა აღნიშნულ კვადრატებთან გეგმაში გამოიხატება მისი გადახრით დასავლეთ მხარეს, რაც ჩრდ. ბოლოსაკენ მზარდია. ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აღმ. მხარეს, N — SA და N — SB თხრილებს შორის (სიგრძივ გაყოლებით) ჩვენ ტიხრისებურად დავტოვეთ გაუთხრელი მიწის კედელი იმ სახით, რომლითაც მოხერხდა მისი შენარჩუნება გათხრის პროცესში. ტიხრული კედლის დროებით დატოვება ჩვენ გადავწყვიტეთ ჭრილზე სტრატიგრაფიული დაკვირვების მიზნით და იმისათვის, რომ გამუდმებული წვიმების შედეგად განათხარების ძირზე ჩამდგარი წყალი უფრო სწრაფად ამოგვეტუმბა და მოგვცემოდა ცალ-ცალკე უბანზე მუშაობის საშუალება. ასეთი არახელსაყრელი ამინდის გახან-

გრძლივების გამო აღნიშნული ტიხრი 1972 წელს ჩვენ ვერ მოვხსენით, ხოლო 1973 წელსაც სხვადასხვა გარემოების გამო შევინარჩუნეთ.

უკვე 1972 წელს N—SA თხრილის ჩრდილო ნახევარზე (ბორცვის ცენტრალური ნაწილისკენ) გარკვეული სურათი გვქონდა, რაც ბორცვის აგებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. აქ გამოვლენილი იქნა 2,5 მ სისქის ყვითელი სტერილური თიხაზვინული, რომელზეც უშუალოდ იდო ნახანძრალი, წითელბათქაშიანი და ნახშირიანი ნაშთების მრავლად შემცველი II კულტურული ფენა. ეს უკანასკნელი აქ ბორცვის თავიდან, დაახლ. ნულის ხაზიდან იწყებოდა. თიხაზვინული დაყრდნობილია ძეგლების მძლავრი წყობებისაგან შედგენილ ნაგებობაზე (სურ. $3_4$, ტაბ. $IX_{1,2}$). რამდენადაც N—SA თხრილის მონაცემების მიხედვით წინასწარ შეიძლება ვიმსჯელოთ, ხის ძელები და მორები სქელი თიხაზვინულის ძირზე ერთობლივად გეგმაში უნდა ქმნიდნენ ერთმანეთთან შეერთებული დიდ-დიდი უჯრედების სისტემას. კუთხეებზე ძელები (ოთხ-ოთხი ან სამ-სამი ძელი) ბოლოებით ერთმანეთზეა გადადებული და ჯარგვლისებური წყობა აქვთ (სურ. 2, ტაბ. IX). თხრილის ჭრილებთან კარგად ჩანს, რომ კუთხეებს გარეთ ძელები გრძელდება (ბორცვის გაუთხრელ ნაწილში შედის). ცალკეულ ძელებსა (ან მორებსა) და წყობებს შორის არეები თიხით იყო ამოვსებული, ე. ი. თიხაზვინული ხის ნაგებობის ძირამდე და ძველ გრუნტამდე დადის. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მოშავო ან მოცისფრო-მონაცრისფრო, მეტწილად მკაფიოდ გამოყოფილ წმინდა მკვრივ თიხნარს. მასზე ზოგ ადგილას, განსაკუთრებით ქვედა ძელების ქვეშ, შეიმჩნეოდა ხის ფოთლებისა და წვრილი ტოტების საკმაოდ მკრივი, თუ თიხნარში გამკვრივებული და შეტკეპნილი, მოშავო შრეები, რაც, როგორც ჩანს, ძელური წყობის ქვეშ საფენს წარმოადგენდა ნიადაგისეული წყლისა და სინესტისაგან დასაცავად. ზოგიერთ ადგილას ხის ძელების გაყოლებით, გრუნტს ზევით დაზვინული თიხა ასევე მოშავო ან მონაცრისფრო იყო. ასეთი შეფერილობა ხეების ლპობის შედეგად ყვითელ თიხნარს უნდა ჰქონოდა მიღებული. აღსანიშნავია, რომ სქელი თიხაზვინულის ქვეშ (N—SA თხრილის დაახლ. ჩრდ. ნახევარზე), არც ძელთა წყობის არეში და არც გრუნტის თავზე, არავითარი ნივთი არ აღმოჩენილა; ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ აქ კულტურული ნაშთები არ დაფენებულა და, როგორც სქელი თიხაზვინული, ისე ხის ნაგებობათა სისტემა უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული II კულტურული ფენის სამოსახლოს წარმოშობასთან, რომელიც უზარმაზარი თიხაზვინულისაგან ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე თუ ბორცვისებურ შემაღლებაზე იქნა გამართული. როგორც წინა წლების გათხრებიდან ვიცით, ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში ასეთი სქელი თიხაზვინული არ იყო. ამ მხარეს II კულტ. ფენა იდო ყვითელი თიხნარის თხელ ფენაზე, რომელიც სამხრეთით დიდ თიხაზვინულს უერთდება. შეერთების ადგილას თითქოს თიხნარის ფენის ტერასული განლაგება იქმნება. ასეთივე სურათი გვაქვს სამხრ. მხარეს N—SA თხრილის დაახლ. შუა ნაწილში (კვ-ბი HE 63—64), სადაც სქელი თიხაზვინული მკვეთრად წყდება. აქედან უფრო სამხრეთით, თხრილის სამხრ. ბოლოსკენ, მიემართება თხელი (საშუალოდ 0,15—0,2 მ სისქის) მოყვითალო თიხის ფენა, რომელზეც შედარებით თხელი II კულტ. ფენა დევს. მაგრამ ამ ორი თიხნარიანი ფენის შეერთების ადგილას გადასვლა მკვეთრია: თიხნარის თხელი ფენა ჰორიზონტალურად უერთდება სქელი თიხაზვინულის ძირს იმ ადგილას,

სადაც თხრილის განდაგან გამოვლინდა სქელი მორების წყობა (ტაბ. $IX_{3,4}$). ამ წყობის ძირი (და მოშავო გრუნტის თავი) 3,1—3,4 მ სიღრმეზეა ნულის ხაზიდან, ე. ი. დაახლ. ბორცვის უმაღლესი წერტილიდან. დაახლ. იმავე დონეზეა ძელები და გრუნტი თხრილის უფრო ჩრდ. ნაწილში, სადაც გამოვლინდა დაახლ. ჩრდ.-დან სამხრეთით და დას-დან აღმ-ის მიმართულებით დალაგებული ძელები და მათ მიერ შექმნილი კუთხე, აგრეთვე აღმ. მხარეს მდებარე ძელი. აქ ძელების შვეული (ჯარგვლისებური) წყობის თავი ბორცვის თავიდან 2,5 მ სიღრმეზეა. უგრძესი N—S დამხრობის) ძელები დაახლ. 6—7 მ სიგრძეზეა გაწმენდილი. გათხრები ძირამდეა დაყვანილი N—SA თხრილის შუა ნაწილზეც (კვ. HE 63—64, 73—74), სადაც აგრეთვე ძელების წყობაა გამოვლენილი (დიდი თიხაზვინულის სამხრ. ნაპირთან), აქ მეორე კულტ. ფენა ზოგან უშუალოდ გრუნტზე დევს და ყველაზე ძირა ფენა უნდა იყოს. მაგრამ აქ ამ ფენაში ხანძრის კვალი არ შეიმჩნევა. თუ რამდენად დასაშვებია, რომ ამ ადგილას საქმე გვქონდეს I კულტ. ფენის ნაშთთანაც, მომავალში შეიძლება დააზუსტოს მოპოვებული კერამიკული მასალის დეტალურმა შესწავლამ.

N—SA თხრილის სამხრეთ ნაწილში და N—SB თხრილში, სადაც წყალი ხშირად გუბდებოდა და თხრილების ძირი მუდმივად დატალახიანებული რჩებოდა, 1972 წელს გათხრები ყამირამდე ვერ იქნა დაყვანილი, თუმცა ამ ნაწილებში საერთოდ მნიშვნელოვნად ამოვთხარეთ მიწა.

საანგარიშო წლების გათხრებმა ყველაზე მძლავრად წარმოგვიდგინა უგვიანესი, IV კულტურული ფენა, რომელიც თხრილის სამხრეთ ნაწილში გამოიყოფა (N—SA თხრილის შუა და სამხრეთი ნაწილი და N—SB თხრილი), და სხვადასხვა შრეებს შეიცავს. მაგრამ ამავე ნაწილში მნიშვნელოვანი სიძლიერით წარმოდგენილია II კულტურული ფენა, ხოლო ცალკეულ მონაკვეთებზე შეიმჩნევა სხვა ფენების არსებობაც.

IV კულტურული ფენა სტრატიგრაფიულად ნაწევრდება და მრავალფეროვან კერამიკულ მასალას შეიცავს (ტაბ. $XII_{2,5,6,7}$). როგორც წინა წლების გათხრებიდანაც ვიცით, ეს ფენა უმთავრესად ბორცვის პერიფერიულ ნაწილზე მოდის და თანამედროვე ნიადაგზე უფრო ღრმად ეშვება ძირისაკენ. ცალკეული მისი დონეები (კერამიკის, ზოგჯერ ბათქაშისა და ნახშირის შემცველი ჰუმუსირებული მოშავო მიწის შრეები) ხშირად ერთმანეთისაგან გამოიყოფა ხელოვნურად ნაზვინი თხელი, ყვითელი სტერილური თიხნარით, რომელიც, ჩანს, საცხოვრებლის ან სამოსახლოს გამართვის დროს იყო დაგებული (სურ. $2_{2,3}$).

N — SB თხრილის ჩრდ. ნაწილში (კვადრატები HE 71—72, 61—62) აგრეთვე გამოვლინდა სქელი თიხაზვინული, რომელზედაც II ფენის შრეები დევს, მაგრამ ყვითელი თიხნარი აქ დასავლეთისაკენ მკვეთრადაა დაქანებული, რაც კარგად ჩანს თხრილის ჩრდ. ბოლოზე არსებული ჭრილის მიხედვით. აქ გათხრები ძირამდე არ დაგვიყვანია. ასე რომ, სურათი ჯერჯერობით სავსებით ნათელი არ არის. აღნიშნულ თხრილში II კულტურული ფენა ნაკლებად მკაფიოდ არის გამოყოფილი, ვიდრე N—SA თხრილში, მაგრამ იგი აქაც არანაკლები სიმძლავრისა უნდა იყოს. ამ თხრილის უდიდეს ნაწილში, ისე როგორ N—SA თხრილის სამხრ. ნაწილში, II ფენას ზევიდან ადევს IV კულტურული ფენის სხვადასხვა შრეები. საერთოდ კი ეს ფენები სამხრეთისაკენ დაქანებულია (სურ. $2_{2,3}$).

1973 წელს საველე სამუშაოები სირთულეს წააწყდა იმის გამო, რომ

N—SA თხრილის ჩრდ. ნაწილში, სადაც წინა წელს გათხრა ძირამდე იყო დაყვანილი და დიდ სიღრმეზე ძელური ნაგებობა გამოვლინდა, ახალ სამუშაოთა დაწყების მომენტში თხრილის კედლები ჩამონგრეული დაგვხვდა. დიდძალმა ჩამონაშალმა მიწამ მნიშვნელოვნად ამოავსო ეს ღრმა განათხარი; ჩამონაყარი მიწა (მეტწილად ნაზვინი ყვითელი თიხა) ჩამდგარი წყლით იყო დაფარული და გაჟღენთილი. ამის გამო აუცილებელი გახდა თხრილის ამ ნაწილის ხელახალი ამოწმენდა, რათა გაგვეგრძელებია მიმდინარე მონაკვეთების გათხრა და გვეწარმოებია შემდგომი ფიქსაცია. ეს განმეორებითი სამუშაო მეტად შრომატევადი გამოდგა.

1973 წელს ბორცვზე გაითხარა ახალი მონაკვეთები. N—SA თხრილისა და ძველი ოთხკუთხა განათხარის (დიდი „ქვაბულის“) შეერთების ადგილას, N—SA თხრილის ჩრდილოეთ ბოლოზე, ჩაჭრილ იქნა დიდი თიხაზვინულის კიდე და მის ჩრდილოეთ მხარეს მიწის ჩამოშლის შედეგად შექმნილი ფლატე, რომლებიც ტიხრულად გვქონდა დატოვებული (GE 03—04 კვ-ბის სამხრეთ ნაწილი და HE 13—14 კვ-ბის ჩრდილო ნაწ.). აქ, თიხაზვინულის ქვეშ, გაწმენდილ იქნა წინა წელს თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლენილი ძელური ნაგებობის ჩრდ. კედელი (ძელების ჯარგვლისებური წყობა).

N—SA თხრილის აღნიშნული ჩრდილო ნაწილი რამდენადმე გაფართოვდა (დაახლოებით 0,5 მ სიგანეზე) მისი დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლების მხარეს (ჩამონგრეული ადგილების ჩაჭრისა და კედლების ჩასწორების შედეგად).

N—SA თხრილის ამავე ნაწილის დასავლეთით (დაახლოებით N—SB თხრილის გაგრძელებაზე ჩრდილოეთით) გაითხარა ფართობი, რომელიც აგრეთვე ბორცვის თავზე, მის უმაღლეს ნაწილზე ხვდებოდა (კვ-ბი HE 11—12, 21—22, 31—32; 41—42-ის ჩრდილოეთ ნაწილი). ეს მონაკვეთი პირობითად აღნიშნული გვაქვს როგორც N—SC თხრილი; იგი ნულოვან დონედან (დაახლ. ბორცვის თავიდან) ჯერჯერობით დაყვანილია 0,5—0,7 მ სიღრმემდე — დიდი თიხაზვინულის თავამდე, რომელიც ბორცვის ამ ნაწილშიც გრძელდება და აღნიშნული თხრილის მიხედვით დას. მხარეს თანდათან დაბლდება. აქ გამოვლენილ იქნა ნახანძრალი II კულტურული ფენა, რომელიც თიხაზვინულზე იდო და თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში თითქმის ზედაპირულად გამოდიოდა (ზედა დონეზე სჭარბობდა წითელი ბათქაში და გადამწვარი კერამიკა). სამხრეთ მხარეს მასზე იდო თხელი კორდოვანი ფენა (0.2—0,3 მ სისქისა).

N—SA თხრილის ჩრდ. ბოლოსთან, დიდი ოთხკუთხა განათხარის ძირზე, ჩაჭრილი იქნა ვიწრო თხრილი (კვ-ბის GE 03,93 დასავლეთი ნაწილი), რომელმაც გამოავლინა I კულტურული ფენის ძირი (0,3—0,4 მ სისქის ქვედა დონე). იგი შესდგება მოშავო თიხისაგან, რომელიც შეიცავდა ცოტაოდენ შავ კერამიკას. საკუთრივ ძირი ამ ფენისა წარმოადგენდა წაბლის ჩენჩოებისაგან შედგენილ 0,5—0,1 მ სისქის საფენს, რომელზეც აქა-იქ ელაგა წვრილი მოთეთრო რიყის ქვები. საფენის ქვეშ იყო მოშავო-მონაცრისფრო თიხნარი (ტაბ. I $X_2$).

იმავე N—SA დიდი თხრილის სამხრეთ ბოლოზე, ამ თხრილის ძირზე, ჩაჭრილ იქნა ვიწრო თხრილი (კვ-ბი HE 0,3 IE 13), რომელმაც დიდ სიღრმეზე (ნულოვანი დონიდან 3—4,5 მ) გამოავლინა I და II კულტურული ფენები (ტაბ. $X_2$). აქაც II კულტურული ფენა არ შეიცავდა ნახანძრალ ნაშთებს. ორივე ფენაში აღმოჩნდა ვიწრო ხის ძელებისა და შტოების ნაშთები, საკმაო

რაოდენობის კერამიკა, ბრტყელი მრგვალი ქვები და ცხოველის ძვლები. ამ ადგილებში საერთოდ კულტურული ფენები მკვეთრადაა დახრილი სამხრეთისაკენ. აქ ძველ გრუნტამდე ჯერ დასული არ ვართ.

რამდენადაც ნოსირის კულტურულ ფენათა ზუსტი სტრატიგრაფიული გამიჯვნა ზოგიერთ განათხარ მონაკვეთზე არ ხერხდება, მონაპოვარი ნივთიერი მასალის ნაწილის სათანადო განსაზღვრა შეიძლება მოხერხდეს მომავალში მთლიანად მასალათა უფრო ფართო ტიპოლოგიური ანალიზის გზით.

ნოსირის ბორცვზე საანგარიშო წელს მოპოვებული მასალის უმთავრეს ნაწილს კერამიკა შეადგენს, რომლისათვისაც დამახასიათებელია ჩვენთვის უკვე ცნობილი ფორმები, ფაქტურა და ორნამენტი. ესაა I—II ფენების (ბრინჯაოს ხანა) შავი, მოშავო-მონაცრისფრო ან ყავისფერი და ზოგჯერ მოწითალო კერამიკა უმთავრესად ღარული და სავარცხლისებური ტვიფრული ორნამენტით, პირმოყრილი თუ პირგადაშლილი ქოთნები, ბადიები და სასმისები. მათთვის დამახასიათებელია მინიატურული მომცრო ნახევარსფერული, ფრინველის მკერდისებური თუ სხვა ფორმის (ზოგჯერ შვერილიანი) ყურები, კოპები, შვერილები და სხვა (ტაბ. XI). IV ფენის (წინარე ანტიკური/და ადრეანტიკური ხანის) კერამიკიდან კი მრავლად ჩნდებოდა შავპრიალა და წითელი მოზრდილი თუ საშუალო ზომის ჭურჭლები ფართო შვეული კანელურებით, ყავისფერი წითელი და მოწითალო, ზოგჯერ მოშავო კერამიკა სწორი ჰორიზონტალური და ტალღისებური ღარებით. სხვადასხვა ფოსოებით და ხაზოვანი გრავირებული ორნამენტით (ტაბ. XII). მაგრამ კერამიკულ მასალიდან გვაქვს ზოგიერთი ახალი ტიპის ნაკეთობა. განსაკუთრებით ეს ეხება მინიატურულ ჭურჭლებს (ტაბ. XI$_1$) და იშვიათი სახეობის ცალკეულ ორნამენტს (ტაბ. XI$_{1,5,8}$ XII$_{10}$) კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით, რომელთაგან შერჩეული და დასამუშავებლად განკუთვნილი გვაქვს საუკეთესო ნიმუშები. მოპოვებულია აგრეთვე ძვლოვანი და ქვის სხვადასხვა ნივთები. აღებულია ხის ნიმუშები მათი სათანადო გამოკვლევის მიზნით.

ამგვარად, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972—73 წლებში ჩატარებულმა საველე მუშაობამ მოგვცა ახალი მონაცემები მის მიერ შესასწავლი ძეგლის უმთავრესი ობიექტის — ნოსირის ბორცვის შესახებ. ეს განსაკუთრებით შეეხება ამ ძველი სამოსახლო ბორცვის სტრუქტურას, კერძოდ დიდ თიხაზვინულიან და ძელებიან ნაგებობას, რომლის მხოლოდ ნაწილი იქნა გამოვლენილი და შესწავლილი, შემდეგში კი აუცილებელი იქნება რიგი სამუშაოების ჩატარება, რომლებიც უფრო სრულად წარმოგვიდგენს აღნიშნულ ნაგებობას და ნათლად ახსნის ამ ძეგლის საერთო ხასიათს.

Э. М. ГОГАДЗЕ, Г. И. ДЖАВАХИШВИЛИ, М. Н. САГИНАШВИЛИ

## ОТЧЕТ О РАБОТЕ НОСИРСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1972—1973 гг.

В 1972—73 гг. Носирская археологическая экспедиция Гос. музея Грузии им. С. Н. Джанашиа продолжала работы на Носирском поселении (Цхакаевский р-н, сел. Третий Носири). В 1972 г. экспедиция пробыла на поле сентябрь-октябрь, в 1973 г. — август-октябрь.

Полевые работы производились на основном объекте поселения — жилом холме, исследование которого, начиная с 1967 г., систематически ведет экспедиция.

В 1972 г. продолжалось углубление траншеи N-S, проложенной на площади 22 × 4 м в средней и южной частях холма (большие квадраты HE и IE); этому раскопу мы дали обозначение N—S A, а раскоп, начатый продольно с зап. его стороны в том же 1972 году, имевший также вид траншей (хотя меньших по длине и ширине размеров), был обозначен как траншея N-SB (рис. 3). Траншея N-SA совпадает с квадратами: HE 13—14, 23—24, 33—34, 43—44, 53—54, 63—64, 73—74, 83—84, 93—94, 03—04, IE 13—14; траншея N-SB охватывает большую (среднюю и зап.) часть квадратов HE 62, 72, 82, 92, 02, IE 12 и меньшую (вост.) часть кв-ов HE 61, 71, 81, 91, 01, IE11. Такое частичное совпадение в плане траншеи N-SB с упомянутыми квадратами выражается отклонением ее на запад, что постепенно увеличивается к сев. стороне. Все это было вызвано тем обстоятельством, что с восточной стороны, между траншеями N-SA и N-SB (продольно) мы перегородчато оставили стенку нераскопанной земли в том виде, в каком удалось ее сохранить в процессе раскопок. Временно оставить эту стенку мы решили с целью стратиграфических наблюдений над разрезом и для того, чтобы быстрее выкачать воду, поступавшую на дно раскопов вследствие непрерывных дождей и получить возможность работы на отдельных участках. Из-за продолжительности столь неблагоприятной погоды, мы не смогли снять упомянутую стенку в 1972 году, а ввиду разных обстоятельств сохранили ее также и в 1973 году.

Уже в 1972 г в сев. части траншеи N-SA (к центральной части холма) создалась определенная картина, выявившая значительное новшество в смысле понимания структуры холма. Здесь был выявлен навал желтой стерильной глины, мощностью 2,5 м, на котором непосредственно лежал пережженный от пожарища II культурный слой, содержавший много остатков краснообожженной глиняной обмазки и угля. Этот последний слой начинался на вершине холма, приблизительно на нулевом уровне. Навалочная глина опирается на деревянное сооружение из мощных бревенчатых кладок (рис. $3_1$, табл. $IX_{1,2}$). План его в целом предварительно представляется нам в виде целой системы больших бревенчатых и брусчатых клеток, соединенных друг с другом. Переложением древесных стволов друг на друга концами (по четыре и по три ствола) получается обрубочная кладка и образуются углы каждого из четырехугольных строений (рис. 2, табл. IX). У разрезов раскопа хорошо видно, что за углами стволы имеют продолжение (входят в нераскопанную толщу земли). Пространства между отдельными брусьями (или бревнами) и кладками было заполнено глиной, т. е. навалочная глина достигает низа деревянного сооружения и поверхности древнего грунта. Последний представляет собой черноватый или сероватo-голубоватый, большей частью хорошо выделяющийся чистый плотный суглинок. В некоторых местах, в особенности под нижними бревнами, на нем были заметны уплотненные черные прослойки, состоящие из листьев и тонких веток дерева, представляющие, по-видимому, настил под деревянной кладкой для предохранения от грунтовых вод и сырости. Местами вдоль бревен наваленная над грунтом глина также была черноватого или сероватого цвета. Такую окраску должна была принять желтая глина от древесного тлена. Следует отметить, что под мощной навалочной глиной (прибл. в сев. половине траншеи N-SA), ни во внутреннем пространстве бревенчатых кладок, ни на поверхности грунта, не было обнаружено никакого предмета. Это обстоятельство указывает на то, что здесь не происходило наслоение культурных остатков и, как мощный глинистый навал, так и система деревянных сооружений должны быть непосред-

ственно связаны с возникновением жилища II культурного слоя, устроенного на искусственно созданном холме или холмообразной возвышенности из наволочной глины огромной мощности. Как нам известно из раскопок предыдущих годов, в сев. части холма не было такой мощной навалки глины. II культурный слой в этой части лежал на тонком слое желтой глины, который в южной стороне соединяется с большим глинистым навалом. На месте соединения будто бы создается террасообразное расположение глинистого слоя. Кажется, что подобную картину мы имеем с южной стороны, прибл. в средней части траншеи N-SA (кв-ты HE 63—64), где мощный глинистый вал резко обрывается. К южному концу траншеи отсюда направляется тонкий слой желтой глины (в среднем 0,15—0,2 м толщины), на котором лежит сравнительно тонкий II культурный слой. Но переход между этими двумя глинистыми слоями у их соединения резок. Тонкий слой глины горизонтально соединяется с толстым глинистым валом на том месте, где поперек траншеи выявилась кладка толстых бревен (табл. $IX_{3,4}$). Дно этой кладки (и поверхность черноватого глинистого грунта) находится на 3,1—3,4 ниже нулевого уровня, т. е. приблизительно от высшей точки холма. Прибл. на том же уровне находятся бревна и грунт в более сев. части траншеи, где было выявлено бревенчатое сооружение.

Раскопки доведены до грунта в средней части траншеи N-SA (кв. HE 63—64, 73—74), где также была выявлена бревенчатая кладка (у южного края большого глинистого навала). Здесь II культурный слой местами лежит непосредственно на грунте и, должно быть, представляет самый нижний слой. Однако здесь в этом слое следов пожара не замечается. В какой мере можно допустить также и существование в этом месте остатков I культурного слоя, в дальнейшем может уточнить детальное изучение добытого керамического материала.

В южной части траншеи N-SA и в траншее N-SB, где вода накапливалась часто и дно раскопа постоянно оставалось загрязненным, в 1972 году раскоп не был доведен до грунта, хотя в этих частях углубились значительно. Самым мощным из раскопанных за отчетные годы слоев оказался позднейший IV культурный слой, который выделяется в южной части траншеи и содержит разные прослойки. Но в той же части траншеи замечается значительная мощность и других слоев.

IV культурный слой стратиграфически расчленяется и содержит разнообразный керамический материал (табл. $XII_{2,5,6,7}$). Как нам известно еще из раскопок предыдущих годов, этот слой главным образом располагается в периферийной части холма и опускается ниже современного уровня поверхности почвы. Отдельные его горизонты часто выделяются тонкими укладками желтой стерильной глины (рис. $2_{2,3}$).

В сев. части траншеи N-SB (кв. HE 71—72, 61—62) также выявлен навал желтой глины. Над ним расположены прослойки II культурного слоя. Но поверхность желтоглинистого вала здесь имеет резкий наклон на запад. Вглубь раскопка не завершена. II культурный слой в этой траншее выделяется менее отчетливо, но мощность его должна быть значительной. Выше этого слоя в основном лежат прослойки IV культ. слоя (рис. $2_{2,3}$).

В 1973 г. в полевых работах оказались трудности из-за того, что в сев. части траншеи N-SA, к моменту приступления к раскопкам, стенки ее оказались обрушенными. Большая масса обвалившейся земли в

значительной мере заполнила глубокий раскоп. Эта земля (большей частью наваличная глина) была покрыта и пропитана застоявшейся водой. Вторичные работы по расчистке раскопа оказались весьма трудоемкими.

В 1973 г. на холме были раскопаны новые участки. У места соединения траншеи N-SA и старого четырехугольного раскопа (большого «котлована») были разрыты край большого глинистого вала и образовавшаяся с сев. его стороны осыпь, которые были нами оставлены в виде «перегородки» (южная часть кв-ов GE 03—04 и сев. часть кв HE 13—14). Здесь, под толстым глинистым слоем была расчищена северная кладка ранее выявленного бревенчатого сооружения.

Сев. часть траншеи N-SA была несколько расширена в зап. сторону за счет расчистки осыпей.

С западной стороны траншеи N-SA была раскопана площадь, частью совпадающая с вершиной холма (кв-ты HE 11 — 12, 21—22, 31—32; сев. часть кв. 41—42). Этот участок условно обозначен нами как траншея (или раскоп) N-SC. Раскопка его пока доведена до глубины 0,5—0,7 м, т. е. до уровня большого глинистого навала, который постепенно понижается к западу. Здесь был выявлен пережженный II культурный слой.

У сев. конца траншеи N—SA, на дне большого четырехугольного раскопа, была прорезана узкая траншея, выявившая самый нижний уровень I культ. слоя и растительный настил под ним (табл. $IX_{1-2}$).

В южном конце той же траншеи N-SA была прорезана такая же узкая дополнительная траншея, которая на большой глубине (3—4,5 м от нуля) выявила I—II культурные слои. И здесь II слой не содержал остатков пожарища. Культурные слои в этих местах имеют резкий наклон к югу. Древний грунт здесь еще не достигнут.

Основную часть материалов, добытых на Носирском холме, составляет керамика, характеризующаяся уже известными нам формами, фактурой и орнаментом. Керамика I—II слоев (бронзовый век) в основном, представлена черными и сероватыми сосудами, имеющими желобчатый или штамповый гребенчатый орнамент, преимущественно полусферическими формами столовой посуды и т. д. (табл. XI). Из IV культ. слоя в большом количестве имеются фрагменты больших чернолощеных, или красных сосудов с широкими каннелюрами; много средних и малых сосудов (в том числе узкодонных кружек) с узкими каннелюрами, разных сосудов с хорошо отогнутыми венчиками и т. д. (табл. XII), но имеются и некоторые новые типы глиняных изделий, напр. миниатюрные сосуды и отдельные редкие виды орнамента (табл. $XI_{1,5,8}$, $XII_{10}$).

## სურათების აღწერილობა

სურ. 1. ნოსირის ბორცვი. გათხრების საერთო გეგმა.

სურ. 2. A. — ბორცვის ჭრილი N-SA თხრილის დასავლეთი კედლის მიხედვით თხრილის ჩრდ. ნაწილში: 1. ამონაყარი განათხარი მიწა; 2. II კულტ. ფენა; 3. თიხაზვინულის მოშავოდ შეფერილი ზედა ნაწილი; 4. ყვითელი თიხაზვინული; 5. თიხაზვინულის მოშავოდ შეფერილი ქვედა ნაწილი; 6. II კულტურული ფენა; 7. დიდი ძელი დასავლეთ მხარეს (ჭრილი 4—4); 8. შავთიხიანი გრუნტი; 9. I კულტ. ფენა; 10. მცენარეული საფენი I ფენის ძირზე; 11. დიდი ოთხკუთხა განათხარი (ქვაბული) ბორცვის ცენტრალურ და ჩრდილო ნაწილში (ადრე განათხარი ფართობი); 12—13. განდაგანი ძელები (O—W დამხრობით).

B. — ბორცვის ჭრილი N-SA თხრილის დასავლეთი კედლის მიხედვით. თხრილის შუა და სამხრეთ ნაწილში: 1. ძელური წყობა; 2. ყვითელი, თიხაზვინული; 3. ყვითელი

თიხნარი; 4. მოშავო თიხნარი; 5. შავთიხიანი გრუნტი; 6.. II კულტ. ფენა; 7. შერეუ-
ლი კულტ. ფენა; 8. ძელი; 9. მოყვითალო თიხანარევი III(?) კულტურული ფენა;
10. ყვითელი თიხნარი; 11—15. IV კულტ. ფენის შრეები.

C. — ბორცვის ჭრილი N-SA თხრილის აღმოსავლეთი კედლის მიხედვით თხრილის შუა და სამხრ. ნაწილში: 1. ხის ძელები; 2. II კულტ. ფენა; 3. ყვითელი თიხნარი; 4. ყვითელი თიხაზვინული; 5. ყვითელი თიხანარევი ფენა; 6. შერეული კულტ. ფენა; 7—11. IV. კულტურული ფენის სხვადასხვა შრეები.

სურ. 3. 1. ძელური ნაგებობა N-SA თხრილის ჩრდ. ნაწილში, გეგმა; 2. ჭრილი 1—1, 3. ჭრილი 3—3; 4. ძელური წყობა N-SA თხრილის შუა და სამხრ. ნაწილში, გეგმა; 5. ჭრილი 5—5.

## ОПИСАНИЕ РИСУНКОВ

Рис. 1. Носирский холм. Общий план раскопок.

Рис. 2. А. — Разрез холма по зап. стенке траншеи N—SA в сев. ее части: 1. Выкиды земли из старых раскопов; 2. II культурный слой; 3. Черноватая верхняя часть глинистого навала; 4. Желтый глинистый навал; 5. Черноватая нижняя часть глинистого навала; 6. II культ. слой; 7. Большое бревно в зап. сторене (разрез 4—4); 8. Черный глинистый грунт; 9. I культ. слой; 10. Растительный настил под I слоем; 11. Большой четырехугольный рас-коп (котлован) в центральной и сев. частях холма (ранее раскопанная площадь); 12—13. Поперечные бревна (по направл. O—W).

B: — Разрез холма по зап. стенке траншеи N—S A в средней и южной ее частях: 1. Бревенчатая кладка; 2. Желтый глинистый навал; 3. Желтая глина; 4. Черноватая глина; 5. Черноватый глинистый грунт; 6. II культ. слой; 7. Смешанный культ. слой;: 8. Бревна; 9. III(?) культ. слой с включениями желтой глины; 10. Желтый глинистый навал; 11—15. Прослойки IV культурного слоя.

C. — Разрез холма по вост. стенке траншеи N—S A в вост. ее части: 1. Бревна; 2. II культ. слой; 3. Желтая глина; 4. Желтый глинистый навал; 5. Слой с включениями желтой глины; 6. Смешанный культ. слой; 7—11. Разные прослойки IV культ. слоя.

Рис. 3. 1. Бревенчатое сооружение в сев. части траншеи N—S A План; 2. Разрез 1—1; 3. Разрез 3—3; 4. Бревенчатая кладка в средней и южной частях траншеи N—S A. План; 5. Разрез 5—5.


НОСИРСКИЙ ХОЛМ
План раскопок
N
кв. CD
кв. CE
кв. HD
кв. HE
кв. JE
±0.00
-0.50
-1.00
0
5
10
1967-70 წწ.
Раскопки 1967–70 гг.
Раскоп N-SA (1971-73)
Раскоп N-SB (1972)
Раскоп N-SC (1973)
Осыпи

სურ. 1
Рис. 1




ნახ. 2
Рис. 2


N
HE-13
HE-14
HE-23
HE-24
CE-04
±0.00
1
2
±0.00
3
HE-33
HE-93
HE-63
HE-64
HE-73
HE-74
HE-83
HC-84
HE-94
4
±0.00
5

სურ. 3
Рис. 3

ი. გაგოშიძე

# სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის ანგარიში

1972 წელს სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის მიზანი იყო, ერთი მხრივ, სამადლოს ნამოსახლარის სტაციონალური გათხრების გაგრძელება და მეორე მხრივ, ფართო დაზვერვითი სამუშაოების წარმოება სამადლოს მიდამოების შესასწავლად და, გარდა ამისა, სამადლოს ანალოგიური ძეგლების მისაკვლევად შიდა ქართლში[1].

## 1. სამადლოს ნამოსახლარის გათხრები

1. ს ა მ ა დ ლ ო I. 1972 წელს გათხრები წარმოებდა ზევიდან I ტერასის ქვევით, უბნის მთელ სიგანეზე BO, BP, CO, CP, DO, DP, EO, EP, FO, FP და ნაწილობრივ CR, DR და ER კვადრატებში.

ზედა ტერასის სუბსტრუქციას, რომელიც სამადლოსათვის ჩვეულებრივი წესითაა ნაგები (ფლეთილი ქვა თიხის ხსნარზე და წყობაში როგორც გარდიგარდმო, ისე ტერასის გასწვრივ ჩატანებული ძელები), წინა პირი თიხის (ალიზის) ხსნარით შელესილი აღმოაჩნდა. შელესილობა შემორჩენილია 50—75 სმ-ის სიმაღლეზე. I ტერასის ზედაპირიდან დაახლოებით 2 მ-ის სიღრმეზე თიხატკეპნილი იატაკი გაიწმინდა (კვადრატები DR და ER). გამოიკვეთა სათავსო სიგრძით (ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით) 6,5 მ, რომლის აღმოსავლეთი კედელი I ტერასის სუბსტრუქციის შელესილი წინა პირი გამოდგა. ჩრდილოეთიდან სათავსოს საზღვრავს 1,5 მ-ის სისქის ქვითა და ალიზით ნაწყობი და შიდაპირიდან შელესილი კედელი, რომელიც უშუალოდ კლდეზეა მიდგმული. კლდესა და კედელს შუა დარჩენილი დაახლოებით 0,5 მ სიგანე სივრცე ფლეთილი ქვისა და თიხის ნარევით იყო ამოვსებული. სათავსოს სამხრეთი კედელი მხოლოდ 0,7—1,0 მ სიგანეზეა გადარჩენილი: გარეპირი კედლისა განგრეულია. შიდაპირი შელესილია. ამ კედლის ქვის საფუძველი თითქმის 2 მ-ის სიღრმეზე ეშვება.

სათავსოს იატაკი საფეხურებად ეშვება ფერდობის მიმართულებით დასავლეთით, DP, EP და FP კვადრატებში გამოვლენილი ალიზის მძლავრი, მერიდიანული მიმართულების (სამადლო I უბნის გარდიგარდმო) კედლისაკენ,

[1] ექსპედიციამ ველზე იმუშავა 23 ივნისიდან 6 ოქტომბრამდე. მონაწილეობდნენ: ქ. ჯავახიშვილი, ნ. ჯიქია, გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, თ. სანიკიძე, ო. ჩიქოვანი, ვ. ჩაგუნავა, ს. ილიჯევი, თ. ფანიაშვილი და ი. გაგოშიძე.

რომლის აღმოსავლეთი (შიგნითა) პირი ალიზის ხსნარითაა შელესილი. იატაკის დონეთა სხვაობა I ტერასის სუბსტრუქციის ძირთან და ალიზის კედლის ძირთან შეადგენს 2 მ (სურ. $1_1$, ტაბ. $XIII_1$).

სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ER კვადრატში იატაკი შემაღლებულია 0,25 მ-ის სიმაღლეზე. მართკუთხა შემაღლების ზომებია 1,25 × 1,80 მ. შემაღლება ხაზგასმულია სათავსოს უკანა კედელზე (1 ტერასის სუბსტრუქციის წინა პირზე) არსებული „პილასტრით“ — კედელი აქ კუთხურად წინაა წამოწეული 0,15 მ-ზე.

შემაღლების ცენტრში მოთავსებულია იატაკში ამოღებული და თიხით შელესილი მრგვალი კერა. მისი დიამეტრი 0,40 მ, სიღრმე 0,11 მ. კერა წმინდა თეთრი ნაცრითა (ფერფლით) და ნახშირის წვრილი ნაწილაკებით იყო შევსებული.

EO და FO კვადრატებში, სადაც 1969 წელს მოხატული ქვევრის ყელპირი აღმოჩნდა, მაშინვე შეიმჩნეოდა ალიზის წყობა, რომელსაც ხელი არ ვახელით. საანგარიშო წელს მოხერხდა ამ კედლის (რომელიც ზევით უკვე მოვიხსენიეთ) გაწმენდა 10,50 მ სიგრძეზე. 1,80 მ სისქის კედელი ფერდობის გარდიგარდმოა აგებული და მისი შიდა (დასავლეთის) პირი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, შელესილია ალიზის ხსნარით. შელესილობის სისქე 1,5 სმ. კედლის გადარჩენილი სიმაღლე 1,70 მ. სამხრეთ ბოლოსთან კედელს 50 სმ-ით გამოწეული 1,5 მ სიგანის პილასტრი აქვს, რომელიც უპირისპირდება ზემოთ აღწერილი სათავსოს სამხრეთ კედელს, მაგრამ არ უერთდება მას. როგორც ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო კარი. კარი ხაზგასმულია ალიზის კედლის 0,70 სიგრძის ანტისებური შვერილით. მეორე სიმეტრიული შვერილი, სამწუხაროდ, არ შემორჩა: ადგილი, სადაც ის უნდა ყოფილიყო, დანგრეულია.

კედელი აგებულია მართკუთხა ალიზით (ალიზის სიგრძე 46 სმ, სიგანე — 23 სმ), რომლებიც წყვილ-წყვილად აწყვია, ისე რომ კვადრატებს ჰქმნიან.

ალიზის კედელი შუა ნაწილში (DP და EP კვადრატების საზღვარზე) დასავლეთით გადახრილი და გაბზარულია. დასავლეთიდან კედელი დამრეცად ჩანგრეული და ჩარეცხილია რაღაც იატაკის დონეზე (DO, EO და FO კვადრატებში), სადაც წინა წლებში მოხატული ქვევრის ნატეხები ამოდიოდა. კედელი ამ მხარეს მთლიანად იყო დაფარული ჩაქცეული სახურავის კრამიტებით.

საყურადღებოა, რომ ამ, ყოველ ეჭვს გარეშე, ერთ სახურავზე უხმარიათ სხვადასხვა ზომის კრამიტები. კერძოდ, დადასტურდა სულ ცოტა სამი სხვადასხვა სიგრძის კალიპტერი და ორი სხვადასხვა სიგრძის სოლენი. მათი განაზომებია:

ა) კალიპტერი: სიგრძე 58 სმ, სიგანე ზევით 19 სმ, ქვევით — 23 სმ, სიმაღლე — 10 სმ (უშვერილოდ), შვერილის სიმაღლე — 5 სმ;

ბ) კალიპტერი: სიგრძე — 51 სმ, სიგანე ქვევით 17 სმ; შვერილის სიმაღლე 7 სმ (ეს ჯერჯერობით ყველაზე მოკლე კრამიტია სამადლოზე აღმოჩენილ კრამიტებში);

გ) კალიპტერი: შემორჩენილი სიგრძე 60 სმ: სიგანე ზევით 15 სმ, სიმაღლე — 10 სმ (უშვერილოდ); შვერილის სიმაღლე — 7 სმ;

ე) სოლენი — სიგრძე — 66 სმ, სიგანე — 47 სმ;

ვ) სოლენი — სიგრძე — 58 სმ, სიგანე — 46 სმ;

კედლის გაგრძელებაზე FO კვადრატში, ფლატეზე გაიწმინდა ქვის დამწვარი წყობის პირი და კუთხე, იატაკითურთ, რომლის დონე 2 მ-ით დაბლა მდებარეობს, ვიდრე ზემოთ აღწერილი კედლის ძირი.

ამგვარად, OP, OR, EP და ER კვადრატებში გამოიკვეთა სათავსო, რომელსაც სამხრეთიდან კარი და სამ საფეხურად განლაგებული იატაკი ჰქონია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში სპეციალურ შემაღლებაზე მოწყობილი ყოფილა კერა-სამსხვერპლო. კერის საკულტო-სარიტუალო დანიშნულება თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს როგორც თვით სათავსო, რომელიც სრულიად მოუხერხებელია საცხოვრებლად საფეხურებიანი იატაკის გამო, ისე საყოფაცხოვრებო ნაშთების არარსებობა და კერაში დარჩენილი ნაცრის, არსებითად ფერფლის ხასიათი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ სამადლო I ზედა ტერასებზე შემორჩენილი ნაგებობები ტაძრის ანსამბლს უნდა ეკუთვნოდეს.

როგორც აღვნიშნეთ, სათავსოს იატაკზე თითქმის არაფერი აღმოჩენილა, გარდა თიხის ჭურჭლის რამდენიმე (მათ შორის ერთი მოხატული ქვევრის) და კრამიტის ერთადერთი ნატეხისა.

საანგარიშო, 1972 წელს ვიმუშავეთ აგრეთვე სამადლო I-ის ერთ-ერთ ქვედა (ზევიდან მე-6) ტერასაზე DF, EF, FF, DE, EE და FE კვადრატებში, 1971 წელს გამოვლენილი ტერასის საყრდენი კედლის ზემოთ (აღმოსავლეთით). რაიმე შენობის თვალსაჩინო კვალი აქ ჯერჯერობით არ გამოჩენილა, თუმცა თხრილის ზედა ნაწილში, DF კვადრატში ნაცრიან-ნახშირიანი დონის ფიქსაცია მოხერხდა. საყრდენი კედლის ზედაპირის დონეზე, რიყის ქვის ნაყარის ქვეშ სხვა კერამიკულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა წითლად გამომწვარი იმპორტული თიხის ამფორისკი, რომელიც 5 ნატეხად იყო გატეხილი და მთლიანად აღდგა. ამფორისკი ძვ. წ. III ს-ის პირველი მეოთხედის რომელიღაც მცირეაზიური ცენტრის ნაწარმი უნდა იყოს.

2. ს ა მ ა დ ლ ო II. სამადლო II უბანზე 1972 წელს გავავლეთ კიდევ ერთი თხრილი ადრე გამოვლენილი ბურჯის სამხრეთით 40 მ-ის მანძილზე, სამადლოს გორის ჩრდილო-დასავლეთის ფერდობის ძირას, ფლატეს პირას. ფლატეში ჩანდა მძლავრი, 3 მ სისქის კულტურული ფენა (რიყის ქვები, კრამიტის ნატეხები). ჩანდა, რომ კლდე ჰორიზონტალურად იყო შეჭრილი, თითქოს ხელოვნურად. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს აქ იატაკი იყო მომზადებული კლდის ნიველირებით (სურ. $1_2$).

თხრილმა გეგმაში მართკუთხა სამკუთხედის ფორმა მიიღო. მისი „კათეტების“ სიგრძე 7—7 მ-ია, ხოლო „ჰიპოტენუზა“ ფლატეს მიჰყვება.

თხრილის მაქსიმალურმა სიღრმემ 3 მ მიაღწია. დანაშრევების თანამიმდევრობა (ზევიდან ქვევით) შემდეგია: ა) დაახლოებით 0,5 მ სისქის კორდოვანი ფენა, ბ) დაახლოებით 0,5 მ სისქის კლდის ნანგრევი, რიყის ქვებისა და მიწის მინარევით. ქვებს ქვეშ, ჩვეულებრივ, თეთრი თაბაშირის ბუნებრივი ნალექია, ამიტომ ამ შრეს მოთეთრო ფერი აქვს. ფენის ძირზე გვხვდება კრამიტის ნატეხები; გ) დაახლოებით 1 მ სისქის ნანგრევები ალიზის კედლებისა; დ) დაახლოებით 0,5 მ სისქის რიყის ქვების შრე; ე) უშუალოდ კედლის შესწორებულ ზედაპირზე რიყის ქვების ქვეშ ხის ფიცრების ნაშთი ჩანდა: ხელოვნურად შესწორებული კედლის ზედაპირი მოფენილი ყოფილა ფიცრით.

მხოლოდ ამ დო-
არქეოლოგიური მასალა (კრამიტებისაგან განსხვავებული) პირმოყრი-
ნეზე ამოვიდა: წითლად შეღებილი და გაპრიალებული დოქები, რუხი თიხის
ლი ჯამები, თეთრი ანგობის ზოლებიანი კერამიკის ფრაგმენტები, ჩვეულებრივ,
სამზარეულო კერამიკა, აგრეთვე კრამიტის ნატეხებიც. მასალა,
ძვ. წ. IV—III საუკუნისაა.

ამრიგად, სამადლო II უბანმა, ისევე როგორც წინა წლებში, მოგვცა საყოფაცხოვრებო კერამიკა და აქ სამადლო I უბნის ზედა ტერასებისაგან განსხვავებით, არ შეგვხვედრია დიდი ზომის მოხატული ქვევრების ნატეხები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სამოსახლო უბანი იყო.

3. სამადლო III. უბანი ნამოსახლარის უკიდურესი აღმოსავლეთი და თანაც უმაღლესი ბორცვია, მტკვრის დონიდან 80 მ-ზე მეტი სიმაღლისა. ამჟამად ყოველი მხრიდან ღრმა ხევებით შემორტყმული ციცაბო ფერდობებიანი მწვერვალი თავის დროზეც, ალბათ, გამოყოფილი იყო სამადლოს ძირითადი, დასავლეთი მასივისაგან, სამადლო III ბორცვის დასავლეთით კლდეკარია გაჭრილი, რომელშიც ძეგვიდან მომავალი გზა გადის. უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე იყო ძველადაც. სამადლო III მტკვრიდან ყველაზე მეტად დამორებული წერტილია. მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით ბრწყინვალედ შერჩეული პუნქტია. აქედან მთლიანად ჩანს მტკვრის ხეობა კასპიდან არმაზის ხეობამდე. ჩანს აგრეთვე ქსნის ხეობა ქსოვრისამდე. მტკვრის პირა ქვაბული (ნასტაგისი, გრძელი მინდორი, ძეგვი, სასხორის და ნიჩბისის მიწები), რომლის ცენტრშია ჩასმული სამადლო III, აღმოსავლეთიდან სავანეთის სარკინე ხურავს. არც არის გასაკვირი, რომ სამადლო III უბანზე ნამოსახლარის ყველაზე ადრეული ფენები დადასტურდა.

გორის მწვერვალის ზედაპირი ბრტყელია, წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისა, სიგრძით 50 მ და სიგანით 7—10 მ. როგორც ჩანს, ეს ფართობი მხოლოდ ნაშთია ოდინდელი მწვერვალისა, მაგრამ თიხის კარიერისაგან მხოლოდ დასავლეთი ფერდობია დაზიანებული. სხვა დანაკლისი ბუნებრივი ეროზიის შედეგია. ყოველ შემთხვევაში, სამხრეთი მხრიდან, როგორც გათხრებმა დაგვანახვა, მწვერვალის ზედაპირს სულ ცოტა 15—20 მ აკლია.

გათხრა დავიწყეთ მწვერვალის ზედაპირის აღმოსავლეთი ნაწილიდან, სადაც მოვზომეთ 20 მ სიგანის თხრილი, პირველივე ბარის პირზე გამოჩნდა კედელი, რომელიც თითქმის მიდგმულია მიწის ზედაპირზე ამოზიდულ კლდეზე. კლდე ჩრდილოეთისკენაა გადახრილი და, ამგვარად, კედლის ძირი პირდაპირ კლდეზე დევს, ზევით და ზევით კი მანძილი კედელსა და კლდეს შორის იზრდება (სურ. $1_3$).

კედელი ნაგებია ჩვეულებრივი „სამადლოური“ წესით: ორივე პირი ამოყვანილია მეტნაკლებად წესიერი ფორმის შესწორებული ფლეთილი ქვის კვადრებით, ხოლო მოპირკეთებას შორის სივრცე ამოვსებულია ჭყორით — უფრო წვრილი ქვისა და თიხის ნარევით. წყობაში დატანებულია ძელები. კედლის სისქე თითქმის 4 მ აღწევს, სიგრძით გასდევს მთელ თხრილს (20 მ). კლდის მხარეს (სამხრეთით) კედელს 2,75 მ სიგანის და 0,50 მ გამოწეული კონტრფორსები აქვს. შენობა, რომლის ჩრდილო კედელი ყოფილა ჩვენს მიერ გათხრილი წყობა, აღარ არსებობს სამხრეთი ფერდობის ეროზიის შედეგად.

კედელი ძლიერი ხანძრის კვალს ატარებს. იგი დამწვარია, ფხვიერი, დეფორმირებულია, გადახრილია ჩრდილოეთისაკენ (კლდისკენ). კლდისპირას, ქვის კედლის დონეზე მაღლა, თხრილის შუა ნაწილში შერჩენილი იყო ძლიერ დაფშვნილი დამწვარი ალიზის წყობა, რომლის მიმართულება მთლიანად არ ემთხვეოდა მის ქვეშ გამოვლენილ ქვის კედელს. მაგრამ ეს გარემოება შეიძლება ნგრევისა და ეროზიის შედეგი იყოს. ალიზის წყობის ფრაგმენტი შემორჩა თხრილის დასავლეთ ბოლოშიც.

ამგვარად, პირველად სამადლოს ნამოსახლარზე ორი სტრატიგრაფიულად განსხვავებული ფენის ფიქსირება მოხერხდა. ამ ფენების არქეოლოგიური მასალაც განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

ზედაპირთან ახლოს გვხვდება მცირე რაოდენობით ანტიკური ჭურჭლის ნატეხები (ძვ. წ. IV—III ს.) — ჩვეულებრივი სამადლოს სხვა უბნებისათვის. ქვის კედლის ძირში კი ამოდიოდა მხოლოდ ადრეული კერამიკა, ლეგა თიხის ჭდეული ორნამენტით შემკული ჭურჭელი, რომელიც ტიპიურია წინარე ანტიკური და შიდა ქართლის ადრეანტიკური ხანისათვის. წინასწარულად ამ კერამიკის დათარიღება შეიძლება ძვ. წ. VII—V საუკუნეებით. აღსანიშნავია, რომ ამ ფენაში, რომელიც ზემოთ აღნიშნული კლდის ჩრდილოეთითაც, გორის ჩრდილო ფერდობზეც ვრცელდება საკმაოდ მძლავრი ნაცრიანი შრის სახით, წითლად გამომწვარი და წითელი ოქრის ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხიც აღმოჩნდა. თუ ეს ნატეხები შემთხვევით არ მოხვდა ამ ფენაში, მათი სახით ანტიკური ხანის საქართველოსათვის ჯერჯერობით უძველესი, ალბათ ძვ. წ. V საუკუნის მოხატულ ჭურჭელთან გვაქვს საქმე.

ქვედა ფენის კერამიკა, ისევე როგორც ქვის წყობა, დამწვარია ხანძრისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ ნაგებობაც იმავე ძვ. წ. VII—V საუკუნეებისა უნდა იყოს. თუ კედელი მართლაც ადრეულია — და ჯერჯერობით ყველაფერი ამის სასარგებლოდ მეტყველებს — საქმე გვაქვს სამშენებლო ტრადიციის უწყვეტობასთან ადრეული რკინის ხანიდან ელინისტურ ხანამდე, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, სამადლო III კედელი წყობის ხასიათით არ განსხვავდება სამადლოს სხვა უბნებზე გამოვლენილი და აშკარად ძვ. წ. IV—III საუკუნის კედლებისაგან. კიდევ მეტი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამადლო III ადრეული კედელი (და ნაგებობა) ელინისტურ ხანაშიც გამოიყენებოდა.

ამგვარად, სამადლო III უბანზე მივაკვლიეთ უძველეს დასახლებას, რომელსაც საწყისი უნდა მიეცა სამოსახლოს წარმოშობისათვის.

## II. დაზვერვები

ზევითაც აღვნიშნეთ, რომ ექსპედიციამ 1972 წელს ფართო დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა. დაზვერვების დროს აღვრიცხავდით ყველა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს, მიწის ზედაპირზე შემორჩენილ ძველ ნაგებობებსა და მათ ნანგრევებს, გამოვკითხავდით მოსახლეობას, ვიწერდით გადმოცემებს, ვაგროვებდით ტოპონიმიკურ მასალას. საჭიროების შემთხვევაში ვატარებდით მცირე მასშტაბის დაზვერვითი და დაცვითი ხასიათის გათხრებს. ამა თუ იმ პუნქტში მუშაობის დაწყებას ხშირად განაპირობებდა შემთხვევითი აღმოჩენები, რომელთა შესახებ ვიგებდით ხოლმე სხვადასხვა წყაროდან.

1. *ციხედიდის ხევი*. მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოები ჩა-

ვატარეთ ციხედიდის ხევის მარჯვენა ნაპირას ბაქტერიოფაგის ბაზის სახნავ-სათეს ფართობზე. აქ, ხევიდან 100 მ-ის მანძილზე და სამანქანო გზის სამხრეთით 10 მ-ზე 1972 წლის 13 ივნისს ძეველი მცხოვრების ვასილ ივანეს ძე წიკლაურის ცხენს ფეხი ჩავარდნია ორმოში, რომლის გაქექვის შემდეგ ვ. წიკლაურმა ორი წითლად შეღებილი დოქი ამოიღო.

ჩვენ გავთხარეთ ეს ადგილი. აღმოჩნდა ქვაყუთი, შედგენილი ოთხი ფილაქვისაგან და გადახურული ორი ქვით. ქვაყუთის დამხრობა აღმოსავლეთიდან — დასავლეთისაკენაა. მისი სიგრძეა 142 სმ, სიგანე დასავლეთით 71 სმ, აღმოსავლეთ ბოლოში 80 სმ, სიღრმე — 80 სმ. მიუხედავად იმისა, რომ ჩონჩხის ძვლები არეული დაგვხვდა, მაინც მოხერხდა დადგენა, რომ სამარხში ერთი მიცვალებული ყოფილა, თავით აღმოსავლეთისაკენ. ხელუხლებელი იყო სამარხის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე, სადაც გაიწმინდა ცხვრის კიდურების ძვლები და ერთი წითლად შეღებილი ქუსლიანი ჯამი. ამგვარად ამ ქვაყუთიდან ჩვენს ხელთაა თიხის სულ სამი ჭურჭელი — ორი ხელადა, რომელთაგანაც ერთს ყელზე წიბო შემოჰყვება, და ქუსლიანი ჯამი. ანალოგიური კერამიკა დამახასიათებელია სამთავროს სამაროვნის ქვევრსამარხებისათვის. ძეგვის ქვაყუთი შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრით, ან წელთაღრიცხვათა მიჯნით (ტაბ. $XIII_2$).

2. ს ო ფ ე ლ ი  ქ ს ო ვ რ ი ს ი. ასევე შემთხვევითი აღმოჩენის გამო 19 ივლისს გავემგზავრეთ ქსოვრისში. აქ, სოფლის ზემოთ, წმ. მარინეს ხევში ივნისის წვიმებს გამოურეცხავთ თიხის სარკოფაგი, რომელიც პირველს უნახავს კოლა კასაბურს.

სარკოფაგი მდებარეობდა შიგ შუა ხევში, სამანქანო გზის აღმოსავლეთით 100-ოდე მეტრის მანძილზე. სახურავი ჩატეხილი და სარკოფაგი მიწით სავსე დაგვხვდა. ამოვწმინდეთ. როგორც ჩანს, იყო მხოლოდ ერთი ჩონჩხი, უინვენტაროდ.

სარკოფაგის სიგრძე 198 სმ, სიგანე — 55 სმ, სიღრმე — 30 სმ, დამხრობა აღმოსავლეთ-დასავლეთით, ქრისტიანული.

ამრიგად, ადრეფეოდალური ხანის თიხის სარკოფაგების აღმოჩენებს დაემატა კიდევ ერთი პუნქტი — ქსოვრისი. თუ ალაიანის აღმოჩენას არ ჩავთვლით, ეს უკვე თიხის სარკოფაგის აღმოჩენის მეორე შემთხვევაა ქსნის ხეობაში (ერთი სარკოფაგი ლენინგორში აღმოჩნდა).

3. თ ხ ო თ ი ს  ქ ე დ ი. 1972 წლის 24 ივლისს დაზვერვითი სამუშაოები ჩავატარეთ თხოთის ქედზე, წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის მიდამოებში.

წმ. ნინოს სახელობის ეკლესია ადრეფეოდალური ხანის ძეგლია, თავდაპირველად იგი გეგმაში ე. წ. თავისუფალი ჯვრის ტიპისა ყოფილა, შემდგომში გვერდითი მკლავები ამოუშენებიათ და ეკლესიამ დარბაზული სახე მიიღო. ეკლესიის მახლობლად, მის დასავლეთით მიწის ზედაპირზე ჩანს ქვაყუთები.

ამ ადგილთან დაკავშირებულია ლეგენდა მირიან მეფის და მზის დაბნელების შესახებ. „ნინოს ცხოვრების" თანახმად ქართლის გაქრისტიანების შემდეგ აქ, თხოთის ქედზე აღუმართავთ ჯვარი, ისევე როგორც მცხეთის ჯვარსა და ბოდავში.

მიწებს მტკვრის ნაპირას, თხოთის ქედის ამ ნაწილის ფერდობებზე მირიანი ეწოდება. ამჟამად აქ გაშენდა ამავე სახელწოდების სოფელი.

თხოთის ქედთან დაკავშირებული ლეგენდები და ტოპონიმის (მირიანი)

აშკარა კავშირი მითრასთან (მიჰრთან) გვაფიქრებინებდა, რომ აქ ჯვრის აღმართვამდე და ეკლესიის აგებამდე შეიძლებოდა ყოფილიყო წარმართული სალოცავი.

დაზვერვითმა თხრილებმა მართლაც დაადასტურა ანტიკური ხანის ფენების არსებობა თხოთის ქედზე.

ეკლესია მდებარეობს ქედის დადაბლებულ ადგილას. მის აღმოსავლეთით ქედი თანდათან მაღლდება, ქმნის შვიდ მწვერვალს და შემდეგ მკვეთრად ეშვება მდ. ქსნისაკენ.

პირველი თხრილი, ზომით 2 მ × 1 მ, გავავლეთ ეკლესიის სამხრეთით. 1,40 მ სიღრმეზე თხრა შევწყვიტეთ და ორმო ისევ ამოვავსეთ. თხრილის მთელ სიღრმეზე არსებითად მხოლოდ სამშენებლო ნარჩენები და ეკლესიის ნგრევის შედეგად მიღებული მასალა ამოდიოდა: აგური, კრამიტი, რიყის ქვა და შირიმის ნატეხები. აგური კვადრატულია, თხელი, ე. წ. ქართული აგური, და აშკარად ეკლესიის უკანასკნელი, გვიანი შუასაუკუნეების ხანის შეკეთების დროინდელი. ამ აგურითაა მოკირწყლული იატაკი და დახურული ეკლესია. აგურის ზომებია 22 სმ × 21 სმ × 4 სმ.

თხრილიდან სამი სხვადასხვანაირი კრამიტი ამოვიდა. ა) კრამიტებს შორის უძველესი, ანტიკური იერის წითლადშეღებილი ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტებისა და მათი შესაბამისი კალიპტერების (ღარისებრი კრამიტების) ნატეხებია.

აკეცილი გვერდების სიმაღლე შიგნიდან 5 სმ; კრამიტის საერთო სიმაღლე 6,5—7 სმ; კეცის სისქე — 2 სმ.

სოლენის ზედაპირსა და აკეცილ გვერდებს შორის მოქცეული კუთხე მომრგვალებულია და კრამიტებს დუღაბის კვალი არ ემჩნევა.

ბ) ადრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს საშუალო სიმაღლისა და მკვეთრად აკეცილი გვერდებიანი ბრტყელი კრამიტები. აკეცილი გვერდის სიმაღლე შიგნიდან 3 სმ; კრამიტის სიმაღლე — 5—5,5 სმ; კეცის სისქე — 2 სმ;

გ) უფრო გვიანი, შესაძლებელია ადრეფეოდალური ხანის მიწურულის ან შუაფეოდალური ხანისა იყოს დაბალგვერდებიანი ბრტყელი კრამიტები. გვერდის სიმაღლე 2 სმ, კრამიტის სიმაღლე — 4 სმ, კეცის სისქე — 2 სმ. ამ ბრტყელი კრამიტის შესაბამისი კალიპტერის სიგანე 10 სმ-ა. ყველას აშკარად ეტყობა დუღაბით დამაგრების კვალი. ერთ-ერთ კალიპტერს შემაღლებასთან ნახვრეტი აქვს დატანებული.

ამ ფენის უნდა იყოს ანტეფიქსიანი (ჯვრის გამოსახულებით) კალიპტერი, რომელიც 1959 წლის ზამთარში წამოიღო ამ ეკლესიიდან აწ განსვენებულმა გ. ლომთათიძემ, რომელსაც მეც ვახლდი. მძივები, რომელიც მაშინ გამოვართვით აღაიანის ერთ-ერთ მოსახლეს, აღმოჩენილი იყო ამავე ეკლესიის დასავლეთით გაშიშვლებულ და გაძარცულ ხუთ ქვაყუთში.

მეორე თხრილი გავავლეთ (ზომით 1 × 1) ეკლესიის აღმოსავლეთით თხოთის ქედის პირველივე მწვერვალზე. აღმოჩნდა მიწაში საგანგებოდ წიბოთი ჩასმული კერამიკული ფილა, აშკარად ანტიკური იერისა. ფილის ზომებია: 56 × 56 × 3 სმ. ფილა ორიენტირებული იყო მკაცრად ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით. ფილას ცალი კუთხე, რომელიც მიწით არ იქნებოდა დაფარული, მოტეხილი და მოცვეთილი აქვს (ტაბ. XIII$_3$).

ეკლესიიდან აღმოსავლეთით მეოთხე მწვერვალზე დაახლოებით 1,3 მ დიამეტრისა და 0,5 მ სიმაღლის ქვაყრილაა მოწყობილი. ქვაყრილისთვის ხელი არ გვიხლია.

მესამე და უკანასკნელი თხრილი გავავლეთ თხოთის ქედის ეკლესიიდან მეხუთე, უმაღლეს მწვერვალზე. თხრილში აღმოჩნდა ქვითკირის დუღაბში ჩასმული ქვიშაქვის ბლოკი, სტელის ან ქვაჯვარას ქვედა ნაწილი. ბლოკის ზომებია: 48 × 17 × 18 სმ. ორიენტირებული იყო ზუსტად ქვეყნის მხარეების მიმართ, ვიწრო მხარეებით აღმოსავლეთით და დასავლეთით. მიწის პირზე ბლოკი გადატეხილი და გადაცვეთილი იყო, ისე რომ არ ჩანდა ბალახსა და გრაკლის ბუჩქნარში. ბლოკს ზედა პირზე ემჩნევა ქვის დასამუშავებელი იარაღის კვალი. ქვედა ნაწილი შევიწროებული აქვს (ტაბ. XIII,4).

ბლოკი ავზომეთ, ფოტო გადავიღეთ და ისევ წავაყარეთ მიწა. ძალაუნებურად იბადება კითხვა, ხომ არ იდგა ეს სტელა წმ. ნინოს ზემოხსენებული ჯვრის აღმართვის ადგილას? მით უმეტეს, რომ ეს თხოთის ქედის აღმოსავლეთი ბოლოს უმაღლესი მწვერვალია და აქედან იშლება შესანიშნავი ხედი ერთი მხრივ მუხრანისა და აღაიანის ველებსა და ქსნის ხეობაზე, მეორე მხრივ კი მტკვრისა და მისი მარჯვენა შენაკადების — კავთურასა და ნიჩბურას ხეობებზე. აქ აღმართულ სტელას დაინახავდნენ ოკამის, თეზის, ქსოვრისის, ძალისის, ერედას, მუხრანის, წილკანის, ნატახტარის, აღაიანის, ქანდის, ციხისძირის, წეროვნის, გოროვნის, სხალტბის, კავთისხევის ყველა უბნის, ქვემო ხანდაკის, თელათგორის, ნადირაანის, ვარდისუბნის, ნიჩბისების, სასხორის და კასპის მცხოვრებლები.

ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ თხოთის ქედის ეს ნაწილი თავისი შვიდი მწვერვალით რაღაც კულტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამაზე მეტყველებს მწვერვალებზე დასმული სანიშნეები და ეკლესიის აგებაც ადრეფეოდალურ ხანაში.

ამრიგად, დაზვერვების შედეგად დადასტურდა თხოთის ქედზე ანტიკური ხანის ფენების არსებობა და დაზუსტდა ეკლესიის სამშენებლო ფენების ხნოვანება. ეკლესიის უძველესი ფენაა ქვედა ნაწილში შერჩენილი ჰორიზონტალურ რიგებად ნაწყობი ყვითელი ქვიშაქვა (რიგების სიმაღლე 35 სმ) და ორსაფეხურიანი სტილობატი. ამავე ხანისაა აყვავებული ჯვრის რელიეფი სამხრეთის კარის ტიმპანზე. მეორე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ყვითელი და მოშავო ტუფის წყობა, რომელთა ჰორიზონტალურობა აგრეთვე დაცულია (გადარჩენილია წყობის 2—3 რიგი). ამავე ხანისაა სარკმლები და მათი წარბები.

მესამე პერიოდს მიეკუთვნება მოშავო და მწვანე ტუფის შედარებით წვრილი ქვის წყობა. ამ პერიოდში მომხდარა ეკლესიის გადაკეთება.

ეკლესიის ამ სამ სამშენებლო ფენას მიეკუთვნება ზემოთ აღწერილი სამი განსხვავებული ტიპის კრამიტი, რომლებიც მოგვცა № 1 თხრილმა. ეკლესიის მშენებლობაც და ორი პირველი რესტავრაციაც ადრეფეოდალურ ხანაში უნდა მომხდარიყო.

მესამე და უკანასკნელი რესტავრაცია (ეკლესიის IV სამშენებლო ფენა) გვიანი ხანისაა, არა უადრეს XVIII საუკუნისა. ამ დროს აგურით შეუკეთებიათ იგი, დაუგიათ იატაკი და აგურითვე გადაუხურავთ.

4. ვ ა ნ თ ა ა ნ უ ვ ა ნ თ ე ბ ი. დავზვერეთ 1972 წლის 2 აგვისტოს. მიგვითითა ნიჩბისის მცხოვრებმა გ. პაპიაშვილმა. ნიჩბურას ხეობაში, ხევის მარცხენა მაღალ ნაპირას საჭიქის ანუ საჩიკის კლდის პირდაპირ, ზემო ნიჩბისიდან სამიოდე კმ-ის მანძილზე სამხრეთით, ხეობის აყოლებით ეკლესიის ნანგრევებია. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით და დგას ერთსაფეხურიან სტილობატზე. იგი ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკაა, სიგრძე — 10,80, სიგანე — 11,60 მ, ცენტრალური და ორივე გვერდითი ნავები ნახევარწრიული აფსიდებით ბოლოვდება. ცენტრალური ნავის ჩრდილო კედელზე შერჩენილია ორი პილასტრი. ნავები ერთმანეთს ორ-ორი კარით უკავშირდებოდა.

ეკლესია გადახურული ყოფილა გვერდებაკეცილი კრამიტით. აკეცილი გვერდების სიმაღლე 5,3 (შიგნით — 5,5) სმ; კეცის სისქე — 1,80 სმ.

ეკლესიის აღმოსავლეთით ათიოდე მ-ის მანძილზე გაშიშვლებულია ოთხ-ოთხი ფილაქვით შედგენილი 2 ქვაყუთი, ზომით 1,70 × 1,00 მ და 2,0 × 1,0 მ. ეკლესიის გარშემო ნასოფლარია და მთელი ფერდობი თვით ხევამდე დატერასებულია. ეკლესიის აღმოსავლეთით, ხევისკენ 15—20 მ სიგრძე-სიგანის, ქვით მკვიდრად ნაგები სასახლის ნანგრევებია. სასახლეც გვერდებაკეცილი კრამიტით ყოფილა გადახურული. ეკლესიის ჩრდილოეთით, დაახლოებით 100 მ მანძილზე უზარმაზარი ქვებით ნაგები რაღაც დიდი შენობის (ციხე? სასახლე?) ნაშთებია.

ეკლესიისა და ნასოფლარის (ციხითა და სასახლით) ადრეფეოდალური ასაკი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

5. ა რ ა დ ე თ ი ს ო რ გ ო რ ა. მდებარეობს ქარელის რაიონში, სოფელ დოღლაურთან, მდ. ფცისწყლის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირას. ორი გორიდან დასავლეთის გორა უფრო მაღალია და ციცაბოფერდობიანი, აღმოსავლეთისა კი — დაბალი, დამრეცი, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით დაქანებული ზედაპირით. ზედაპირის ფართობით დასავლეთის გორა (60 × 40 მ) აღმოსავლეთისაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

არადეთის ორგორა ცნობილი ძეგლია და არაერთხელ გამხდარა დაზვერვის ობიექტი (ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიცია და სხვ).

1926 წელს დასავლეთის გორაზე თუ მის მახლობლად არადელ ლ. ტიტვინიძეს ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის ნივთები უპოვია. ნივთები ამჟამად ინახება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

დაზვერვებმა ცხადჰყო, რომ გორა ანტიკური ხანის ნამოსახლარია. მის ზედაპირზე მრავლად ყრია კერამიკისა და დამწვარი შელესილობის ნატეხები.

ჩამოვწმინდეთ სამხრეთის ფერდობზე კულტურული ფენა. გაიწმინდა ნახანძრალი თიხატკეპნილი იატაკი, რომელზეც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ცეცხლში დეფორმირებული და შემლღვარი კერამიკა, აგრეთვე, ბრინჯაოს ნაღვენთები. კერამიკა ისევე, როგორც ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული კოლექცია ორგორადან, წელთაღრიცხვათა მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს.

აღმოსავლეთის გორაზე დაგვხვდა წყალსაცავისათვის ამოღებული წრიული ორმო და ორი ღრმა ტრანშეა, რომელიც გარდიგარდმო სჭრიდა გორას, ორმოსა და ტრანშეების ჭრილში კარგად ჩანდა კულტურული ფენები. სულ სამი სტრატიგრაფიული ფენის დადგენა მოხერხდა. სამივე ფენამ მოგვცა გვიანი ბრინჯაოსი და ადრე რკინის ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა, კაჟის ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავები.

ერთ ადგილას მოხერხდა თიხატკეპნილი იატაკის გაწმენდა, რომელზეც იყო ნავისებური ხელსაფქვავის ქვა, დაფარული დანახშირებული მარცვლეულით.

ორგორას მისადგომებთან საკურდღლის მშენებლობის დროს 30 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩენილა სამარხი. გადმოგვცეს აქ აღმოჩენილი მინიატურული კოჭობის ნახევარი.

6. *ადგილი „მოზვლეულები“.* ასე უწოდებენ ადგილს მდ. ფცის წყალზე არსებული სამანქანო ხიდის ჩრდილოეთით. მოზვლეულების დამეწყრილი ფერდობები შვეულად ეშვება ფცის ხეობისაკენ, ზედაპირი სწორია, მცირე დაქანებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

1972 წლის გაზაფხულზე აქ ღრმა ხვნის შედეგად დაზიანდა ანტიკური ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი. ხნულში რამდენიმე ჰა ფართობზე ყრია კერამიკისა და ძვლების ნატეხები, აგრეთვე სერდოლიკის მძივები და ბრინჯაოს ნივთები. ავკრიფეთ კერამიკა და რამდენიმე ადგილას ხნული ამოვწმინდეთ გრუნტამდე.

საყურადღებოა, რომ ელინისტური ხანის აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ქვევრების გვერდით კოლხური, ე. წ. დაბლაგომური ქვევრებიც გვხვდება.

გავწმინდეთ ელინისტური ხანის სამარხების ოთხი ნაშთი.

*სამარხის ნაშთი* № 1 შეიცავდა წითელი თიხის ბრტყელძირა კოჭობს, მაღალყურიან მინიატურულ ხელადას, პირმოყრილ ქუსლიან ჯამს და დიდი ზომის თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხებს.

*სამარხის ნაშთი* № 2 შეიცავდა შავპრიალა პირმოყრილ ქუსლიან ჯამს, მინის ორმაგ მძივს, მინის ინკრუსტირებულ სარტყლიან მძივს, სერდოლიკის მძივებს და რკინის ღერაკს. ჩანდა ადამიანის ფალანგებისა და ლულოვანი ძვლების ნატეხები, აგრეთვე ნახშირი.

თხრილი დავიყვანეთ გრუნტამდე. დამატებით აქვე აღმოჩნდა წითელი თიხის დოქი, მეორე ასეთი დოქისა და შავპრიალა კოჭობის ნატეხები, იქვე გაიწმინდა ბავშვისა და მოზრდილის ჩონჩხები თავებით ჩრდილოეთისაკენ, პირით აღმოსავლეთისაკენ.

*სამარხის ნაშთი* № 3 შეიცავდა მხოლოდ ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურის სამ ფრაგმენტს.

*სამარხის ნაშთი* № 4 ორიენტირებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. თავის ქალის ნატეხები აღმოსავლეთ ნაწილში იყო. მისგან 0,80 მ დაშორებით, დასავლეთით იდო ორი წითელი და ერთი შავპრიალა ქუსლიანი ჯამი და შავად გამომწვარი თიხის ნახევარსფერული ფიალა.

გავავლეთ კიდევ ერთი თხრილი მოზვლეულების აღმოსავლეთ ნაწილში, უძრავ მიწაში. ნახნავის ქვეშ აღმოჩნდა კრიალა ვარდისფერზედა პირიანი ქვევრის ბრტყელი ძირი, რომელზედაც იდო ამ ქვევრის ქვის სარქველი. გვერდით გაიწმინდა რელიეფურზოლებიანი კოლხური ქვევრი. მის ძირთან პირმოყრილი უქუსლო წითელი თიხის ჯამის ნატეხები აღმოჩნდა.

ამრიგად, ადგილ მოზვლეულებზე მიკვლეულია ვრცელი სამაროვანი და ნამოსახლარი ელინისტური ხანისა, რომლის შესწავლა მეტად საშური საქმეა, რადგანაც აქ გეგმით უნდა ჩაიყაროს ხეხილის ბაღი.

7. *დედოფლის მინდორი.* 1972 წელს ექსპედიციის დაზვერვითი

სამუშაოების უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენდა დედოფლის მინდორი. დედოფლის მინდორი ვრცელი, რამდენიმე ასეული ჰა ფართობის სამკუთხა მოყვანილობის ვაკეა, მოქცეული დვანისა და ფცის ფრონეებს შორის. ჩრდილოეთიდან მინდორს საზღვრავს სერი, რომლის აღმოსავლეთ ბოლოში დვანის ფრონის მარჯვენა ნაპირას დგას წვერის კოშკიანი ეკლესია. ამ სერს სისხლის ჯვარს უწოდებენ; ბატონიშვილი ვახუშტი ცეცხლის ჯვრად მოიხსენიებს. მინდორი დაქანებულია სამხრეთის მიმართულებით და მის სამხრეთ წვეროში, ფცისა და დვანის წყლების შესართავთან აღმართულია ზემოთ მოხსენიებული ორგორა. ადგილი „მოზვლეულებიც“ დედოფლის მინდორზეა, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

დედოფლის მინდორს სამხრეთ ნაწილში ჰკვეთს ქართლ-იმერეთის სამანქანო გზატკეცილი. მინდვრის აღმოსავლეთ განაპირას, დვანის ფრონის პირას განლაგებულია სოფლები არადეთი და წვერი, სამხრეთ ბოლოში კი დოღლაური. დოღლაური სულ ახალი სოფელია. სახლობენ ოსები. წვერი კი სამი თაობის წინ ჩამოსულა ძირს სერიდან, სადაც ძველ ეკლესიასთან ახლაც ჩანს ნასოფლარი. არადეთში დგას გვიანი შუასაუკუნეების ციხე და ეკლესია მარიამ დედოფლის წარწერით, სოფლის ჩრდილო განაპირას კი — VIII—IX საუკუნის ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა. ამ ეკლესიასთან აღმოჩნდა სტელის ბაზა ადრეული წარწერით, რომელშიც არადელი მამასახლისებია მოხსენიებული. წარწერას აკად. ა. შანიძე XI ს-ით ათარიღებს (იხ. მიმომხილველი, ტ. I, 1926, გვ. 220—243). დედოფლის მინდვრის დასავლეთით სოფლები ქვენატკოცა, ფცა და თამარაშენია, ჩრდილოეთით კი — ღოღეთი და დირბი.

დედოფლის მინდვრის მიწები ეკუთვნოდა ძირითადად წვერს და არადეთს. მინდორი ურწყავი იყო, იხვნებოდა და ითესებოდა პური და ქერი (მინდორი მოირწყა მხოლოდ ტაშისკარის არხის გაყვანის შემდეგ. ამჟამად ითესება სიმინდი, შაქრის ჭარხალი, გაშენდა ხეხილის ბაღები და ვენახი).

მინდვრის ჩრდილო ნაწილში, შუაგულ მინდორში ორი წყარო გამოდის: აღმოსავლეთით დამპალა და დასავლეთით — დედოფლის წყარო. მათ შორის დაახლოებით 1 კმ მანძილია. დამპალას წყაროს დასავლეთით 500 მ მანძილზე, ღოღეთს მიმავალი საურმე გზის პირას სარკის წმ. გიორგის ნიში დგას (ტაბ. $XIV_1$). ამავე გზის პირას, დედოფლის მინდვრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სერზე დგას მეორე ნიში — ატოცის წმ. გიორგისა.

სარკის წმ. გიორგის ნიში დედოფლის მინდვრის თითქმის გეომეტრიულ ცენტრში დგას ოდნავ შესამჩნევ შემაღლებაზე. ნიში ქვისაა, ვეშაპთან მებრძოლი მხედარი წმ. გიორგის რელიეფით და მხედრული წარწერით.

ნიშის გარშემო ტერიტორია, ფართობით დაახლოებით 25 ჰა, ხატის მიწად ითვლებოდა და „დასარყული“ იყო, ე. ი. არ იხვნოდა კოლმეურნეობის დაარსებამდე (მცირე ტერიტორია უშუალოდ ნიშის გარშემო არც ამჟამად იხვნება). ამ მიწებს ხმარობდნენ მხოლოდ საძოვრად და ისიც საქონელს შიგ მარტო ამაღლების დღესასწაულის შემდეგ უშვებდნენ.

მეტად საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. დედოფლის მინდორზე ხვნა ორშაბათობით აკრძალული იყო. კიდევ მეტი: დედოფლის მინდვრის გარშემო მდებარე სოფლებში — ქვენატკოცაში, არადეთში, წვერში, საღოლაშენში — ხარებს გუთანში არ შეაბამდნენ ორშაბათობით (კვირა — უქმე დღეებში ხვნას ეკლესიაც კრძალავდა).

დედოფლის მინდორთან და კერძოდ სარკის წმ. გიორგის ნიშთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული, რომლებიც ცდილობენ ახსნან ზემოთ აღნიშნული აკრძალვა-შეზღუდვები.

გადმოცემის თანახმად წმ. გიორგის ხატი, რომელიც სარკეშია (თრიალეთის ქედზე, ქრელის სამხრეთით) დასვენებული, აღმოჩენილა დედოფლის მინდორზე ხვნის დროს და სასწაულებრივად მიბრძანებულა სარკეში. ამ თქმულებაში გაუხედნავი მოზვრები და გუთნის ღირღიტა ფიგურირებს (ტაბ. $XIV_3$).

რამდენადაც ქართული წარმართული კალენდარით ორშაბათი მთვარის დღედ ითვლებოდა, ხოლო დედოფლის მინდვრის ბოლოში შემთხვევით აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში სხვა საკულტო ნივთებს შორის მთვარის ღვთაებისა და ხარის ოქროს ქანდაკებებიც არის, თავისთავად იბადება აზრი აქ წარმართული მთვარის სალოცავის არსებობის შესახებ. წმ. გიორგიც ხომ მთვარის ღვთაების მემკვიდრეა.

ზემონათქვამმა განაპირობა ჩვენი გასვლა დედოფლის მინდორზე. არქეოლოგიური დაზვერვები აქაც მეტად საშური, თუ უკვე დაგვიანებულიც კი არ იყო, რადგანაც ტაშისკარის არხის გაყვანის შემდეგ დედოფლის მინდორს ინტენსიურად ითვისებენ. ახლო მომავალში მთელი მინდორი ხეხილის ბაღად იქცევა. ბაღის გაშენების წინ კი ითხრება სარწყავი არხები და მინდვრის პლანტაჟი (ღრმა ხვნა) ხორციელდება, რაც არქეოლოგიურ ძეგლებს დაღუპვას უქადის. ყველა მონაცემებით კი დედოფლის მინდორზე მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენა იყო მოსალოდნელი.

დაზვერვებმა მთლიანად გაამართლა მოლოდინი. დედოფლის მინდვრის დაზვერვები ვაწარმოეთ 1972 წლის 18 აგვისტოს, სექტემბერში კი აქ თხრილები გავავლეთ. დაზვერვებს, სამწუხაროდ, ხელს უშლიდა სიმინდის ყანა.

ყურადღება თავიდანვე, ბუნებრივია, გავამახვილეთ სარკის წმ. გიორგის ნიშის მიდამოებზე, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ადრე იხვნებოდა. თვით ნიში, როგორც აღვნიშნეთ, დგას 30—40 მ დიამეტრის მქონე ოდნავ შესამჩნევ შემაღლებაზე, რომელიც სულ 1—1,5 მეტრითაა მაღალი გარშემო მინდორზე. შემაღლებაზე აიკრიფა ანტიკური კრამიტისა და დამწვარი ალიზის ნატეხები.

ნიშის ჩრდილოეთით 60 მ-ის მანძილზე დაახლოებით 25 × 25 მ ფართობზე, ხნულში კრამიტის უამრავი ნატეხი იყო მიმობნეული. აქვე აღმოჩნდა თეთრი ქვიშაქვის ზარისებრი ფორმის კაპიტელის რამდენიმე, მათ შორის ორნამენტირებული ფრაგმენტი.

ასეთივე კაპიტელების ფრაგმენტები და კრამიტის ნატეხები აღმოჩნდა კიდევ სამ პუნქტში — ნიშის დასავლეთით 90 მ-ის მანძილზე, ჩრდილო-დასავლეთით 100 მ-ის მანძილზე და აღმოსავლეთით 300 მ-ის მანძილზე (ამ უკანასკნელ პუნქტში კაპიტელის ფრაგმენტი იპოვა ბ. სამნიაშვილმა 13 სექტემბერს და ჩვენ გადმოგვცა). იქვე გდია დიდი ზომის ბაზალტის ფილა — ქვაყუთის სარქველი. ნიშის დასავლეთით 200 მ-ზე ადრეფეოდალური ხანის ნასოფლარია.

ლოტოსის პალმეტებითა და ვარდულებით შემკული კაპიტელის ფრაგმენტი ხვნის დროს უპოვიათ 1971 წელს და მოსწავლეებს მიუტანიათ სალოლაშნის რვაწლიანი სკოლის ისტორიის კაბინეტში. ფრაგმენტი სკოლის დირექტორმა ექსპედიციას გადმოსცა.

დედოფლის მინდორზე სულ ორი თხრილი გავავლეთ:

ა). პ ი რ ვ ე ლ ი თ ხ რ ი ლ ი. თხრილისათვის მოვზომეთ 16 × 6 მ ფართობი, ორიენტირებული ქვეყნის მხარეების მიმართ, ნიშიდან ჩრდილოეთით 60 მ მანძილზე, კრამიტების ყრილის შუაგულში.

გათხრების დაწყებამდე ავჭერით სიმინდი და ხნულიდან ამოვკრიფეთ კრამიტის ნატეხები. ცხადია, სათანადო ფოტოფიქსაციის შემდეგ. ნათხარი მიწა გაგვქონდა ურიკებით.

ზედაპირიდან 50 სმ სიღრმემდე მიწა ნაბრუნებია, შავი, ჰუმუსიანი. დიდი რაოდენობით ურევია კრამიტის ნატეხები. ნაბრუნები მიწის აღების შემდეგ გამოჩნდა დამწვარი მიწის ფენა, რომელზეც დაყრილია კრამიტი.

თხრილის ჩრდილო ნაწილში გამოჩნდა რიყის ქვის ცალპირა წყობა — ისეთი როგორც, ჩვეულებრივ, ქვეშ უგია ხოლმე ალიზის კედლებს. წყობის სიგანეა 90 სმ.

გამოიკვეთა მოგრძო ოთხკუთხა სათავსო, კარით სამხრეთით, გრძელი კედლის შუაში. სათავსოს მოკლე — აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები სამხრეთით გრძელდება ანტებისებურად და კარის წინა დერეფანს ქმნის, ასე რომ შენობას მეგარონის სახე აქვს.

სათავსოს შიდა ზომებია 6,5 × 2,5 მ; კარის სიგანე 1,40 მ, ანტების სიგრძე (დერეფნის სიგანე) — 2 მ. მთელი ფართობი, როგორც სათავსოს შიგნით ისე გარეთ, დაფარული იყო კრამიტის ყრილით. კრამიტი არ ჩანდა მხოლოდ კედლების თავზე. კრამიტები — ბრტყელი და ღარისებრი დიდ-დიდ ნატეხებად იყო წარმოდგენილი, ე. ი. სახურავის ჩაქცევის შემდეგ გადაადგილება არ განუცდიათ. სამწუხაროდ, მთელი არცერთი კრამიტი არ შეგვხვედრია. ბრტყელი კრამიტების სიგრძე უთუოდ აღემატებოდა 50 სმ; სიგანე ზედა ნაწილში — 48 სმ; სიმაღლე აკეცილ გვერდებიანად — 6—7 სმ; კეცის სისქე — 1,5 სმ. ღარისებრი კრამიტებიც შესაბამისი ზომისაა, მათი სიმაღლე 9—10 სმ-ია, სიგანე — 17—18 სმ; შვერილის სიმაღლე 3—5 სმ; კეცის სისქე — 1,2—1,8 სმ; უდიდესი შეხვედრილი ნატეხის სიგრძე — 31,5 სმ.

კალიპტერების შვერილები სხვადასხვა ფორმისაა, არის თითისებრი, ზევით გაფართოებული, კვადრატული და ნახევარწრიული განივკვეთისა. ნიშნებად მხოლოდ ღრმულებია დასმული შვერილების წინ ან უკან (კალიპტერებზე) და აკეცილი გვერდის შვერილზე (ბრტყელ კრამიტებზე). საყურადღებოა, რომ ნიშის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ კრამიტების ყრილში მხოლოდ დაჭდეული ჯვრით დანიშნული კრამიტები შეგვხვდა. პირველ თხრილში არცერთი ჯვრიანი კრამიტი არ ყოფილა, იქ კი პირიქით, არც ერთი ღრმულიანი.

„მეგარონს" აღმოაჩნდა თიხატკეპნილი იატაკი, რომელზედაც ერთი ჩაშლილი სამზარეულო მურა თიხის ქურჭელი აღმოჩნდა.

მეგარონის დასავლეთი ანტის გაგრძელებაზე, მისი ბოლოდან 1,5 მ მანძილზე, იმავე დონეზე აღმოჩნდა თეთრი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვის კაპიტელი. კაპიტელი იდო ფართო (ზედა) მხარით ძირს, დამწვარ-დანახშირებულ ძელზე. ძელთან რკინის ოთხწახნაგა ლურსმნები და მათი ნახეტები აღმოჩნდა. ასეთივე ლურსმნები გვხვდებოდა მეგარონის გათხრის დროსაც. მთელი ლურსმნის სიგრძეა 28,5 სმ; განივკვეთი ზედა ნაწილში 1,8 × 1,0 სმ. ლურსმნების თავები ოდნავ დაბრტყელებული და გაფართოებულია.

კაპიტელი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. იგი ზარისებრი ფორმისაა, ნახევარწრიული განივკვეთის ექინითა და წრიული აბაკით. კაპიტელის ტანი

დაფარულია რელიეფური ღილვებით შედგენილი ენებით, რომელთა კუთხოვანი წვეროები აბაკას ებჯინება. აბაკა ორნამენტირებულია: ორმაგი ღილვების წნულში ჩასმულია ექვსფურცლიანი ვარდულები (ტაბ. XIV$_2$).

აქვე აღვნიშნავთ, რომ დედოფლის მინდორზე აღმოჩნდა კიდევ სულ ცოტა სამი ანალოგიური კაპიტელის ფრაგმენტები. ყველა ამ კაპიტელის ტანი ერთნაირადაა შემკული—ლოტოსის ყვავილის ფურცლებით, ზომებიც ერთნაირია. განსხვავება მხოლოდ აბაკის ორნამენტაციაშია. ერთ კაპიტელს ისეთივე წნული და ვარდული აქვს აბაკაზე, როგორც ზემოაღწერილს, ოღონდ კვეთა თითქოს უფრო მშრალია, ხელოსნური. ორი დანარჩენი კაპიტელის აბაკები კი შემკულია ნახევარწრიული ღეროებით ერთმანეთთან დაკავშირებული სამფოთოლა პალმეტების რიგით. პალმეტებს შორის სივრცე ექვსფურცლიანი ვარდულებითაა შევსებული.

კაპიტელის ფრაგმენტების ალაგების შემდეგ მის ქვეშ თხრილი დავაღრმავეთ გრუნტამდე. მიწა სრულიად სტერილური გამოდგა.

ბ) თ ხ რ ი ლ ი № 2. მეორე თხრილი გავავლეთ ნიშის ბორცვის თხემსა და აღმოსავლეთ ფერდობზე. თხრილმა საბოლოოდ კუთხეებით შერწყმული ორი მარკუთხედის ფორმა მიიღო. თხრილის მთელი ფართობი 90 მ$^2$ უდრის.

პირველივე ბარის პირზე ამოვიღა დამწვარი ალიზი. აღმოჩნდა რკინის მასიური ოთხწახნაგა ლურსმანი, ალიზში ჩარჭობილი.

ზედაპირიდან 0,90 მ-ის სიღრმეზე დავაფიქსირეთ დამწვარი ალიზის უძრავი წყობა. პრეპარაციით გამოიკვეთა სათავსოს შიდა კუთხე. ერთდროულად ვწმენდდით ალიზის კედლის ზედაპირსაც და ვღრმავდებოდით სათავსოშიც. კედლის პირიდან 1,7 მ სიღრმეზე აღმოჩნდა სათავსოს იატაკი. გაიწმინდა სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, ფართობით დაახლოებით 7 მ $\times$ 4 მ $=$ 28 მ$^2$. სათავსოს კედლებიცა და იატაკიც მოლესილია ალიზის 2—3 სმ სისქის ხსნარით. ბათქაში გამომწვარია და მკვრივი, განსაკუთრებით იატაკზე, რომელიც თითქმის არსად არ არის დაზიანებული.

სათავსოს გათხრილი ნაწილი სრულიად ცარიელი აღმოჩნდა. იგი ამოვსებული იყო მიწით, ალიზისა და ბათქაშის ნატეხებით. იატაკზე უშუალოდ იდო დანახშირებული ფენა — ძელები, ბათქაში. აქვე აღმოჩნდა რამდენიმე ლურსმანი.

ოთახის მთელი ფართობის დადგენა არ მოხერხდა. როგორც ჩრდილო, ისე აღმოსავლეთ კედელს გავყევით ზედაპირულად 10—10 მ-ის მანძილზე და კუთხეებს მაინც ვერ მივაღწიეთ.

თიხის ჭურჭლის არცერთი ნატეხი არ აღმოჩენილა № 2 თხრილში. ზედა, ნაბრუნებ ფენაში აღმოჩნდა 1821, 1842, 1937 და 1941 წლების ლითონის ფულები — აშკარად ნიშთან მიტანილი შეწირულება.

სათავსოს გამოვლენილი ნაწილის ფიქსაციის შემდეგ თხრილი მიწით ამოვავსეთ, რომ შენობა დაზიანებისაგან გადაგვერჩინა.

ამგვარად, დაზვერვითი გათხრების შედეგად დადგინდა, რომ დედოფლის მინდვრის შუაგულში ანტიკური ხანის მძლავრი დასახლებაა, რომელსაც რამდენიმე ჰექტარი ფართობი უკავია. სამოსახლოს ხასიათის დაზუსტება მხოლოდ გათხრებით შეიძლება. რაც შეეხება ქრონოლოგიას, ამის შესახებ უკვე ახლა შეიძლება გარკვეული მოსაზრების გამოთქმა, თუმცა, როგორც დავინახეთ, არქეოლოგიური მასალით თხრილები არც თუ ისე მდიდა-

რი იყო. კრამიტი ტიპით სამადლოურსა ჰგავს, თუმცა მათზე უფრო მომცრო ზომისაა. კალიპტერებიც არ არის ჩარხზე ნაკეთები. ეს ორი გარემოება გვავარაუდებინებს მივაკუთვნოთ კრამიტები წელთაღრიცხვათა მიჯნას ან ჩვენს წელთაღრიცხამდე II—I სს.

კაპიტელების სტილისტური ანალიზიც თითქოს ამავე ხანაზე მიუთითებს, თუმცა ზუსტი ანალოგია კაპიტელს ჯერჯერობით ვერ მოეძებნა. კაპიტელის ტანის შემამკობელ მოტივს პერსეპოლისისა და სუზის ზარისებრი ფორმის ბაზების ორნამენტაციაში ეძებნება ფესვები. ვარდულები და პალმეტებიც ხშირია აქემენიდური და მომდევნო ხანის ხუროთმოძღვრებასა და ტორევტიკაში, მაგრამ ორივე ამ მოტივის შერწყმას ვხვდებით სასანური სასახლეების შტუკის ორნამენტაციაშიც (ქიში, ფირუზაბადი და სხვ.). ამასთან სასანური, ისევე როგორც პართული ხელოვნებისათვის უცხოა კაპიტელის ეს ფორმა, რომელიც დედოფლის მინდორზე აღმოჩნდა.

ყველაფერი ეს — გენეტური კავშირი (ფორმით, ორნამენტაციით) აქემენიდურ ხელოვნებასთან, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, კავშირი სასანურ ხელოვნებასთან, სრული იდენტურობის არარსებობის პირობებში, გვაფიქრებინებს ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზე განვითარებულ ხელოვნებაზე, რომელმაც დიდხანს შემოინახა ძველი, აქემენიდური ხანის ტრადიციები, თუმცა თავისებურად გააზრებული და გადახარშული, და რომელიც პართიის ღრმად ელინიზებული ხელოვნების ფონზე უფრო მეტ საერთოს იჩენს საკუთრივ სპარსეთის აქემენიდური და სასანური ხანის ძეგლებთან, ვიდრე არშაკიდების სახელმწიფოს ცენტრების ხელოვნება.

დედოფლის მინდორზე გამოვლენილი ძეგლების დაუყოვნებლივ გათხრა სრულიად აუცილებლად მიგვაჩნია: ძეგლი გზაზე მდებარეობს, მიწები იხვნება და სისტემატურად ჩნდება არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც მოსახლეობის ცხოველ ინტერესს იწვევს; მთელი ეს ტერიტორია უახლოეს ორ-სამ წელიწადში ხეხილის ბაღებად იქცევა.

## სურათების აღწერილობა

სურ. 1. I. სამადლო I. განათხარის გეგმა და ჭრილი.
2. სამადლო II. განათხარის გეგმა და ჭრილი.
3. სამადლო III. განათხარის გეგმა და ჭრილი.
4. დედოფლის მინდორი. I უბანი. განათხარის გეგმა.


სამაღლო I
CO
CP
CR
1
DO
DP
DR
DS
N
EO
EP
ES
FO
FP
0 1 2 3 4 m
ჭრილი 1-1


სამაღლო II
ჭრილი 2-2
2
0 1 2 3 4


N
3
ჭრილი 3-3
0 1 2 3 4 5 m
სამაღლო III


1 0 1 2 3 4 5 6 mt.

მ. სინაურიძე

# 1972—1973 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები

1972—1973 წწ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია აგრძელებდა გათხრებს ბოლნისის რაიონში მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ტერიტორიაზე.

ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ხელმძღვანელი ისტ. მეცნიერებათა კანდიდატი მ. სინაურიძე, მოადგილე, მეცნ. კანდიდატი თ. ბერიძე, მეცნ. თანამშრომლები მ. მიქაძე, ō. აფხაზავა, ი. მდივანი — ფოტოგრაფი, ნ. ველიაშვილი — მხატვარი.

სისტემატური გათხრები წარმოებდა ძირითადად ორ ობიექტზე: სოფ. ბალიჭის სამაროვანსა და სამტრედოს ნასახლარზე. ამას გარდა, ექსპედიციას გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე მადნეულის კარიერისა და კაზრეთის ახალმშენებლობათა მეთვალყურეობა.

როგორც ცნობილია, ს. ბალიჭში 1971 წ. შემოდგომაზე წყალსადენის გაყვანის დროს შემთხვევით აღმოჩნდა ქვის სარკოფაგი¹ ქართული ასომთავრული წარწერით **ႢႤႱႤႱ ႱႳႪႵႤႫႭႨႾႱႤႬႤ**

ჲესეს სული, ქრისტე მოიჴსენე.

ბალიჭის სარკოფაგმა და მისმა წარწერამ დიდი ინტერესი გამოიწვია. აკად. ა. შანიძემ სარკოფაგის წარწერას მიუძღვნა სპეციალური მოხსენება, რომელშიაც წაიკითხა წარწერის ტექსტი და მისი თარიღი მე-6—7 სს. განსაზღვრა². დაახლოებით ამავე დროით (მე-5—7 სს.) დაათარიღა სამარხი და მასში აღმოჩენილი ნივთები ვ. ჯაფარიძემ³.

ბალიჭის სარკოფაგის აღმოჩენისთანავე ჩვენ შეგვექმნა შთაბეჭდილება,

---

1 სარკოფაგის გათხრები და სამარხის პრეპარაცია აწარმოა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტ-ის მეცნ. თანამშრომელმა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ვ. ჯაფარიძემ.

2 ა. შ ა ნ ი ძ ე, ბალიჭური სარკოფაგის წარწერა, „მაცნე", 2, 1972. ბალიჭის სარკოფაგის შესახებ გამოქვეყნდა აგრეთვე თ. ბარნაველის წერილი; თ. ბარნაველი წარწერის ასეთ წაკითხვას იძლევა; ძსე სახლისუფალი ქრისტე მოიხსენე. იხ. მ ი ს ი, ბალიჭური ქვის სამარხის წარწერის წაკითხვისათვის, „მაცნე", 2, 1972. ჩვენ ამ წაკითხვას არ ვიზიარებთ.

3 სარკოფაგის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე ვ. ჯაფარიძემ წაიკითხა მოხსენება, რომელიც შემდეგში გამოქვეყნდა. იხ. ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, სოფ. ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით, „მაცნე", 2, 1972.

რომ სამარხი არ წარმოადგენდა ერთიან ძეგლს, არამედ შედგენილი იყო სხვადასხვა ნაწილისაგან: წითელი ტუფის ორფერდა სახურავისა და მომწვანო ქვიშაქვის ქვედა ნაწილისაგან.

ეჭვს იწვევდა აგრეთვე სარკოფაგის აღმოჩენის ვითარება. სარკოფაგი აღმოჩნდა სხვა სამარხების გვერდით მიწაში ჩაფლული, მაშინ როდესაც მისი წარწერა უეჭველად განკუთვნილი უნდა ყოფილიყო გამოსაჩენად, წასაკითხად. წარწერებითა და ორნამენტული სახეებით შემკული ასეთი სარკოფაგები ადრექრისტიანულ ხანაში, როგორც ცნობილია, ძლიერ გავრცელებული იყო და ჩვეულებრივ იდგა ხოლმე ეკლესიებსა და სამარტვილეებში[4].

ქრონოლოგიურად შეუსაბამოდ გვეჩვენებოდა აგრეთვე სარკოფაგში აღმოჩენილი ნივთები და სარკოფაგის წარწერა[5].

იმისათვის, რომ შეგვემოწმებინა ჩვენი ვარაუდი, რომ საბოლოოდ გამორკვეულიყო სარკოფაგის შემცველი ძეგლის თარიღი და ხასიათი, აუცილებელი იყო სარკოფაგის აღმოჩენის ადგილზე გათხრების დაწყება.

1972—1973 წწ. სარკოფაგის აღმოჩენის ადგილზე გავლებულ იქნა სადაზვერვო თხრილები 10 მ × 5 მ, 14 მ × 2 მ, 17 მ × 7 მ (მთელი ფართობის აღებას ხელს უშლიდა სოფლის მთავარი გზა). ზედაპირიდან დაახლოებით 0,30 მ თხრილებში გამოჩნდა ქვის სამარხები (ტაბ. $XV_1$). ისინი წარმოადგენდნენ უინვენტარო ქვაყუთებს (სიგრძე 1,2—2,4; სიგანე 0,5—1,2 მ). მიცვალებულები ესვენა გულაღმა, გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, პირით აღმოსავლეთისაკენ. ზოგი სამარხი (№ 6, 9, 10) აღმოჩნდა სამარხების ძირითადი დონის ქვეშ. მაგრამ ამ ორი დონის სამარხებს შორის არავითარი განსხვავება არ შეიმჩნეოდა.

სამარხები შეკრული იყო ქვის ბრტყელი ფილებისაგან. თავსა და ბოლოში ჰქონდა თითო, სიგრძივ კედლებად ორი, სამი და მეტი ფილა. სამარხების უმრავლესობაში ჩაშენებული იყო სადა და ორნამენტირებული ქვების ნატეხები, რომლებიც ადრექრისტიანული ხანის (მე-5—7 სს.) სტელების კონტურებზე შემოჭრილი ჯვრების და სხვა ნაწილებს წარმოადგენდნენ (სურ. $1_{1-4}$), მთელ ფართობზე აღმოჩნდა 20-მდე სამარხი. სამარხთა რამდენიმე ჯგუფი ნაწყობი ქვის კედლებით იყო შემოზღუდული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამაროვნის ეს ცალკეული უბნები გამოყოფილი იყო საოჯახო თუ საგვარეულო სამარხებისათვის. სამაროვნის სამხრეთ დასავლეთით და დასავლეთით აღმოჩნდა მასიური კედლების ნაშთები კრამიტის ნატეხების დიდი რაოდენობითა და რელიეფური ქვებით კულტურულ ფენაში. სოფლელთა გადმოცემით, ეს ადგილი ადრე საგრძნობლად შემაღლებული და ქვიანი იყო და მხოლოდ გზის გაყვანის დროს მოასწორეს იგი ბულდოზერით. შესაძლოა, ძველად აქ ეკლესია იდგა.

რაც შეეხება ამ სამაროვნისა და ნაგებობათა ნაშთების დათარიღებას, კულტურულ ფენაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადრეფეოდალური ხანის იერს ატარებს. ამავე დროს აქაური კერამიკა და სხვა მასალა საგრძნობლად განსხვავდება V—VI სს. მასალებისაგან, მაგ., კერამიკისა და მინისაგან, რომელიც კარგად არის ცნობილი ურბნისის, სამთავროს და სხვა ძეგლების

[4] იხ. მაგ. წმ. აკილბერტას სარკოფაგი ჟუარიდან 665 წ. R. Ghirshman, Iran. Parthe et Sasanides, Paris, 1962, სურ. 383, IX ს. ასეთი სარკოფაგი დაუდგამთ კიევის რუსეთში.

[5] ეს მოსაზრებები ჩვენ გამოვთქვით ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე ვ. ჯაფარიძის ზემოთ აღნიშნულ მოხსენებასთან დაკავშირებით.

მიხედვით. ამას გარდა, სამაროვნისა და მის თანადროულ ნაგებობათა კულტურულ ფენაში მოჭიქული კერამიკის არარსებობა მიგვითითებს იმაზე, რომ იგი X—XI სს. არაუგვიანეს ხანას ეკუთვნის. თუ გავიხსენებთ, რომ სამარხებში ჩაშენებული რელიეფური ქვები VI—VII სს. თარიღდება და მაშასადამე, ისინი შეიძლება აქ მოხვედრილიყო მხოლოდ VI—VII სს. დათარიღებულ პირვანდელი ძეგლის განადგურების შემდეგ, მაშინ ადვილად დავრწმუნდებით, რომ სამაროვანი თარიღდება არაუადრეს VI—VII სს. და არაუგვიანეს X—XI სს.

უეჭველია, რომ სარკოფაგი, რომელიც სამაროვანზე აღმოჩნდა, აქ დაუფლავთ გვიან. ადრე ის იდგებოდა ეკლესიის ეკვდერში, ისე რომ მისი წარწერა თვალსაჩინო ყოფილიყო მლოცველთათვის. შემდეგში, როცა რაღაც მიზეზის გამო ეკლესია დაინგრა, და ეს პირვანდელი ძეგლი განადგურდა, სარკოფაგის სახურავი, რომელიც უვნებელი გადარჩა, ახალი სამაროვნის ჭირისუფლებმა ხელახლა გამოიყენეს. დაახურეს იგი თავის სამარხს და ამგვარად შედგენილი სამარხი სხვა იმავდროინდელ სამარხების გვერდით დაფლეს. სარკოფაგის ქვედა გატეხილი ნაწილი კი, ისევე როგორც ამავე ხანის სტელებისა და ჯვრების ნატეხები, ჩააყოლეს ქვისფილებით შეკრულ უბრალო სამარხთა კედლებში, როგორც სამშენებლო მასალა. საყურადღებოა, რომ ამ ნატეხებს შორის აღმოჩნდა ერთი წითელი ტუფის საკმაოდ მოზრდილი ნატეხი, რომელსაც გარედან საგანგებოდ გამოთლილი კუთხე, ხოლო შიგნიდან ამოღებული გული ჰქონდა. ფორმითა და მასალით ეს ნატეხი კარგად უდგება სარკოფაგის წარწერიან სახურავს, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ეკუთვნის სარკოფაგის ქვედა ნაწილს, რომელსაც თავდაპირველად ეხურა წარწერიანი სახურავი.

თუ მართლაც სარკოფაგის სახურავი და კუბო სხვადასხვა სამარხებს ეკუთვნოდა, სხვა თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ სარკოფაგის სამარხეული ინვენტარიც. მისთვის პარალელები აღარ უნდა ვეძებოთ სარკოფაგის სახურავის თანადროულ არქეოლოგიურ მასალაში. თუ სახურავი წარწერის მიხედვით VI—VII სს. თარიღდება, სამარხეული ინვენტარი უფრო გვიანდელი ხანისა უნდა იყოს. მაშასადამე, მისთვის ანალოგები უფრო გვიანდელ ხანაში უნდა მოიძებნოს.

როგორც ცნობილია, სარკოფაგის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა ზურგზე გაშოტილი, გულხელდაკრეფილი მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც თავით დასავლეთისაკენ, პირით აღმოსავლეთისაკენ ესვენა, თავის ქალა და ჩონჩხის ზემო ნაწილი კარგად იყო შენახული, სხვა ძვლები კი ნახევრად ჩაშლილი იყო[6].

მიცვალებულს მარჯვენა ხელზე ეკეთა ცისფერი მინის თვლიანი ოქროს ბეჭედი, ხოლო გულმკერდის არეში ჰქონდა ოქროს საკინძისთავი ცისფერივე სამკუთხა თვლით შემკული (ტაბ. XV$_2$)[7]. ბეჭდის რკალი გრეხილურ ჩარჩოში

6 ვ. ჯაფარიძის აზრით, სარკოფაგში ორი ჩონჩხი იყო: ერთი, ზრდადასრულებული ადამიანისა და მეორე ბავშვისა; ბავშვის ჩონჩხი მიხვეტილი იყო მეორე მიცვალებულის ფეხებთან (ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 127).

ჩვენ ვესწრებოდით სამარხის გახსნას და ჩვენი შთაბეჭდილება სხვაგვარია. არავითარი ბავშვის ჩონჩხი ჩვენ აქ არ შეგვინიშნავს. ის რაც ვ. ჯაფარიძემ ბავშვის ჩონჩხის ძვლებად ჩათვალა, ჩვენი აზრით, იყო მხოლოდ სარკოფაგის ერთადერთი მიცვალებულის ქვედა კიდურები, რომლებიც მიწის სინოტივის გამო მთლად დაშლილი იყო.

7 საკინძი და ბეჭედი ამჟამად დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილების კაზრეთის ფონდში 42—972: 1,2 ნომრებით.

ჩასმულ წნულს წარმოადგენს. თვალბუდე მრგვალია, ცრუ გავარსშემოვლებული. ზურგი მას კონუსური აქვს. ამ კონუსს აქეთ-იქიდან მირჩილული აქვს ბეჭდის ღერო, იმგვარად თითქოს შიგ არის გაყრილი. საკინძი სამფრთიანია. ფრთები სამწახნაგაა. კიდეებზე გავარსშემოვლებული, შუაში მოხრილი და ბოლოებმომრგვალებული ისე, რომ საკინძი მბრუნავი ბორბლის თუ „ბორჯგალის“ ორნამენტს მოგვაგონებს. ფრთებს შუა ოქროს ღერაკებია გამოშვერილი, რომელზედაც მძივები უნდა ყოფილიყო ასხმული. ერთზე შერჩენილი ნაშთის მიხედვით მძივები თითქოს მარგალიტისა იყო. ღერაკების ბოლოები მოკეცილია მძივების დასამაგრებლად. ფრთებს შუა თვალია ჩასმული, რომელსაც ცრუ გავარსითვე შემოვლებული პაწია სამკუთხა თვალბუდე აქვს. საკინძს ღერო არა აქვს. ზურგზე შერჩენილი აქვს რკინის ღეროს ნაშთი ქსოვილიანურთ. თუ ბალიჭურ ნივთებს შევუდარებთ V—VII სს. სხვა ნივთებს ადვილად დავრწმუნდებით, რომ ტექნოლოგიურად ეს ნივთები სრულიად სხვადასხვაა, არც ამგვარი წნული, არც თვალბუდის მირჩილვის წესი ბეჭდის რკალზე, არც თვალბუდის ამგვარი ფორმა, არც მარგალიტის მძივების ღერაკებზე აცმისა და დამაგრების წესი, არ არის ჩვეულებრივი სამთავროსა თუ სხვა თანადროული ნივთებისათვის. ბალიჭური ნივთები არც XII—XIII სს. სამკაულს მოგვაგონებს. მაშასადამე, მათთვის ანალოგები საძებნელია X—XI სს. მასალებში.

სამწუხაროდ, ამ დროის ქართული ოქრომჭედლობა ჯერჯერობით საკმარისად არ არის შესწავლილი[8]. ზოგიერთი ანალოგები შეიძლება მოვიტანოთ XI—XII სს. რუსული ოქრომჭედლობიდან[9]. შორეული პარალელები შეიძლება მოიძებნოს აგრეთვე ქართული ხელოვნების სხვა დარგებში, მაგ. რელიეფურ ქანდაკებაში. მაგ., საკინძის თვალბუდე ძლიერ მოგვაგონებს წალკის შეპიაკის ეკლესიის ერთ-ერთ ტიმპანის ორნამენტის ცენტრალურ ნაწილს, აგრეთვე ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესიის სამხრეთ ტიმპანის გაფორმებას[10]. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ამ ტიმპანთა მოჩარჩოების მსხვილი წნული და მსხვილი მდიდრული ორნამენტი ძლიერ მოგვაგონებდა ჩვენი ნივთების შემკულობის ხასიათს.

1972—73 წწ. გათხრები მიმდინარეობდა სამტრედოს უბანზე. სამტრედოს ნასახლარი მდებარეობს კაზრეთიდან მადნეულის კარიერისაკენ მიმავალი გზის მარჯვნივ მდ. კაზრეთულას მარცხენა ნაპირზე, ისპიანის სამების ეკლესიის პირდაპირ.

1971 წ. სამტრედოში ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების ძირითადი მიზანი იყო იქ არსებული ძეგლების აღრიცხვა და გამოვლენა. სასახლის

---

8 საქ. მუზეუმის შუასაუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცულია ორი ჯვარი 7—60:1 და 2—972:1, რომლებსაც მკლავებს შორის აცმული მარგალიტები დაახლოებით ასევე აქვთ დამაგრებული.

ბეჭედი ფარაკის მოყვანილობით რამდენადმე ემსგავსება ივრის სამარხებში აღმოჩენილ ბეჭდებს, მაგ, საინვენ. № 352, 143 და სხვ. იხ. რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1970.

9 Б. Рыбаков, Художественные изделия XI—XIII вв., М., 1972, стр. 45.

10 Э. Такаишвили, Археологические экскурсии розыскания и заметки, вып. IV, т. I, 1914, стр. 19. ლ. რჩეულიშვილი, ატენის მცირე გუმბათიანი ტაძარი, ქართული ხელოვნება, 1, თბ., 1942, სურ. 8, 7.

კომპლექსის ზედაპირული გაწმენდის შედეგად ფიქსირებული იქნა რამდენიმე ნაგებობა: ორსართულიანი სასახლე დამხმარე სათავსოებით, რომელთაგან ერთ-ერთში ბუხარია მოწყობილი, მარანი, კარის ეკლესია და სხვ.

1972 წელს ჩვენ გადავწყვიტეთ გათხრები დაგვეწყო კარის ეკლესიიდან, რადგან აქ მოსალოდნელი იყო სამშენებლო წარწერის აღმოჩენა, რომელსაც იხსენიებს ექ. თაყაიშვილი[11].

ეკლესია წარმოადგენს ნაგლეჯი ქვით ნაშენ დარბაზულ ტიპის ერთნავიან ნაგებობას, რომლის ფართობია 6 მ × 1,5 მ. კედლები შერჩენილია 1,5—2 მ სიმაღლეზე, თაღი ჩამოქცეულია (სურ. 2). მისი ნათალი ქვები თავდაპირველი რიგის მიხედვით ხელუხლებლად აწყვია იატაკზე.

გაიწმინდა ეკლესიის შინაგანი სივრცე ნაყარი ქვებისა და მიწისაგან, რომელიც ზოგან 1,5 მ აღწევდა (აღმ. და დას. კედლებთან). დიდი რაოდენობით ამოდიოდა ნაშალი კედლის ქვებთან ერთად ბრტყელი და ღარიანი კრამიტები, ბრტყელი აგური (22 × 22 × 4 სმ), აგრეთვე კერამიკა და რკინის წიდა. თიხის ჭურჭელი უმთავრესად სამზარეულო და სამეურნეო კერამიკის სახით იყო წარმოდგენილი. მრავალი იყო ქვევრის ნატეხები, ქოთნები, დოქები და სხვ. ჭურჭელი, რომელიც ძირითადად გვიანფეოდალური ხანის მასალებში პოულობს პარალელებს.

ნაყარი მიწისა და ქვებისაგან ეკლესიის შიდა ფართობის გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა, რომ საკურთხეველი დანარჩენი ინტერიერიდან გამოყოფილია პილასტრებით, მას შემოუყვება აგურითა და ქვით ნაგები კარნიზი, საკურთხევლის ორივე მხარეს კედელში დატანილი იყო თითო ნიში. საკურთხეველში კედელთან ცენტრალური სარკმლის ქვეშ იდგა ქვის ოთხკუთხა ტრაპეზი, რომლის ზედაპირი 53 სმ × 47 სმ-ია, ხოლო სიმაღლე 0,9 მ უდრის. ტრაპეზი გამოთლილია მთლიანი ქვისაგან, არათანაბრად. ძირისაკენ იგი ვიწროვდება.

ეკლესიის დასავლეთ ნაწილში გაიწმინდა კარი და კიბის თითო საფეხური შიგნით და გარეთ ნაგები ნათალი ქვით.

ცენტრალურ ნაწილში 50 სმ სიღრმეზე ნაყარში აღმოჩნდა რკინის სახნისი, ჯილღა სახნისის ტიპისა. ამგვარი სახნისი ფართოდ გავრცელებული იყო გვიანფეოდალურ ხანაში ქვემო ქართლში.

ცენტრალურ ნაწილშივე მიწის აღების შემდეგ გამოჩნდა ჩამონაქცევი თაღის თლილი ქვები 7 ც. დალაგებული თაღის წყობის მიხედვით ერთ მწკრივად. დანარჩენი 6 ქვა მიმოფანტული იყო ნაყარში სხვადასხვა სიღრმეზე. აქვე აღმოჩნდა სამხ. კედლიდან ჩამოვარდნილი კაპიტელი.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ოთხკუთხა აგურით ნაგები ნიშა (65 × 65 სმ). შემორჩენილია აგურთა წყობის ორი ფენა. სავარაუდოა, რომ აქ გვიან გაუმართავთ ბუხარი.

ეკლესიის ფასადების გასწვრივ გავლებულ იქნა 1 მ სიგანის თხრილი. აქ ნაყარი მიწის აღების შემდეგ 30 სმ სიღრმეზე გამოვლინდა მთელ სიგანეზე უხეშად ნათალი ქვისაგან ნაშენი კარნიზი.

თხრილში მრავლად ჩნდებოდა გვიანფეოდალური ხანის აგური, კრამიტი და ჭურჭლის ნატეხები, მათ რიცხვში ლურჯი საღებავით მოხატული და

11 ექ. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერა, ნაწ. II, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 43, 1951, გვ. 168.

შავი კონტურული ხაზებით შემოვლებული ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც XVII ს. თარიღდება და ირანულ ნაწარმს მიეკუთვნება.

აღმოსავლეთი ფასადთან ნაყარ მიწაში 1 მ სიმაღლეზე აღმოჩნდა მინის ჭიქის ძირის და გვერდის ნაწილი. მინა იისფერია, ძლიერ ირიზებული. ჭიქის გვერდები შემკულია მრგვალად ამოღებული ფაცეტებით. ფორმის მიხედვით რამდენადმე მსგავსი ჭურჭელი გვხვდება ადრეფეოდალურ ხანაში. სამტრედოში აღმოჩენილი ჭურჭელი ამ დროისა არ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, იგი არც შუა ფეოდალური ხანით შეიძლება დათარიღდეს, თუმცა მასთან ერთად აღმოჩნდა XI—XIII სს. პოლიქრომული კერამიკა. საფიქრებელია, რომ ეს ჭურჭელი ისევე როგორც სამტრედოს არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი, გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნის.

აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებთან აღმოჩნდა თლილი ქვები გამოყენებული კარ-ფანჯრების მოსაპირკეთებლად, მათ შორის კარსარკმელების მოჩარჩოება. ერთ მათგანზე (დასავლეთის კარისაზე) ამოჭრილია ბოლოებში გაფართოებული ჯვრები.

ამრიგად, კარის ეკლესიის გათხრების დროს აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ დაადასტურა მისი გვიანფეოდალური ხანისადმი კუთვნილება. შუაფეოდალური ხანის მასალა, რომელიც მრავლად ჩნდება თხრისას, მიგვითითებს, რომ სამტრედო დასახლებული იყო უფრო ადრე, ვიდრე ზურაბაშვილები აქ სასახლეს აიშენებდნენ.

სამტრედოში 1972 წ. ჩვენ წამოვიწყეთ აგრეთვე სასახლის კომპლექსის „აგურით ნაგები შენობის“ გამოვლინება. ეს შენობა მდებარეობს სასახლის ჩრდილოეთით ამაღლებულ ადგილზე. იგი დაფარულია ხშირი მცენარეული საფარით. აქა-იქ შენობის კედლები შემორჩენილია 1—1,10 მ სიმაღლეზე, ზოგან კი მთლიანად ნაყარი ქვებით და მიწით არის დაფარული.

გავკაფეთ ხეები და ბუჩქები და გავასუფთავეთ ნაგებობის აღმოსავლეთი კედელი ნაყარი მიწისა და ქვებისაგან.

1973 წ. შევუდექით აგურის ნაგებობის გათხრას. გაიწმინდა დარბაზი (6,4 მ × 7,6 მ) პროფილირებული ნახევარწრიული ნიშებით, ფანჯრებითა და გასასვლელებით სხვა ოთახებში (ტაბ. XVI). ნიშები შელესილი ყოფილა კირით, კარ-ფანჯრების ღიადები მოპირკეთებული იყო აგურისა და ქვის თავისებური წესით შერწყმული წყობით. ნიშებისა და კარ-ფანჯრების მახლობლად მიგნებულ იქნა აგურით დაგებული და მოლესილი იატაკის ფრაგმენტები.

როგორც აღვნიშნეთ, დარბაზი უკავშირდება შენობის სხვა ოთახებს, საინტერესოა, რომ დარბაზის დასავლეთ მეორე ოთახთან საერთო კედელს, შიგნიდან აქვს ისეთივე ნიშა, როგორიც დარბაზს, საერთოდ, ეს ოთახი რამდენადაც აქა-იქ გამოჩენილი კედლების კონტურის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, იმეორებს ჩვენს მიერ შესწავლილ დარბაზის გეგმას და მოხაზულობას.

დარბაზის აღმოსავლეთ კედელს გარედან მიდგმული აქვს ქვით ნაგები ფართო და გრძელი „კორიდორი“. მასში გამართულია ბუხარი, კორიდორსა და დარბაზს შორის ყრუ კედელია და ამ კორიდორიდან დარბაზში მოსახვედრად საჭირო იყო დარბაზის ჩრდ-ით მდებარე სათავსოში მოხვედრა, რომელიც დარბაზს კარით უკავშირდებოდა.

ამრიგად, აგურით ნაგები შენობის მთელი კომპლექსიდან გათხრილია მხოლოდ ერთი დარბაზი, ფაქტიურად, ამ შენობის გათხრები მხოლოდ დაიწყო. ამიტომ შენობის გეგმისა და დანიშნულების შესახებ ჯერჯერობით არ შეიძლება რაიმე ითქვას.

აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ კერამიკას, უმთავრესად სადა, მოუჭიქავ სამზარეულოს და ყოველდღიური დანიშნულების ჭურჭელს და ფაიანსის ნაწარმს — მქრალი ლურჯი საღებავით მოხატული მცენარეული სახეებით, ფრინველთა გამოსახულებითა და სხვ. საყურადღებოა, ლურჯად მოხატული თხელკედლიანი და პრიალა ფაიანსის ერთი ნატეხი, რომელსაც ნახატის გარშემო შემოუყვება შავი ხაზები. იგი თარიღდება სპარსული XVII—XVIII სს. ფაიანსის ანალოგების მიხედვით.

ამ მასალების და აგურის თავისებური წყობის მიხედვით შენობა წინასწარულად XVII ს. ბოლოთი და XVIII ს. თარიღდება. სამტრედოს შემდგომი გათხრები, უეჭველად დააზუსტებს ამ თარიღს და გამოავლენს ძეგლის ხასიათს.

1972 წ. ახალი უბანი გაიხსნა დაბა კაზრეთში. ექსპედიციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მადნეულიდან მადნეულმშენის VII ტრესტის საბინაო მშენებლობის უბნის უფროსმა (ტრესტის უფროსი ო. ა. მარგველაშვილი) ზ. ს. ცხვედიანმა გამოაგზავნა კაზრეთის ახალი სკოლის წინ „ხოდაბუნებზე“ სახლის საძირკვლის ამოღების დროს შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფ. ო. ლორთქიფანიძემ ეს ნივთები მუზეუმში გამოაგზავნა. მუზეუმს ჩააბარეს შემდეგი ნივთები:

1. ვარდისფერკეციანი დოქი, პირმოტეხილი; 2. ბრინჯაოს ენოხოია, დეფორმირებული და სახელურმოგლეჯილი, 3. მომწვანო ფერის მინის სანელსაცხებლის ნატეხები, 4. ცისფრად მოჭიქული მაღალყელიანი სასმისი, სახელურ და პირჩამოტეხილი. 5. რკინის დაჟანგული მახვილის (?) ნატეხები.

ნივთები ერთი შეხედვითაც კი მეტად საინტერესო იყო, განსაკუთრებით ეს ეხება ბრინჯაოს ენოხოას, რომელზედაც პატინის ქვემოთ აშკარად ჩანდა გრავირების ნიშნები (ტაბ. $XVII_2$).

კაზრეთში ჩასვლისთანავე ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვიკითხეთ ამჯერად უკვე ბულდოზერისა და სატვირთო მანქანების მძღოლებისა და ადგილზე მომუშავე პირებისაგან ნივთების აღმოჩენის ვითარება. გამოირკვა, რომ ნივთები შეუმჩნევიათ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გასატანი მიწა დაუტვირთავთ მანქანაზე. ასე რომ, მათი აღმოჩენის ადგილი მხოლოდ მიახლოებით შეიძლება ვივარაუდოთ, იმის მიხედვით, თუ სად უნდა ემუშავა ნივთების აღმოჩენის დროს ბულდოზერს, ეს უნდა ყოფილიყო 1 სამშენებლის (საძირკველი) ორმოს ჩრდ.-აღმ. ნაწილი. ბულდოზერის მემანქანემ გადმოგვცა იმავე ორმოში აღმოჩენილი კიდევ ერთი ნივთი—მინის მთელი სანელსაცხებლე.

1 საამშენებლის ორმოს ჩრდილო კედლის ჭრილში შეინიშნებოდა დაზიანებული ორი ორმოსამარხის კონტური. თხრილის ჩრდ. კედელში სავარაუდო სამარხის ზემოთ მოვზომეთ საჭირო ფართობები (2 მ × 2 მ) და შევუდექით თხრას. კორდოვანი ფენის აღების შემდეგ 1 მ სიღრმეზე ქვა-ღორღის მცირე

ყრილის ქვეშ გამოჩნდა რამდენიმე სამარხის ნაშთი. № 1 სამარხის დიდი ნაწილი ინვენტართან ერთად, როგორც ჩანს, განათხარ ორმოში მოხვედრილა, № 2 სამარხში შემორჩენილი იყო მხოლოდ შავად გამომწვარი კოჭობი მომრგვალებული გვერდებითა და პატარა ძირით, რომელიც გვიანანტიკური ხანით თარიღდება.

რადგან საამშენებლო ორმოს ამოღება დამთავრებული არ იყო, მის საზღვრებში ფართობის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ შევძელით ორი მეტრის სიღრმეზე შურფის (თითოეული 1,5 × 3 მ) გაჭრა. შურფებში არავითარი მასალა არ აღმოჩენილა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანზე ჩვენ შეთანხმებული ვიყავით მხოლოდ სამშენების სამუშაოთა კონტროლით დავკმაყოფილებულიყავით, 1 ორმოს ჩრდილო კედლის გადაღმა ჩვენ გავჭერით სამი თხრილი — ერთი 1,6 × 9 მ, რომელიც მოვზომეთ № 2 სამარხის მახლობლად სასაძირკვლო თხრილის მიმართ 30° კუთხით დახრილი მიმართული სამხრეთ დას-დან ჩრდ. აღმოსავლეთისაკენ, იმ ვარაუდით, რომ თუ სამაროვანი გრძელდება ჩრდილოეთით, სამარხები უნდა მოყვნენ ამ თხრილში. მასში აღმოჩენილი მასალა წარმოადგენდა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის კერამიკის მცირე ნატეხებს და ცხოველთა ძვლებს. ნასახლარის მძლავრი კულტურული ფენა გამოვლინდა მეორე თხრილში (2 მ × 14 მ). აქ ამავე ხანის ჭურჭლის მრავალრიცხოვან ნატეხებთან და ცხოველთა ძვლებთან ერთად ბევრი იყო გადამწვარი ალიზი და კრამიტი, კერამიკული და რკინის წიდა, ოფსიდიანი და სხვ. ყველა ნიშნის მიხედვით ამ თხრილებში მოყვა ძირითადი ადრეფეოდალური ხნის ნასახლარი, რომელსაც რაღაც კატასტროფის შედეგად ძლიერი განადგურება განუცდია.

ამრიგად, ჩვენი აზრით, სამაროვანი შესაძლოა გრძელდებოდეს მშენებლობის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით. იქ სადაც სკოლის გზის გადაღმა მინდორია, მისი დაზვერვა ჩვენ გადაუდებელ ამოცანად გვესახება.

საბინაო მშენებლობის დანარჩენ უბნებზე მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ჩვენ მიერ გაჭრილი II თხრილი დაფარა II სახლის სასაძირკვლე ორმომ, რომელიც ადრეფეოდალური ხანის მასალას შეიცავდა. III სახლის სასაძირკვლე ორმოში გვიანანტიური ხნის კერამიკასთან ერთად აქა-იქ ადრეული ხანის მასალაც ჩნდება. II და III სახლების სასაძირკვლე ორმოების მასალიდან აღსანიშნავია ერთი მთელი ვარდისფრად გამომწვარი დოქი გვიანანტიკური ხანისა და ვარდისფერკეციანი კოპებით შემკული ფიალა შუაბრინჯაოს ხანისა.

რაც შეეხება იმ ნივთებს, რომლებიც შემთხვევით აღმოაჩინეს მშენებლებმა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ენოხოა. მსგავსი ჭურჭელი საქართველოში გავრცელებულია ძვ. წ. V ს-დან II—III სს-მდე. ის ცნობილია ვანიდან, ბორიდან, კლდეეთიდან და სხვ. ადგილებიდან.

კაზრეთის ჭურჭელი ფორმის მიხედვით, ჩვენი აზრით, ემსგავსება ნაწილობრივ ვანის, ნაწილობრივ ბორის ჭურჭელს. ვანის ჭურჭლისაგან განსხვავებით კაზრეთის ჭურჭელი გრავირებულია. სამწუხაროდ, კაზრეთის ჭურჭელი ყურნაკლულია და არ ვიცით ჰქონდა თუ არა მასაც ვანის ჭურჭელივით პალმეტი. ვანის ჭურჭელთან დაკავშირებით ო. ლორთქიფანიძე იხილავს მსგავსი ჭურჭლის თარიღს და მისი სადაურობის საკითხს. ვანის ენოხოა მას იმპორ-

ტულ ნივთად მიაჩნია[12]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კაზრეთის ენოხოაც იმპორტულ ნივთს უნდა წარმოადგენდეს. ამ შთაბეჭდილებას, ვანის ენოხოასთან მსგავსების გარდა აძლიერებს მისი გრავირებული ნახატი. სამწუხაროდ, ავი პატინა და ნივთის დეფორმაცია ნახატის წაკითხვას ხელს უშლიან, აშკარაა, რომ ნახატი მითოლოგიურ თემას ეძღვნება. ჭურჭლის ყელზე და მხრებზე შემოვლებულია სუროს ფოთლები ყურძნის მტევნებით და ორი გრეხილურისაგან შემდგარი სარტყელი. მხრებს ქვემოთ ერთ ადგილას ირჩევა ატლეტის ფიგურის ზემო ნაწილი აწეული ხელით, ნაკეცებიან ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი, რომელსაც გაშვერილ ხელზე რაღაც აქვს გადაკიდებული (ლაბადა? თავსახვევი?), კარგად ჩანს ტყავწამოსხმული ფიგურა (ჰერკულესი?, სატირი?) და ენოხოას ძირთან პატარა იონურ-კაპიტელიანი სვეტი.

კოლბისებური სანელსაცხებლე მსხლისებური ძირით და მაღალი ყელით I—II სს. თარიღდება, მსგავსი სანელსაცხებლეები ცნობილია სამთავროდან, ურბნისიდან და სხვ.[13] (ტაბ. XVII$_1$).

მეორე კოლბისებური სანელსაცხებლე წარმოდგენილია ნატეხების სახით, პარალელებს პოულობს III—IV სს. მინის ჭურჭელში.

პირჩამოტეხილ ვარდისფერკეციანი დოქი გვიანანტიკური ხანის I—III სს. თარიღდება.

ცისფრად მოჭიქულ თეთრკეციანი მოჭიქული დოქი ე. წ. „რბილი ფაიანსის" ნაკეთობათა რიცხვს განეკუთვნება. ზემოჩამოთვლილი ნაკეთობისაგან განსხვავებით ფეოდალური ხანით თარიღდება.

როგორც ვხედავთ, ნივთები სხვადასხვა დროისაა. და თუმცა ჩნდება საცდური, რომ ძირითადად გვიანანტიკური ხანის ჯგუფი გამოიყოს, ჩვენ თავს ვიკავებთ ამ თარიღის მიღებისაგან, რადგან ნივთების აღმოჩენის ვითარება დანამდვილებით არ ვიცით.

1973 წ. დ. კაზრეთში რკინიგზის სადგურის მახლობლად პურის საცხობის ახალმშენებლობაზე სასაძირკვლე ორმოში ბეტონის კოლონების ჩადგმისას აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის ნაშთები. შავპრიალა და სქელკედლიანი, სარჩულიანი, თავისებური ფორმების მქონე კერამიკის მიხედვით იგი მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება და ძვ. წ. ა. III ათასწლეულით თარიღდება.

სასაძირკვლე ორმოს გარშემო ზედა ფენაში გამოვლინდა გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის სამაროვანი (როგორც ჩანს, ამ სამაროვანს ეკუთვნოდა 7 ც. თიხის ჭურჭელი, რომლებიც აღმოჩნდა აქ ექსპედიციის დაწყებამდე და მშენებელთა ხელში მოხვდა). პურის საცხობის სასაძირკვლე ორმოს ნაპირებზე ექსპედიციამ გათხარა რამდენიმე ორმოსამარხი და სამარხის ნაშთი (ტაბ. XVIII$_2$). ზემოდან სამარხის ორმოზე დაყრილი ყოფილა დიდი ზომის რიყისა და ნათალი ქვები (ტაბ. XVIII$_1$). მიცვალებული ესვენა ძლიერ მოკრუნჩხულ პოზაში მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე (პირველნი, როგორც ინვენტარის შემადგენლობიდან ჩანს, მამაკაცის სამარხებს წარმოადგენენ, მეორენი — ქალებისას). ორიენტაცია სხვადასხვაგვარი იყო. უმთავრესად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, პირით ჩრდილოეთისაკენ. ზოგიერთ სამარხებში აღმოჩნდა ხის ნაშთე-

12 იხ. О. Лордкипанидзе, Италийские бронзовые изделия найденные на территории древней Грузии. СА, 1964, № 1.

13 მ. საგინაშვილი, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბილისი, 1970, გვ. 31, სურ. 17, 19.

ბი და კოხის ქვები, რაც კევრზე დასაფლავების წესზე მიგვითითებს, ინვენტარი შეიცავდა მსხვილ და წვრილი თიხის ჭურჭელს, იარაღს (შუბი, სატევარი, მახვილი), სამკაულებს (მძივები, ფიბულა, სამაჯური) და ა. შ.

ამრიგად, კაზრეთის სამარხები, როგორც ინვენტარის შემადგენლობით, ისე დაკრძალვის წესის მიხედვით საქართველოსა და კავკასიის ამავდროულ სამარხებთან მსგავსებას ამჟღავნებენ.

დაზვერვების შედეგად აღმოჩენილ იქნა რამდენიმე საყურადღებო ძეგლი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდ. მაშავერიდან კლდოვან კალაპოტში გატანილი არხი, რომელიც დიდი სიმაღლიდან ეშვება სოფ. ბალიჭისაკენ. აქვე არხის ბოლოში დადასტურებულია ქვაყუთების შემცველი სამაროვანი. სოფ. ბალიჭის სამხრეთით ადგილ „სიპქვიებში“ აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანის ქვაყუთები.

ბოლნისის რაიონში სოფ. წითელსოფელში (ძველად ხატისსოფელი) ნახევრადდანგრეულ ეკლესიაში აღმოჩნდა ხაჩკარი და რამდენიმე ადრეფეოდალური ხანის სტელა. ერთ-ერთ მათგანზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი, რომელშიაც იკითხება სიტყვა „მამასახლისა“.

М. И. СИНАУРИДЗЕ

# КАЗРЕТСКАЯ АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ 1972—1973 гг.

В 1972—1973 гг. экспедиция Гос. Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа продолжала работу в Болнисском районе на территории Маднеульского горнообогатительного комбината.

Систематические раскопки велись, в основном, на двух объектах. в селе Баличи, на месте, где осенью 1971 г. был обнаружен саркофаг с древнегрузинской надписью, и на окраине села Казрети, в местечке «Самтредо». Кроме того, были предусмотрены и производились по необходимости раскопки и контроль работ на Марнеульском карьере, а также на местах новостроек в Казрети.

На участке «Баличи» целью раскопок было определение даты и характера памятника, содержавшего вышеназванный саркофаг. Вокруг места находки саркофага была раскопана площадь 10 м × 15 м, 7 м × 7 м, 14 м × 2 м, в виде отдельных участков (исследованию всей площади мешала проходившая тут дорога и забор, огораживающий кукурузное поле). В результате раскопок был обнаружен разделенный на участки, содержащий до двадцати каменных ящиков с христианскими безинвентарными захоронениями могильник. С юга-запада к нему примыкали остатки массивных стен, возможно принадлежавших церкви, на существование которой указывают находки рельефных камней и большого количества черепицы. Погребения были сложены из каменных тесаных плит и покрыты такими же плитами. Поперечные стены состояли из одной или двух плит, продольные же содержали две, три и больше частей. В частых случаях, в них были встроены мелкие камни, представляющие обломки стел, крестов и других рельефных камней, датирующихся раннехристианским временем (V—VII вв). По-видимому, в погребениях были использованы остатки подвергшихся разрушению памятников V—VII вв., церкви (?) с могильником (?).

В культурном слое находились остатки строений с простой неполивной керамикой и с другим археологическим материалом, датирую-

щимся не позднее IX—X вв. Таким образом, могильник с каменными ящиками датируется не позднее IX—X вв. и не ранее VI—VII вв.

Что же касается саркофага с надписью, обнаруженного на этом могильнике, то по нашему предположению, он не представляет собой единый памятник, а составлен из двух разных частей: крышки из красного туфа с древнегрузинской надписью, датирующейся VI в. и нижней части из зеленоватой породы, по форме неподходящей к крышке.

Не подлежит сомнению, что саркофаг стоял на видном месте, по-видимому, в церкви, во всяком случае, он не был погребен. В противном случае не имело бы смысла высекать на нем надпись. В раннехристианское время можно назвать немало аналогичных случаев стоящих в церквях и мартириумах саркофагов, украшенных надписями и орнаментом.

Естественно предположить, что после гибели первичного памятника саркофаг был разобран. Крышка его, сохранившаяся невредимой, была впоследствии вновь использована для покрытия другого, позднего захоронения. Что же касается нижней части саркофага, то она по-видимому, была разбита на мелкие части, о чем свидетельствуют обломки, обнаруженные на могильнике. Один из них представляет собой конечный угол нижней части каменного ящика, высеченного из красного туфа, той же породы, как и крышка саркофага с древнегрузинской надписью.

Таким образом, можно заключить, что обнаруженное в саркофаге захоронение вторичное и, следовательно, костяк и предметы, имеющиеся на нем, принадлежат к более позднему времени, чем надпись на крышке саркофага. Теперь ясно, почему обнаруженные в саркофаге кольцо и головка булавки не находят себе аналогии в материалах, датирующихся IV—VI и VI вв. (могильники Самтавро, Урбниси и др.).

К сожалению, недостаточная изученность материалов IX—X вв. в Грузии препятствуют сравнению обнаруженных в саркофаге предметов с грузинским синхронным материалом. Между тем в других странах напр. в Древней Руси, имеются по форме и технике такие же ювелирные изделия, датирующиеся IX—X вв. и немного более поздним временем (XI в.). Эти аналогии, по нашему мнению, дают достаточное основание для датировки баличских предметов и вместе с тем определяют время вторичного захоронения саркофага IX—X веками. Как отмечалось выше, стратиграфические данные вполне поддерживают эту датировку.

На участке «Самтредо», в усадьбе феодалов Зурабишвили, в дворцовом комплексе была очищена придворная церковь, представляющая собой однонефное сооружение зального типа площадью 6 м × 4,5 м. В результате раскопок уточнились детали плана конструктивные и декоративные особенности церкви. Как и следовало ожидать по имевшейся когда-то над одной из дверей, но впоследствии исчезнувшей надписи, церковь по типу сооружения относится к концу XVII в. На эту же дату указывает и обнаруженный во время раскопок археологический материал: простая и поливная посуда, кирпичи, черепицы, а также несколько обломков стеклянных и фаянсовых изделий. Однако, часть выявленного материала, так например, глазурованная керамика, обломки стеклянного браслета и пр., свидетельствует о том, что эта местность была заселена и раньше, в XI—XIII вв.

Возле сохранившегося на поверхности земли двухэтажного дворца, возведенного каменной кладкой, обнаружено было заваленное землей кирпичное сооружение. Был расчищен большой зал с полукруглыми нишами, окнами и проходами в другие, по-видимому, в такие же

помещения. Обнаруженный материал содержит керамику, главным образом — простую неполивную посуду каждодневного обихода и фаянс с тусклым синим рисунком, изображающим растительный орнамент или птиц и животных. Обращает на себя внимание один обломок, расписанный синим рисунком и обведенный по контуру черной линией. По этому материалу, а также по характерной смешанной кладке кирпича с камнем, засвидетельствованного при обработке оконных проемов, здание датируется концом XVII-го началом XVIII вв.

Раскопки «Самтредо» не завершены и будут продолжаться.

В 1972 г. новый участок был открыт в с. Казрети, где при строительстве жилых корпусов комбината еще до начала экспедиции были обнаружены единичные античные предметы. Ограничившись в основном контролем строительных работ, нами были засвидетельствованы жилые и хозяйственные сооружения раннефеодального времени, а также несколько нарушенных ямных погребений ранне- и позднеантичного времен. По-видимому, последним принадлежали и случайно обнаруженные предметы: бронзовая энохоя с графическим рисунком, изображающим мифологические сцены, глиняные и стеклянные сосуды и пр.

В 1973 г. в с. Казрети при закладке хлебозавода были обнаружены остатки поселения раннебронзового времени, датирующиеся 3 тысячелетием до н. э. Судя по керамике они относятся к т. н. Куро-Аракской культуре.

Вокруг раскопанной площади в верхнем слое был засвидетельствован могильник позднебронзовой и раннежелезной эпох. Было раскопано несколько ямных погребений, заваленных большими булыжными и тесанными камнями. Костяки лежали на боку в сильно скорченной позе (на правом мужские, на левом — женские), ориентированные различно, главным образом, с востока на запад, лицом к северу. В погребениях обнаружены остатки дерева и мелких камней, по-видимому, от молотильных досок, указывающие на древний обычай захоронения, распространенный в Грузии и на Кавказе. Погребальный инвентарь представлен глиняными сосудами, оружием (копье, кинжал, меч), украшениями (бусы, фибула, браслет) и пр. Таким образом, казретские погребения и по составу инвентаря, и по обряду захоронения схожи с другими погребениями этого времени Грузии и Кавказа.

В результате разведочных работ был обнаружен ряд неизвестных памятников. Особый интерес представляет оросительный канал, проходящий по скалистой трассе и доставляющий воду в с. Баличи из реки Машавери.

К югу от с. Баличи в местечке «Сипквиеби» (голыши) были засвидетельствованы каменные ящики среднебронзового времени. В селе Цител-сопели (древнее Хатис-сопели) обнаружена была полуразрушенная церковь, содержащая древнехристианские стелы и хачкар XVI—XVII вв. На одной стеле сохранился фрагмент древнегрузинской надписи, в которой читается слово «мамасахлиса» — термин обозначающий правителя провинции.

### სურათების აღწერილობა:

სურ. 1. ბალიჩის სამაროვანზე აღმოჩენილი ქვის ჯვრის ფრაგმენტები.
სურ. 2. სამტრედო. კარის ეკლესია; გეგმა და ჭრილები.

### Описание рисунков

Рис. 1. Обломки каменного креста, найденные на Баличском могильнике.
Рис. 2. Самтредо. Придворцовая церковь; план и разрезы.



სურ. 1






სურ. 2.

ლ. ჭილაშვილი

# არეშის ნაქალაქარის არქეოლოგიური დაზვერვები

1973 წელს ახალსოფლის (გავაზის) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საველე სამუშაოები წამოიწყო არეშის ნაქალაქარზე[1]. ეს უკანასკნელი მიკვლეულ იქნა ექსპედიციის მიერ 1972 წ. დაზვერვების დროს.

ნაქალაქარი, რომელსაც ვაიგივებთ არეშთან, შუა საუკუნეების მნიშვნელოვან პუნქტთან, მდებარეობს თანამედროვე ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირის ტერიტორიაზე.

ისტორიული არეშიც, სადაზვერვო მონაცემების მიხედვით, გავაზის მსგავსად აღმოცენებულია მთისა და ბარის საზღვარზე, ორი განსხვავებული ეკონომიური ზონის შესაყარზე.

არეში მდ. არეშის წყლის ზედა წელში მდებარეობს. 1972 წ. აქ რამდენიმე პირველხარისხოვანი ძეგლი იქნა დაფიქსირებული. ესენია: ნაეკლესიარები მდინარის ორივე მხარეს სოფელშივე, ნაეკლესიარ-ნასახლარები სოფლიდან დაახ. 2 კმ-ზე „საყდრის ყურში" და ნაგებობათა კომპლექსი მდ. არეშის წყლისა და უსახელო მდინარის შესართავზე. ამავე დროს, არეშის წყლის მარცხენა მხარეს „საყდრის ყურიდან" რამდენიმე კმ სიგრძეზე დადასტურებულია სარწყავი არხიც[2].

ექსპედიციამ საანგარიშო წელს განიზრახა არეშის ნაქალაქარზე სადაზვერვო გათხრების წარმოება, რისთვისაც შევარჩიეთ მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარე ბორცვი, რომლის აღმოსავლეთ მხარეს შემორჩენილია ქვით ნაგები კედლის ნაშთი. კედლის მცირე ნაწილი ჩანდა ჩრდილოეთის მხარესაც. ბორცვს ერთი მხრიდან სასოფლო გზა ეკვრის, სხვა დანარჩენი კი საკარმიდამო ნაკვეთებს უკავია, რაც ძლიერ ართულებს მიწის სამუშაოების ჩატარებას. ბორცვი მთლიანად დაფარულია კაკლის ხეებით. კედლის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით აშკარად ჩანდა, რომ დიდი ზომის ნაგებობასთან უნდა გვქონოდა საქმე.

ძეგლი სოფლის განაპირას მდებარეობს, იქ, სადაც ჯავახელი ქართველები არიან დასახლებული.

ექსპედიციამ ძეგლზე მუშაობა დაიწყო ბორცვის თხემიდანვე, პირაღე-

---

[1] ექსპედიციის შემადგენლობა: ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი), ნ. ქანთარია, გ. კიკნაძე (ხელმძღვანელის მოადგილეები), ვ. ცისკარიშვილი (რაზმის უფროსი), თ. კერესელიძე, ს. ბურდილაძე, ნ. აფხაზავა, ბ. მჭედლიშვილი (მეცნიერ თანამშრომლები).

[2] ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1962 წ. შემთხვევით აღმოჩნდა სასანურ-არაბული მონეტების განძი (292 მონეტა), რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში („მთისძირის განძი" № 10700—10957).

ბით. თხრა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, რამდენადაც საქმე გვაქვს კედლების ნანგრევებთან, ქვაღორღში არეულ ნაშალ მიწასთან ერთად. ასეთ ვითარებაში სამუშაოს გაშლა შეუძლებელია და გადავწყვიტეთ ბორცვთან ერთად შეგვეს-წავლა მისი მიმდგომი ტერიტორიაც სამხრეთის მხრიდან, რისთვისაც ნაგებო-ბის გასწვრივ თითქმის მთელ სიგრძეზე დავდეთ ორ რიგად შვიდ-შვიდი კვად-რატი (4 მ × 4 მ) და დავიწყეთ მისი ფენა-ფენა აღება (ტაბ. XIX).

ნაგებობა, როგორც აღნიშნული იყო, საკმაოდ დიდია და მისი გათხრა დიდ დროს მოითხოვს. სულ მალე გამოჩნდა გადანგრეული კედლები და ჩაქ-ცეული სახურავი. წმენდის დროს ამოდიოდა სამშენებლო რიყის მსხვილი ქვა, პათქაშის და კრამიტის ნატეხები. საველე მუშაობის მთელი დრო მოხმარ-და ჩაქცეული კედელ-სახურავის ნაწილის გათხრას, რაც ალბათ სამუშაოთა მესამედს თუ შეადგენს. მიუხედავად ამისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე უნდა გვქონდეს დიდი ზომის ტაძართან, რომელშიც წლევანდელი სამუშაოე-ბის შედეგად გამოჩნდა სამი ნავის ნაწილი (სვეტები ჯერ არაა გამოჩენილი), აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთის კედლები, შესასვლელებით სამხრე-თისა და დასავლეთის კედლებში. გაიწმინდა კედლებში ჩაშენებული ქვით ნაგები და შელესილი სვეტის ნაწილები.

რამდენადაც ეკლესიის გათხრის დროს ძირითადად საქმე გვქონდა ჩან-გრეულ სახურავსა და კედლებთან, ამდენად არქეოლოგიური მასალა არ ყო-ფილა დადასტურებული, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გამონაკლისს და რა თქმა უნდა სამშენებლო მასალას. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს კრამიტების სიუხვე. სამწუხაროდ, არ არის დადასტურებული მთელი კრამიტები, მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. ყველა ისინი ბრტყელ და დაბალბორ-ტიან კრამიტებს განეკუთვნებიან. რამდენიმე მათგანზე რელიეფური წარწე-რებია შემორჩენილი. უკეთესად ხუთი ნიმუშია წარმოდგენილი, რომლებზე-დაც გამოსახულია ჯვარი და შემდეგ კი დაქარაგმებული წარწერა. წინასწარუ-ლად, ხუთივე ნიმუშის მიხედვით საქმე უნდა გვქონდეს ერთ ყალიბთან, რომ-ლითაც ჯერ კიდევ სველ თიხაზე გამოჰყავდათ გამოსახულება. წარწერები სამი სტრიქონისაგან შედგება. პირველი სტრიქონი უჭირავს ჯვრისგამოსახუ-ლებას, მეორეზე ლიგატურაა დაქარაგმებული. მესამე სტრიქონი უკუღმაა და-შტამპული და სარკის ანარეკლით იკითხება (ႸႨ — „შეიწყალე", ტაბ. XXI).

ეკლესიის დათარიღებისას და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, სანამ ის მთლიანად არ იქნება გაწმენდილი. ეკლესიის, უშუალოდ ნაგებობის გათხრების დამთავრება მო-მავალი სეზონისათვის არის ნაგულისხმევი.

ტაძრის სამხრეთით მდებარე ტერიტორიის გათხრამ, გვიჩვენა, რომ ის სამაროვნად ყოფილა გამოყენებული. სამარხები აქ მიჯრით არ ყოფილა და-დასტურებული, და ამით ის აშკარად განსხვავდება სხვა, ეკლესიებთან მდე-ბარე სამაროვნებისაგან.

საყურადღებოა ასევე კულტურული ფენიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა, უპირატესად მოჭიქული ნაწარმი, რომლის შესახებაც ცალკე იქნება საუბარი.

საანგარიშო წელს ექსპედიციამ აქ გათხარა 10 სამარხი. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ სამარხების ნაწილი დაზიანებული იყო და მხოლოდ პირო-ბითად შეიძლება ზოგიერთს სამარხი ეწოდოს.

სამარხი № 1, მიწის ზედაპირიდან მდებარეობდა 1,1 მ-ზე, იგი ორმო-

სამარხია. ჩონჩხი ცუდად იყო შემორჩენილი. აკლია თავის ქალის ნაწილი, წვივის ძვლები, მარჯვენა ბარძაყის ნაწილი და მარჯვენა ხელის ძვლები. სამარხი დამხრობილი ყოფილა დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. შემორჩენილი ჩონჩხის სიგრძეა 1,1 მ. დაკრძალული ყოფილა ქრისტიანულ პოზაში.

სამარხში დადასტურებულია მხოლოდ ერთი ნივთი — უცნაური ფორმის, ორყურიანი და მილიანი, წითლად გამომწვარი ჭურჭელი (ტაბ. XX$_2$: ტაბ. XXII$_1$). მსგავსი ჭურჭელი ჩვენთვის სხვა არაა ცნობილი და ამიტომ მის ვერც წარმომავლობაზე და ვერც თარიღზე ვერაფერს ვიტყვით.[1]

სამარხი № 2 მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 1,3 მეტრით. ორმოსამარხს ჩრდილოეთით და სამხრეთით რიყის რამდენიმე ქვა ჰქონდა შემოწყობილი. ჩონჩხი წევს დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავი უდევს დასავლეთით. წევს გაშოტილი. მარცხენა ხელი მკერდზე უდევს, მარჯვენა ხელის ძვლები აკლია. ჩონჩხის სიგრძეა 1,6 მ.

სამარხში ინვენტარი არ არის შემორჩენილი.

სამარხი № 3 ქვაყუთია. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. სახურავად გამოყენებული იყო 7 ბრტყელი ფილა. ჩონჩხი გაშოტილი იწვა, გულხელდაკრეფილი, თავის ქალა დაზიანებული იყო. ჩონჩხის სიგრძეა 1 მ. სამარხი მიწის ზედაპირიდან მდებარეობდა 1,55 მ-ზე. ქვაყუთის სიგრძეა 1,85 მ; სიგანე 0, 45 მ.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 4 დარღვეული ორმოსამარხია. ჩონჩხის ზედა ძვლები ცუდათაა შემორჩენილი, დაკრძალული ყოფილა გაშოტილი, სიგრძე 1,2 მ.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 5 წარმოადგენს რიყის დიდი ქვებით შემოწყობილ სამარხს. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. სამარხის სიგრძეა 2 მ, სიგანე — 0,7 მ, ჩონჩხის სიგრძეა 1,85 მ. წევს გაშოტილი. ხელები ნეკაპთან აქვს მოტანილი. სამარხი მიწის ზედაპირიდან დაცილებული იყო 1,25 მ-ით.

სამარხში აღმოჩნდა ერთი მძივი და ბეჭედი.

სამარხი № 6. დარღვეული სამარხია. შემოწყობილი ჰქონია რიყის დიდრონი ქვები. ჩრდილოეთით დადასტურებულია სამი ქვა და სამხრეთით ერთი. სამარხი დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. ჩონჩხი ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია ბარძაყის ძვლები და თავის ქალის რამდენიმე ფრაგმენტი. ჩონჩხის სიგრძე დაახლოებით 1,6 მ-ია, თავის ქალასთან დადასტურებულია თხელკედლიანი მინის ჭურჭლის ფრაგმენტები (აღდგენა ვერ მოხერხდა).

სამარხი № 7, ქვაყუთია, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით, თავით დასავლეთით. ზევიდან ბრტყელი ქვები ეფარა. მიწის ზედაპირიდან დაცილებულია 1 მ-ით. აღმოჩნდა ორი ჩონჩხი. ქვედა დაზიანებული იყო. ზედა ჩონჩხი ზევიდან ედო პირველს. მიცვალებული წევს გაშოტილი, ქრისტიანულ პოზაში (ტაბ. XX$_1$).

სამარხის სამხ. დასავლეთ კუთხეში იდგა თიხის ცალყურა დოქი.

სამარხი № 8. დარღვეული ქვაყუთია, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. ძვლები ერთმანეთში იყო არეული. პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. აღმოსავლეთ ნაწილში დადასტურებულია თიხის ჭინჭილა, ყელის არეში კი 7 მძივი.

სამარხი № 9, ქვაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. სახურავად გამოყენებულია ბრტყელი ფილები. ქვაყუთის სიგრძე 1,9 მ, სიგანე 0,6 მ. მიწის ზედაპირიდან მდებარეობდა 1 მ-ზე. სამარხის ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლები გადაწვენილი იყო ჩრდილოეთისაკენ. დადასტურებული იყო ერთი დაზიანებული ჩონჩხი. ჩონჩხის სიგრძეა 1,3 მ. დადასტურებულია მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი (ალბათ შემთხვევით მოხვედრილი), მინის სამაჯურის ნატეხი და 2 მძივი.

სამარხი № 10, ქვაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით, ზევიდან ოთხი კარგად გათლილი ფილა ეფარა. მიწის ზედაპირიდან დაცილებული იყო 0,7 მ, ქვაყუთის სიგრძეა 1,8 მ, სიგანე — 0,7 მ. ჩონჩხი ცუდად იყო შენახული. თავის ქალა და ტერფები დაშლილია. დადასტურებულია თიხის ჭურჭლის ნატეხები (შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი).

ცხადია, აღნიშნული სამარხების მიხედვით შეიძლება აქ რომელიღაც სამაროვანი წარმოვიდგინოთ, უშუალოდ ეკლესიის ეზოშივე.

პირველ ყოვლისა თვალში გვხვდება, რომ სამაროვნის ტერიტორია მაქსიმალურად არ არის გამოყენებული, როგორც ყველა სხვა შემთხვევებიდან ვიცით. სამარხებიც ძლიერ ღარიბულია ან უინვენტარო. ნივთები მხოლოდ ხუთ სამარხშია წარმოდგენილი. გათხრილი 10 სამარხიდან ხუთი ქვაყუთია, სამი ორმოსამარხი, ორი კი ქვებშემოწყობილი ორმოსამარხი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამარხთა უმეტესობაში თითო ჩონჩხია დადასტურებული. სამარხებში იმდენად მცირე მასალაა წარმოდგენილი, რომ გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით, სანამ ადგილი მთლიანად არ იქნება გათხრილი. ამდენად, მცირეოდენ სამარხეულ და კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალას ერთად განვიხილავთ.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ ექსპედიციის მიერ გათხრილი ასეთი მცირე ფართობიდან მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალებია წარმოდგენილი, უპირატესად მოჭიქული კერამიკის სახით.

მოუჭიქავი კერამიკა საშუალო ზომის ჯამებითა და დოქებითაა წარმოდგენილი. სხვაზე რომ არაფერი ითქვას 7 თითქმის მთელი ნიმუშია აღმოჩენილი, რომელთა მეშვეობითაც ფორმის დადგენა სიძნელესთან არ არის დაკავშირებული. ყველა ისინი სამარხებშია აღმოჩენილი, ანდა დარღვეული სამარხებიდან მომდინარეობენ. ესენია: მუცელგანიერი დოქი, ცალყურა ხელადა და ცალყურა განიერპირიანი ქილა, ყელმაღალი ცალყურა ჭინჭილა (ტაბ. XXII), ასევე წითელკეციანი ბრტყელძირა და მაღალგვერდიანი ჯამები.

ცალკე უნდა აღინიშნოს უცნობი ფორმისა და გაურკვეველი დანიშნულების თიხის ჭურჭელი № 1 სამარხში დადასტურებულია. თიხა მოწითალოდ არის გამომწვარი, ჭურჭელი სქელკედლიანია მოგრძო მილით, რომელიც ებმის ჭურჭლის ბრტყელ კორპუსს. ზევიდან ორი ყური აქვს მიძერწილი (ტაბ. $XXII_1$).

როგორც ზევით ითქვა, მოჭიქული ჭურჭლის მეტად თავისებური სახეები იქნა დადასტურებული ეკლესიის ეზოს გათხრების დროს. ერთი მხრივ, აქ ვხვდებით კარგად ნაცნობ ფორმებსა და ორნამენტებს, და რაც განსაკუთრებით არის ხაზგასასმელი, ახალ სახეებსაც.

მხატვრულ თიხის ნაწარმში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. ერთფერად მოჭიქული ნაწარმი. ესაა ანგობიანი და ერთი ფერის ჭიქურით შემკული ჯამები. ძირითადად მწვანე ჭიქური გამოიყენებოდა. ერთი ასეთი ჯამი ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ მოჭიქული ზედაპირით, არამედ ორმხრივად კარგად დამუშავებული გვერდებით. გარედან მუქი ყავისფერით გამოყვანილია არაბული წარწერების იმიტაციები.

2. გეომეტრიული ორნამენტით შემკული ნაწარმი. როგორც წესი ორნამენტი ჯამების ფსკერზე იწყება და გადადის გვერდებზედაც. ესაა სხივური მოტივი, ურთიერთგადამკვეთი ხაზები, რომბები, კვადრატთა ბადე შიგ ჩახაზული სპირალებით და სხვ. (ტაბ. XXIII).

3. მოხატული კერამიკა. ეს არის არც თუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ სხვა ნაწარმისაგან გამოსაყოფი ჯგუფი. ანგობირებულ ზედაპირზე ფუნჯით ხატავდნენ სხვადასხვა ორნამენტს, ძირითადად გეომეტრიულს და ავლებდნენ მეტად თხელს და გამჭვირ ჭიქურს. ერთ ამისთანა ნიმუშზე თითქოს არაბული წარწერების იმიტაციებია შემორჩენილი.

4. ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები (ტაბ. XXIV—XXVI). ჯამები ფრინველების გამოსახულებით არემის გათხრებისას ათამდეა აღმოჩენილი და ამდენად, ეს სახე შესაძლებელია ჩავთვალოთ როგორც წამყვანი, მხატვრული ნაწარმის მთელ ჯგუფში. ასეთი განსაკუთრებული შენიშვნის გაკეთება გამოწვეულია იმითაც, რომ ფრინველის გამოსახულების მიხედვით ერთი რომელიმე სტილი არ არის დამკვიდრებული. ყველა მათგანი, ორი ნიმუშის გარდა, როგორც ტექნიკური ხერხებით, ისე გამოსახულების მანერით, ძირფესვიანად განსხვავდებიან. ამდენად მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ა) ფრინველი მცენარეულ მოტივებთან ერთად. ეს არის ერთადერთი ჯგუფი ფრინველის გამოსახულებიანი ჯამებისა, რომელიც ამჟღავნებს მსგავსებას რუსთავისა და დმანისის ნაწარმთან. ფრინველი გამოსახულია მარცხენა პროფილში მცენარეულ ორნამენტთან ერთად. ფრთის ტანთან მიბმის ადგილი შემკულია ორმანენტებით (ტაბ. $XXIV_{1,2}$).

ბ) ფრინველები გამოსახულია მოჭიქული ნაწარმის იმიტაციებზედაც. ერთ-ერთ ასეთ ჯამზე მოცემულია ფრინველი მარჯვენა პროფილში, მცენარეული ორნამენტის გარეშე. ფრინველის წინ ორხაზოვანი ტალღური ორნამენტია გამოსახული (ტაბ. $XXIV_3$).

გ) ფრინველებში ადვილად გამოირჩევა როგორც უწყინარი ჩიტები ისე მტაცებლები. ეს უკანასკნელია გამოსახული ერთ ჯამზე, მებრძოლ პოზაში. გამოსახულება მიღებულია ანგობირებულ ზედაპირზე. მას მცირეოდენი მსგავსება მოეძებნება სამშვილდის ფრინველის გამოსახულებიან ჯამთან.

დ) ერთ-ერთ ჯამზე შემორჩენილია ფრინველის მთლიანი ფიგურა. მას ანალოგიები არ მოეძებნება და ორიგინალურია გამოსახულების მანერით და ფერთა შეხამებით. ნახატი ფუნჯითაა შესრულებული, გამოყენებულია ცისფერი, ყვითელი და ყავისფერი საღებავები. ნახატი მთლიანად მქრქალ შთაბეჭდილებას სტოვებს. პარალელური მასალა ჩვენთვის არაა ცნობილი (ტაბ. XXV).

ე) სრულიად განსხვავებული სტილით არის შესრულებული ფრინველის გამოსახულება ერთ ჯამზე, რომელიც ასევე მოჭიქული ნაწარმის მინაბაძს წარმოადგენს. ანგობირებულ ზედაპირზე მუქი ყავისფერი საღებავით მოცე-

მულია ფრინველი მარცხენა პროფილში. ფეხები და ბოლო სტილიზებულია. არც აღნიშნულ გამოსახულებას არ გააჩნია ანალოგიები.

ვ) ფრინველთა გამოსახულებების კომპოზიციებში გადმოცემა უცხო არ არის შუა საუკუნეების მხატვრული კერამიკისათვის. ერთ-ერთ ნაწარმზე, რომელიც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, გამოსახულია პირისპირ მდგარი ორი ფრინველი, ერთი გამოსახულება სრულადაა შემორჩენილი. მეორის მხოლოდ ნაწილი ჩანს. შუაში თოკის ორნამენტია გამოსახული. ირგვლივ, ჯამის პირზე, რადიალური ხაზები მიუყვება. ნახატი მუქი ყავისფერი საღებავით არის შესრულებული. ფრინველთა გამოსახვაში იგრძნობა სქემატურობა და სტილიზაცია (ტაბ. XXVI$_1$).

ზ) ფრინველთა კომპოზიციური გამოსახულებების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ქალ-ჩიტის გამოსახულება, შესრულებული ერთ-ერთი ჯამის ძირზე. გამოსახულებას ფრინველის ტანი აქვს და ქალის სახე. გამოსახულებათა კონტურები მიღებულია ამოკაწვრით და შემდეგ კი ცალკეული ნაწილები მოხატულია ყავისფერი და მწვანე საღებავებით. ფრინველის ქვედა ნაწილის გამოსახულება არ არის შემორჩენილი. ასევე ნაკლულია ზედა ნაწილიც, რის გამოც ვერ ირკვევა თავსაბურავის ფორმა. გავრცელებული გამოსახულებების მიხედვით შესაძლოა აქაც სამკუთხა ქუდი იყო გამოსახული (ტაბ. XXV$_2$).

ანალოგიური გამოსახულებებისაგან განსხვავებით, სახის ცალკეული დეტალი აქ თავისებურად არის გადმოცემული. სახელდობრ, არაჩვეულებრივად დიდია თვალის ჭრილი, ცხვირი და პირი გადაბმულია. წარბები ორი მორკალული ხაზით არის შესრულებული. აღნიშნული ნიმუშის მიხედვით კიდევ ერთი თავისებური გამოსახულება შეემატა ქალ-ჩიტებისა და ქალ-ლომების უკვე ცნობილ სახეებს.

არეშის ეკლესიის და მისი მიმდგომი მცირე ტერიტორიის გათხრის შედეგად მოპოვებული მასალის სრული კვალიფიკაციისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, რამდენადაც ძეგლის გათხრა მხოლოდ დაიწყო და მცირე ნაწილია ჯერ შესწავლილი. პირველი კამპანიის მუშაობის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ძეგლის სრული შესწავლა საშური საქმეა და, რომ ის ბევრ საყურადღებო მასალას მოგვცემს, როგორც უშუალოდ ტაძრის შესწავლისათვის, ისე მდიდარი არქეოლოგიური, უპირატესად თვისობრივად ახალი კერამიკული ნაწარმის გამომზეურებისათვის. ნაგებობის დათარიღებისაგან ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო თავს ვიკავებთ, თუმცა შესამჩნევია მთელი რიგი ელემენტებისა, რის მიხედვითაც ძეგლი ადრექრისტიანულ ტაძრებთან დაკავშირების უფლებას გვაძლევს. რაც შეეხება სამარხეულ და ფენებიდან მომდინარე მასალას, მათ, ზოგადად, X—XIV საუკუნეებში ვათავსებთ. მხატვრულ კერამიკაში მსგავსად გავაზურისა, გამოიყოფა საკმაოდ დიდი ჯგუფი, თავისებური ნაწარმისა, რომელსაც ჩვენ მოჭიქული კერამიკის მინაბაძებს ვუწოდებთ და ვათარიღებთ XIII ს-ის ბოლოთი და XIV საუკუნით.

Л. А. ЧИЛАШВИЛИ

# АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАЗВЕДКИ АРЕШСКОГО ГОРОДИЩА

Ахалсопельская археологическая экспедиция в 1973 году вела разведочные раскопки в с. Мтисдзири Кварельского района в 7 км от села Ахалсопели — древнего Гавази. Разведками прошлого, 1972 г., здесь было найдено городище, раскинувшееся в ущельи реки Ареши, у подножья Кавказских гор. Городище своим расположением на грани Алазанской долины и горного Кавказа, и по богатому аграрному району является однотипным с Гавази. Видимо, они, как сильные поселения, зародились в одних и тех же благоприятных экономических и географических условиях. По всем данным, городище можно отнести к хорошо известному пункту средневековой Грузии — Ареши.

Из архитектурных памятников в Ареши зафиксированы развалины церковных комплексов по обе стороны реки Арешис Цкали, развалины церкви и дворца (?) у «Сакдрис-Кури», церковь и ограда у слияния речки Ареши с безымянной речкой. Все памятники, кроме последнего, относятся к сооружениям крупных размеров, что, бесспорно, указывает на характер и значение пункта, к которому они относятся. Тут же уместно отметить, что на территории городища в 1962 г. обнаружен клад сасанидо-арабских монет, состоящий из 292 монет. Клад собран и доставлен в нумизматический отдел Гос. Музея Грузии («Мтисдзирский клад» № 10700—10957).

В отчетном году экспедиция производила работы в самом селе, на правом берегу р. Ареши на холме, обросшем кустарником и ореховыми деревьями. Длина холма около 30 м, высота 3 м. Раскопками выяснилось, что холм образован развалинами крупной церкви, от которой частично уцелели восточная-алтарная стена с узкими оконными проемами и часть северной стены. В отчетном году удалось снять верхние слои, образовавшиеся от обвалившихся потолка и стен. Основная работа еще впереди, хотя некоторые предварительные выводы можно сделать и сейчас. Храм характеризуется весьма большими размерами: длина церкви достигает 26 м ширина без пристроек 14 м. Стены были возведены из булыжника и крупной гальки на известковом растворе. Кровля черепичная. На некоторых черепицах низким рельефом выведены кресты и грузинские буквы (табл. XXI).

Примыкавшая к церкви территория, как и в других храмах Грузии была использована под могильник. Экспедицией вдоль южной стены раскопаны 14 квадратов (4 м × 4 м), охватывающих территорию частично разрушенного могильника (табл. XIX). Из раскопанных десяти погребений три грунтовые и 5 каменных ящика. В двух случаях имеем дело с разрушенными погребениями, где тип захоронения не определяется. Погребения бедны инвентарем, хотя в некоторых из них за-

свидетельствован погребальный материал, а именно, керамические изделия — весьма редкое явление для захоронений средневековой эпохи (табл. XXII). Погребения по погребальному обряду бесспорно относятся к христианским захоронениям X—XIV вв.

Будущие раскопки, по-видимому, прояснят картину планировки церкви, а также все особенности строительного дела и архитектуры вновь открывшегося значительного сооружения Арешского городища. Предположительно, церковь можно отнести к памятникам раннехристианской эпохи. На данном этапе датирующим является только лишь археологический материал из культурных слоев, преимущественно поливная керамика, в которой особенно выделяются изделия X—XIV вв. (табл. XXIII—XXVI). Среди них особый интерес представляют образцы художественной керамики местного производства и подражания поливной керамике, это изделия с изображениями птиц и растительного орнамента.

პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე

# ნოქალაქევის ექსპედიციის 1973 წ. მუშაობის მოკლე ანგარიში

აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიისა და ისტორიის განყოფილება ათეული წლების განმავლობაში სწავლობს ნაქალაქარებსა და ნასოფლარებს. ასეთებიდან აღსანიშნავია — ურბნისი, დმანისი, გრემი, შუხუთი, ნოსტე, გავაზი, არეში, ჭაქვინჯა, გუდავა, ილორი, კასრეთი, ბალიჭი, სამტრედო და სხვა. ამ ძეგლთა დიდი უმრავლესობა ბოლომდეა გათხრილი, დანარჩენებზე კი მუშაობა გრძელდება.

გათხრითი სამუშაოების შედეგები მრავალჯერ იყო მოსმენილი რესპუბლიკურ თუ საკავშირო სესიებზე. რამდენიმე მათგანს მიეძღვნა მონოგრაფიები და სტატიები. ზოგ თემაზე დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და ზოგზე ახლა მზადდება საკვალიფიკაციო ნაშრომები.

ამასთანავე, ზემოაღნიშნული ძეგლების არქეოლოგიური მონაპოვარი საფუძვლად დაედო IV—XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის გამოფენას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ მოეწყო ჩვენს მუზეუმში.

განყოფილების წმინდა მეცნიერული ინტერესების გარდა არსებული გამოფენის სრულყოფის განზრახვამ განაპირობა ერთი ჯგუფის გაგზავნა დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად. როგორც წესი, გათხრების პროცესშივე ისწავლებოდა ძეგლების გარემო, ხდებოდა მათი ფიქსაციაც.

1973 წ. მუზეუმმა აღნიშნული ჯგუფი სამუშაოდ გადაიყვანა ნოქალაქევის (არქეოპოლისის, ციხე-გოჯის) შესასწავლად[2]. როგორც ცნობილია, აქ მხოლოდ გათხრითი ერთი კამპანია ჩატარდა 1930/31 წლებში. მაშინ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილა სახელმძღვანელო-საკონსულტაციო კომისია ივ. ჯავახიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, ს. ყაუხჩიშვილის და გ. ნიორაძის შემადგენლობით. უშუალოდ გათხრების საწარმოებლად მოწვეული იქნა გერმანიიდან ა. შნაიდერი, ხოლო მასთან ერთად მუშაობდნენ მაშინ ახალგაზრდა სპეციალისტები გ. გოზალიშვილი და ლ. მუსხელიშვილი.

---

1 ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გვეხმარა ამ პუნქტის სახელწოდების მეგრული ფორმა „ნოქალაქევი". საქართველოში მრავლად არსებულ „ნაქალაქევთაგან" განსასხვავებლად და სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად.

2 ექსპედიცია მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: პ. ზაქარაია (ხელმძღვანელი), ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე (ხელმძღვანელის მოადგილეები), ლ. ხვედელიძე (რაზმის უფროსი), მ. იაშვილი, მ. ზამთარაძე და მ. საყვარელიძე (უმცრ. მეცნ. თანამშრომლები). არქიტექტორ-მხატვრებად მუშაობდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები: ზ. ქვანია, ი. მაჭავარიანი და ტ. მერაბიშვილი.

ამ ექსპედიციამ მხოლოდ ერთი სეზონი იმუშავა და შემდეგი წინასწარული შედეგები მიიღო: დათარიღებული იქნა ორი კედელი: პირველი — IV საუკუნით, მეორე — VI ს. ან VII საუკუნის დამდეგით. ამასთანავე, გაკეთდა საცდელი თხრილები და ნაწილობრივ გაიწმინდა ზოგიერთი კოშკი. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა კეისარ მავრიკის (582—602 წწ.) 23 ცალი ოქროს მონეტა[3]. სამწუხაროდ, ამ ექსპედიციის არქეოლოგიური მონაპოვარი მთლიანად დაკარგულია, გარდა ზემოაღნიშნული მონეტებისა, რომლებიც ინახება ჩვენს მუზეუმში. ამის შემდეგ ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა.

აქვე მოკლედ მოვიყვანთ ნოქალაქევის ისტორიას და მასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს.

ახ. წ. II საუკუნისათვის დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონში, მდ. რიონ-ფაზისის ველზე, წარმოიქმნა ეგრისის, ანუ, როგორც მას რომაელი და ბიზანტიელი მწერლები უწოდებდნენ — ლაზიკის სამეფო. IV საუკუნის მეორე ნახევარში ეგრისის სამეფომ მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა: სამხრეთით მისი ტერიტორია მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთს. ეგრისის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ აფსილთა, აბაზგთა, სანიგთა, სვანთა და ლეჩხუმელთა მთავრები.

ლაზიკის მეფე რომის კეისრის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ ეს დამოკიდებულება IV—V საუკუნეებში ფორმალურ ხასიათს ატარებდა: ეგრისელები არც ხარკს იხდიდნენ, არც რომაელთა ლაშქრობებში იღებდნენ მონაწილეობას და ეგრისის ზღვისპირა ციხეებში აღარც რომაული გარნიზონები იდგა[4]. ეგრისის მეფეები ასეთ ფორმალურ ვასალობასაც ნაკლებად ეგუებოდნენ და მისგან განთავისუფლებასაც ცდილობდნენ[5].

მაგრამ ვითარება შეიცვალა VI ს-დან, როდესაც იმპერატორ იუსტინიანე I დროს (527—565) შინაგანად მომძლავრებულმა ბიზანტიამ უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. იუსტინიანემ ეგრისშიაც უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი, აქაურ ციხეებში გარნიზონები ჩააყენა და ყოველმხრივ ცდილობდა ეგრისზე სრულ გაბატონებას.

მაგრამ ეგრისზე ბიზანტიის მთავარ მოქიშპეს — სასანურ ირანსაც ეჭირა თვალი. ბიზანტიასა და ირანს შორის გამწვავებული ურთიერთობის პირობებში ეგრისს ორივე მხრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობისა და ეკონომიური მდგომარეობის გამო[6].

სწორედ ამიტომ იქცა ლაზიკის ტერიტორია ბიზანტიასა და ირანს შორის ომების ასპარეზად. ეგრისის მიწა-წყალზე ეს ომები თითქმის შეუწყვეტლად მიმდინარეობდა VI ს. 30—60-იან წლებში. სწორედ ამ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით, ლაზიკის სხვა ქალაქთა და ციხე-სიმაგრეთა შორის, ბიზანტიელი ავტორები ასახელებენ ქალაქ ა რ ქ ე ო პ ო ლ ი ს ს.

იმპერატორი იუსტინიანე თავის XXXI ნოველაში აღნიშნავს, რომ არქეო-

---

3 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, 1, 1948, დამატება, გვ. 188—201.

4 ამაზე დაწვრილებით იხ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ეგრისის სამეფოს ისტორია, 1968, გვ. 5—79, აქვეა ლიტერატურა.

5 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. 1, თბ., 1961, გვ. 249—254.

6 ამ მოვლენებზე იხ. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. XXVI—6, 1944, გვ. 87—154.

პოლისი და როდოპოლისი (ქართული ვარციხე) უდიდესი და ძველი ციხე-სიმაგრეებია ლაზიკაში[7], ხოლო პროკოპი კესარიელი წერს, რომ არქეოპოლისი არის მთავარი (თუ უპირველესი — πρώτη) და უდიდესი (μεγίστη) ქალაქი ლაზების ქვეყანაში[8].

ყოველივე ეს ცხადჰყოფს, რომ არქეოპოლისი ეგრისის სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა, ხოლო მისი სახელწოდება — „ძველი ქალაქი" (Ἀρχαιόπολις) და იუსტინიანეს მოტანილი მითითება, მოწმობენ, რომ იგი VI ს. აღმოცენებულ საქალაქო ცენტრს არ წარმოადგენდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ეგრისის სამეფოს დედაქალაქად იქცა თვით ამ სამეფოს წარმოქმნის დროს.

ცხადია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ქალაქის არქეოლოგიური შესწავლა ფრიად საინტერესო იქნებოდა დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ისტორიისა და საერთოდ საქართველოს ისტორიისათვის.

არქეოპოლისის ლოკალიზაცია პირველად მოახდინა დიუბუა დე მონპერემ, რომელიც ეყრდნობოდა პროკოპი კესარიელის აღწერილობას და თვით სახელის („არქაია პოლის" — ძველი ქალაქი) გააზრებას. დიუბუამ არქეოპოლისი დამაჯერებლად გააიგივა ამჟამად ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოქალაქევში მდებარე ძველი ციხე-ქალაქის გრანდიოზულ კომპლექსთან[9]. დიუბუას ეს მოსაზრება გაიზიარეს სხვა მკვლევარებმა და დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ აწინდელ ნოქალაქევში დაცული ქალაქის ნაშთები ძველ არქეოპოლისს ეკუთვნის.

ქალაქის არსებობის ბოლო პერიოდზე მხოლოდ ორი ცნობა გვაქვს შემორჩენილი.

პირველი ცნობა ეკუთვნის ჯუანშერს. იგი აღწერს თუ როგორ გაანადგურა ქართლის ციხენი და ქალაქნი მურვან ყრუმ (736—738 წწ.) და შემდეგ მან „ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იყო სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა..."[10].

მეორე ცნობა ეკუთვნის ვახუშტის, სადაც ვკითხულობთ: „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად წოდებული. ეს აღაშენა ა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით. შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი, და შემდგომად მოოჴრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა"[11].

როგორც ვახუშტის მოტანილი ცნობიდან ჩანს ნოქალაქევი („ნაქალაქევი") გაიგივებულია ციხე-გოჯთან, რომლის აშენებას ლეონტი მროველი ქართლის

7 გეორგიკა, II, 1965, გვ. 35.

8 იქვე, გვ. 182.

9 F. Dubois de Montpéreux, Voyage autour du Caucase.... v. II, Paris, 1839, გვ. 103-105.

10 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 234—235.

11 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 777.

პირველი მეფე ფარნავაზის თანამედროვე ეგრისის ერისთავ ქუჯის მიაწერს[12]. თუ ამ ცნობას დავეყრდნობით ნოქალაქევი ელინისტურ ხანაში უნდა წარმოქმნილიყო. ეს კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ამ ძეგლისადმი და შემსწავლელთა წინაშე აყენებს ამოცანას დაადასტურონ, ან უარყონ, ციხე-გოჯის იდენტურობა არქეოპოლის-ნოქალაქევთან.

ნოქალაქევი მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე. იგი განლაგებულია რთულ რელიეფზე. ქვედა ნაწილი შედარებით სწორ მონაკვეთზეა განლაგებული, ხოლო დანარჩენი ფერდობს მიუყვება და ციტადელს მთის წვერი აქვს მოკავებული. დღეს, რამდენადაც ამის გარჩევა ხერხდება, ქალაქი ზღუდეებით სამ მონაკვეთად იყო დაყოფილი. მთავარი ნაწილი ქვემოთ, მდინარის მაღალ ნაპირთან იყო დაკავშირებული, ხოლო ციტადელსა და ამ ძირითად ნაწილს შორის ვრცელი ეზო ყოფილა შემოფარგლული. ქალაქის ზღუდე და კოშკები ყველგან დაზიანებულია, ხოლო ნაგებობათა დიდი უმრავლესობა მთლიანად დანგრეულია. შედარებით უკეთ გამოიყურება ქვემოთ მდგარი „ორმოცთა" ეკლესია, რომელიც მრავალჯერაა გადაკეთებული[13].

დასაწყისისათვის წელს ექსპედიციის ძირითად მიზანს შეადგენდა გაწმენდითი და დაცვითი სამუშაოების ჩატარება და სტრატიგრაფიის დადგენა. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ყველგან ამის გაკეთება ერთ სეზონში შეუძლებელი იყო. ეს სამუშაოები გაგრძელდება მომავალშიც.

ექსპედიცია თავიდანვე შეუდგა ხეებისა და ბარდნარისაგან ნაქალაქარის ქვედა მონაკვეთის მდინარისპირა ტერიტორიის გასუფთავებას და საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩატარდა. ამათში აღსანიშნავია სამხრეთით თითქმის შუაზე მდებარე კოშკთან ჩატარებული სამუშაოები.

კოშკი ციხის გალავანში ყოფილა ჩართული (I უბანი). გალავანი უკეთაა შერჩენილი აღმოსავლეთის მხარეს, დანარჩენისა კი ყველგან კვალიც არა ჩანს. კოშკისა და გალავნის ნაწილობრივმა გაწმენდამ გამოავლინა, რომ ამ ადგილზე სულ მცირე ექვსი სამშენებლო ფენა მაინცაა. თავდაპირველად აქ რაღაც დიდი ნაგებობა ყოფილა. მისგან დარჩენილია მხოლოდ კედლების საყრდენების ფრაგმენტები. შესაძლოა ეს სასახლის ტიპის კამაროვანი ნაგებობა ყოფილიყო. შემდეგი დროის ნაგებობები ყველა კოშკი ყოფილა. ეტყობა მტერი ანგრევდა, „ეგრი" აშენებდა. უკანასკნელი კოშკის გეგმა ოთხკუთხაა (ზომით: 10,7 × 13,1 მ). მისგან დარჩენილია მხოლოდ პირველი სართულის სამი კედელი. მეოთხე, ჩრდილოეთისა მხოლოდ ნანგრევების დონეზეა გადარჩენილი. მისი კედლების სიმაღლე შიგნიდან 3,3 მ, გარედან კი — 6,3 მ აღწევს. კედლები ნაგებია მცირედ დამუშავებული ყორე ქვით, ხოლო ზემოთ გასდევს ორი რიგი აგურის წყობა (ტაბ. $\mathrm{XXVII}_1$).

კოშკის მთლიანად გაწმენდის შემდეგ შეიძლება ფენები ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს. მანამდე კი უნდა დავკმაყოფილდეთ საერთო თარიღით (V—VII სს.).

გალავნის ის ნაწილი, რომელიც კოშკს აღმოსავლეთით ებჯინება ძირითადად ორი ფენისაგან შედგება. პირველი ფენა დედაქალაქობის დაწყების

---

[12] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 24.

[13] Г. Н. Чубинашвили, К вопросу о Нокалакеви, Вопросы истории Искусства, 1970, გვ. 97—101.

პერიოდისაა, ხოლო მეორე — მისი არსებობის ბოლო პერიოდისა. ქვედა კედელი სქელია (სიგანით — 2,6 მ), ხოლო მეორე — ვიწრო (სიგანით — 0,8 მ), ქვედა კედლის საბრძოლო ბილიკზე ასასვლელი განიერი კიბიდან რამდენიმე საფეხურია დარჩენილი. კიბე თლილი ქვის დიდი კვადრებითაა ნაგები, კედელი კი ყორე ქვაა. ზედა გვიანი კედელი ნაგებია ძირითადად რიყის ქვით, ურევია ყორეც.

ექსპედიციის მთავარ შედეგად და შეიძლება თამამად ითქვას, ქართული არქეოლოგიის დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს აბანოს აღმოჩენა. ჩვენი ჩასვლის წინა დღეებში ნაქალაქარის დასავლეთის განაპირას, გზასთან ახლოს განუზრახავთ ელექტროკიოსკის დადგმა. თხრილის გაკეთებისას ამოუგდიათ კალორიფერის წრიული აგურის ნატეხი. ჩვენთვის ამ მცირე ფრაგმენტითაც ცხადი გახდა, რომ ძველ აბანოსთან გვქონდა საქმე. საჭირო იყო ძეგლის გადარჩენა. წმინდა ადმინისტრაციული საქმეების მოგვარების პარალელურად შევუდექით ძეგლის გაწმენდას. სამუშაოთა მოცულობა ისეთი დიდი და რთული აღმოჩნდა, რომ მთელი სეზონი მოვუნდით და ნაგებობის ძირითადი კედლების გარეთ კიდევ დარჩა მცირედ გასაწმენდი.

ხეების, ჯაგნარისა და ნანგრევებისაგან ამ ფართობის გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ საქმე გვაქვს დიდი ზომის ნაგებობასთან. საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი და გამოქვეყნებული აბანოების (არმაზისხევი, ბაგინეთი, ურბნისი, ბიჭვინტა, შუხუთი, ციხისძირი) შემდეგ ეს მეექვსეა. იგი ამ აბანოებთან შედარებით ყველაზე დიდი, რთული და მრავალფეროვანია.

აბანო ძალზე დანგრეულია და საშენად გამოსადეგი ქვები თითქმის გაუზიდიათ (11 უბანი). გათხრებით გამოვლენილი ნაგებობის გეგმა დაზიანების გამო კარგად არ იკითხება, მაგრამ ძირითადი გარკვეულია (სურ. 1, ტაბ. $XXVII_2$). როგორც ჩვეულებრივად გვხვდება, მისი ერთი ნაწილი ორსართულიანია, ხოლო დანარჩენი — ერთსართულიანი. პირველი ნაწილის ორსართულიანობა გამოწვეულია ქვედა სართულში კალორიფერების მოწყობით.

აბანოს დასავლეთის მონაკვეთს ჯვრის გეგმა აქვს და დიდ ფართობს მოიცავს. როგორც ეტყობა ეს წარმოადგენდა გასახდელ-მოსაცდელს და არ არის გამორიცხული თუ იქვე დაისვენებდნენ ბანაობის შემდეგ. ამ სათავსის აღმოსავლეთის მკლავით შესაძლოა მოხვდეთ ცივი წყლის საბაზანოში. ამ სათავსისა და მოსაცდელის აღმოსავლეთის მხარეს თითო საბანაო სათავსია აფსიდალური დამთავრებით. აფსიდებში აბაზანებია მოწყობილი, რომლებიც ერთმანეთთან კარითაა დაკავშირებული და შემდეგ ისინი ისევ კარითვე უკავშირდებიან ცხელ საბაზანოებს. სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში ასეთი დანიშნულების სათავსო ორი ჩანს. ერთი უფრო მომცროა, მეორე კი — მოზრდილი. სწორედ ამ ორი სათავსის ქვემოთაა მოწყობილი კალორიფერები, საქვაბე კი ამათ გარეთ სამხრეთით უნდა ყოფილიყო (არ არის გამორიცხული, რომ მეორე საქვაბე აღმოსავლეთითაც ყოფილიყო. ეს მხარეები ძალიან დაზიანებულია, მაგრამ მომავალმა გათხრებმა შესაძლოა უკეთ გაარკვიოს).

აბანო ნაგებია თლილი და ფორმამიცემული ქვით. გადახურვა კი კამაროვანი ყოფილა (ამაზე მიგვითითებს კამარის კარგად თლილი ქვები, რომლებიც გათხრების დროს იატაკზე აღმოჩნდა). სავარაუდოა, რომ მოსაცდელის, ჯვრის გეგმის მქონე სათავსის ცენტრი გადახურული ყოფილიყო გუმბათით.

აბანოს იატაკი სხვადასხვა სათავსში სხვადასხვანაირია. კერძოდ, იქ სადაც თბებოდა, ჰიდრავლიკური ხსნარია (დანაყილი აგურით) დასხმული, ცივი წყლის საბაზანოში და აფსიდიან საბაზანოებიდან დასავლეთისაში თლილი ქვაა. ხოლო მოსაცდელ-გასახდელში აგური და კრამიტია თავდაღმა (კრამიტი შეკეთების შედეგი უნდა იყოს).

თბილი საბაზანო სათავსებიდან უფრო პატარაში იატაკი სანახევროდ შემორჩა. ამის მიხედვით კონსტრუქცია შემდეგი სახით წარმოგვიდგება: დიდი ზომის აგური ეყრდნობა კალორიფერის წრიული აგურებისგან შედგენილ სვეტებზე, ამაზე ხსნარია დასხმული, შემდეგ ისევ აგური და ბოლოს — ჰიდრავლიკური ხსნარი. იქვე კედლებზე მიდგმულია გვერდებაკეცილი კრამიტი, რომლებიც სათავსის გასათბობად „რადიატორის“ როლს ასრულებდა.

იმავე სათავსის ჩანგრეულ იატაკიდან ამოვიდა ნახევარი აგური ბერძნული წარწერით, რომელიც ჯერჯერობით საბოლოოდ წაკითხული არ არის.

აბანო გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის კარგი ნიმუშია, ამიტომ საჭიროა მისი კონსერვაცია-რესტავრაცია (ექსპედიციამ ნაწილობრივ ეს სამუშაოები ჩაატარა), გადახურვა მსუბუქი კონსტრუქციით და საექსპოზიციოდ დატოვება.

აბანოს ორი კარი ჰქონია. ორივე კარი ჩრდილოეთის მხარიდან ვესტიბიულის სხვადასხვა სექტორში მდებარეობს, მაგრამ დანიშნულებით განსხვავებული იქნებოდა. შესვლა და გამოსვლა ალბათ ორივეთი შეიძლებოდა, მაგრამ უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, თუ აღმოსავლეთით მდებარე კარით შემოვიდოდნენ და ბანაობის შემდეგ ამ დიდ სათავსში დაისვენებდნენ, ჩაიცვამდნენ.

ნოქალაქევის გათხრებისას საკმაო რაოდენობით იყო გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები, რამდენიმე ექსპონატის გარდა, ექცევა იმავე ფარგლებში, რომელშიცაა ნაგებობები.

ექსპედიციის მიერ რამდენიმე ადგილას ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოებიდან და საცდელი თხრილებიდან ყველაზე მეტი მონაპოვარი აბანოსთან და მის გვერდით გავლებულ თხრილთანაა დაკავშირებული.

ყველაზე ადრეული ხანის კერამიკიდან აღსანიშნავია ერთადერთი ნივთი მოყავისფრო თიხის ამფორის ძირი, რომელიც თარიღდება ჩვ. წ-მდე III—I სს. მისი ანალოგია შეიძლება ვნახოთ ვანში.

რაც შეეხება ყველაზე გვიანი ხანის კერამიკას, ისიც ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ესაა პოლიქრომული, მოჭიქული ფიალის ნატეხი (ტაბ. $XXVIII_4$). ორნამენტი ანგობაზეა ამოკაწრული და ფოთლები შეღებილია სხვადასხვა ფერით. ამ ფრაგმენტის დათარიღება შეიძლება XII—XIII სს.

მონაპოვართა ძირითადი მასალა კი თარიღდება IV—VIII სს. ამ მასალაში განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ყავისფერი თიხის აგდილობრივი ამფორის ნატეხები. ისინი მაღლებია და ოდნავ წელში გამოყვანილი ცილინდრული ფორმა აქვთ (ტაბ. $XXVIII_1$). ყელა ვიწროა და სახელურები პატარებია, როგორც ცნობილია, ასეთი ამფორები თარიღდებიან ძირითადად IV—VI სს. იმავე დროით თარიღდებიან იმპორტული ამფორების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, რომელთა ზედაპირი ნაწილობრივ დაღარულია (ტაბ. $XXVIII_5$) იქვე იყო ნაპოვნი რამდენიმე ქუსლი ე. წ. სამოსური ამფორების, რომლებიც თარიღდება IV ს. თიხა ქარსის მინარევებით ყავისფერია, წმინდა სტრუქტურის, მტკიცე (ტაბ.

XXVIII$_3$). არის აგრეთვე განიერყელიანი იმპორტული ამფორების ნატეხები, რომლებიც დამზადებულია ბაცი თიხისაგან. მათ წარმოშობაზე ჯერჯერობით რაიმეს თქმა ძნელია.

ნოქალაქევში ბლომადაა ნაპოვნი ადგილობრივი პითოსების ნატეხები, რომელთაც მკვეთრად გამოყოფილი ძირები აქვს. მათი ზედაპირი წვრილად, მაგრამ ღრმადაა დაღარული. ასეთი პითოსები ბლომადაა ნაპოვნი გუდავაში, ამიტომ მათი დათარიღება თავისუფლად შეიძლება გვიანანტიკური-ადრეფეოდალური ხანით.

აბანოს შიგნით აღმოჩენილ ნივთთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სარკმლის მინის უამრავი ფრაგმენტი. მათი უმრავლესობის ნაპირები არ არის სწორხაზობრივი, რაც გამოწვეულია დამზადების პროცესით: იწელებოდა, ბრტყელდებოდა, მაგრამ ნაპირები არ იჭრებოდა.. იქვე ნაპოვნია აგრეთვე მინის ფეხიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ფიქრობენ, რომ ამათ იყენებდნენ ჭრაქებად. ასეთი ჭრაქები ფართოდ იყო გავრცელებული IV—VI სს.

აბანოს ტერიტორიაზე ცალკეულ აღმოჩენათა შორის აღსანიშნავია სარტყლის ბალთა, რომელზედაც ფონის ამოკვეთით მოღუნული რქებიანი ცხვრის თავის მაგვარი რელიეფია გამოსახული. ლითონის მასალიდან აღსანიშნავია აგრეთვე პატარა თასი, რომელიც წრიულ ქუსლზე დგას.

იმავე ობიექტზე აღმოჩნდა ანტეფიქსი ჯვრის გამოსახულებით (ტაბ. XXVIII$_2$), ასეთი ანტეფიქსები ნოქალაქევში ადრეც უპოვნიათ. გარე ანალოგიებიდან აღსანიშნავია გუდავაში მოპოვებული ანტეფიქსები.

I უბანზე წელს მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. ქვის ნაყარში აღმოჩნდა მხოლოდ რამდენიმე კერამიკული ჭურჭელი. ამათგან აღსანიშნავია ერთი პითოსი, რომელიც კოშკის იატაკში იყო ჩასმული. იქვე იყო კიდევ ერთი სამოსური ამფორის ძირი, ყელი სახელურებით, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია (ტაბ. XXVIII$_3$).

ექსპედიციის მიერ საცდელი თხრილები გატარდა აგრეთვე ქალაქის აღმოსავლეთის განაპირას, სადაც აღმოჩნდა გვიანანტიკური დროის ჭიშკრის ფრაგმენტები (III უბანი), კედლები ნაგებია კარგად თლილი დიდი კვადრებით.

ახალი სასაფლაოს ტერიტორიაზე გამოირჩეოდა დიდი ნაგებობის ნანგრევები (IV უბანი). საცდელი თხრილების გაკეთების დროს დადგინდა მისი სამსართულიანობა. არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვქონდეს მეფის სამსართულიან სასახლესთან.

როგორც ვხედავთ, ნოქალაქევში გათხრების დაწყებამ ბევრი საინტერესო არქიტექტურული ნაგებობა და არქეოლოგიური მასალა გამოავლინა. იმავე გათხრებით დადგინდა, რომ გაცილებით ბევრი რამ არის მოსალოდნელი, რაც გათხრების გაგრძელების აუცილებლობაზე მეტყველებს.

П. ЗАКАРАЯ, Н. ЛОМОУРИ, В. ЛЕКВИНАДЗЕ

# КРАТКИЙ ОТЧЕТ НОКАЛАКЕВСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ 1973 г.

Отдел средневековой истории и археологии Государственного Музея Грузии им. акад. С. Джанашиа на протяжении десятков лет занимается изучением городищ и селищ Грузии — таких как Урбниси, Дманиси, Греми, Шухути, Носте, Гавази, Гудава, Чаквинджи, Илори, Казрети, Баличи, Самтредо и т. д. Раскопки большинства из перечисленных памятников завершились; некоторые же из них продолжают раскапываться.

О результатах указанных раскопок неоднократно сообщалось на Республиканских и Всесоюзных археологических сессиях. Изучению некоторых из перечисленных памятников были посвящены монографии и статьи. На материале указанных раскопок подготовлены и подготовляются, наконец, квалификационные докторские и кандидатские диссертации. Самое же главное, находки из раскопок указанных памятников оказались основным экспозиционным материалом, на котором была построена выставка «История материальной культуры Грузии IV — XIII вв.» организованная в нашем Музее несколько лет тому назад.

Научные интересы отдела и необходимость пополнения существующей упомянутой выставки обусловили переключение части сотрудников отдела на археологическое изучение памятников Западной Грузии, относящихся к различным периодам. В процессе раскопок, как правило, изучались и окрестности раскапываемого объекта, где велась фиксация близлежащих памятников.

В 1973 г. группа, работающая в Западной Грузии, была переведена Музеем[1] в Нокалакеви (Археополис, Цихе-Годжи)[2]. Как известно, археологические работы здесь велись раньше только в течение одного сезона в 1930—1931 гг. под руководством созданной тогда при Наркомпросе Грузии организационно-консультативной комиссии в составе Ив. Джавахишвили, Г. Чубинашвили, С. Каухчишвили и Г. Ниорадзе. Непосредственно же производили раскопки приглашенный из Германии

[1] Экспедиция работала в следующем составе: П. Закарая (руководитель), Н. Ломоури, В. Леквинадзе (заместители руководителя), Л. Хведелидзе (начальник отряда), М. Яшвили, М. Замтарадзе М. Сакварелидзе (мл. научн. сотрудники). Архитекторами-художниками работали студенты Грузинского Политехнического института З. Жвания, И. Мачавариани, Т. Мерабишвили.

[2] В отличие от большинства имеющихся в Грузии других «Накалакеви» (т. е. городищ), мы считаем необходимым пользоваться мегрельской формой названия указанного пункта, что вполне согласуется с существующей в специальной литературе традицией.

А. Шнайдер и работавшие вместе с ним тогда еще молодые специалисты Г. Гозалишвили и Л. Мусхелишвили. Та экспедиция работала только один сезон и результаты ее носили предварительный характер: были датированы, в частности, две стены — одна IV веком, вторая VI. Кроме того были заложены разведочные шурфы и расчищены некоторые башни, в одной из которых были обнаружены 23 золотые монеты императора Маврикия (582—602 гг.). К сожалению, массовый археологический материал, найденный той экспедицией, полностью утерян, кроме вышеуказанных монет, хранящихся в нашем Музее[3]. После этого археологические раскопки в Нокалакеви не производились.

Здесь же упомянем вкратце историю Нокалакеви и связанные с нею вопросы.

Ко II в. н. э. в центральном районе долины р. Риони (р. Фазис) возникло Эгрисское, или, как его называли римские и византийские писатели, Лазское царство. Во второй половине IV в. Эгрисское царство объединило всю Западную Грузию. На юге его территория доходила до устья р. Чорохи; на севере же включало в себя современную Абхазию и высокогорную Сванетию. Эгрисскому царю подчинялись владетели апсилов, абазгов, санигов, сванов и лечхумцев.

Лазский царь считался вассалом римского императора, однако эта зависимость в IV—V вв. носила формальный характер: эгрисцы не платили дани римлянам и не участвовали в их походах; в эгрисских же прибрежных городах не было уже римских гарнизонов[4]. Однако и эта формальная зависимость тяготила эгрисцев, которые старались избавиться от римской опеки[5].

Такое положение в римско-эгрисских взаимоотношениях изменилось к VI в., когда в эпоху правления императора Юстиниана I (527—565 гг.) Византия достигла своего могущества и стала проводить более активную внешнюю политику. Зависимость Эгриси от Юстиниана усилилась; в здешних приморских крепостях и городах появились византийские гарнизоны и Юстиниан стал предпринимать меры для полного подчинения себе Эгриси. Однако, установить свое господство над Эгриси попытался и Сасанидский Иран, являвшийся основным соперником Византии. В условиях обострившихся византийско-персидских взаимоотношений обе стороны придавали Эгриси большое значение, как со стратегической, так и с экономической точек зрения[6]. Именно поэтому территория Лазики превратилась в арену войн между Византией и Ираном. Эти войны происходили здесь почти без перерыва в 30—60 годах VI столетия. Именно в связи с этими историческими событиями и упоминают византийские авторы Археополис вместе с остальными городами и крепостями Лазики.

Император Юстиниан в своей XXXI новелле отмечает, что Археополис и Родополис (грузинское с. Вардцихе) являются древними и самыми большими укреплениями в Лазике[7]. Прокопий же Кесарийский

---

[3] С. Каухчишвили, Лекции по истории Византии, I., Тбилиси, 1948, приложение, стр. 188—201 (на груз. яз.).

[4] Подробнее об этом см. Н. Ломоури, История Эгрисского царства, Тбилиси, 1968, стр. 5—79 (на груз. яз.); здесь же указана и остальная литература по данному вопросу.

[5] С. Каухчишвили, Георгика, т. I, Тбилиси, 1961, стр. 249—254 (на груз. яз.).

[6] Об этих событиях см. Г. К. Гозалишвили, Борьба между Византией и Ираном за Иберию и Лазику в VI в., Труды ТГУ, т. XXVI-B, 1944, стр. 87—154.

[7] Георгика, II, 1965, стр. 35.

пишет, что Археополис был главным (или первым — πρώτη) и самым большим (μεγίστη) городом в стране лазов[8].

Все это говорит о том, что Археополис представлял собой столицу Лазики. Его название «древний город» (Ἀρχαιόπολις) и соответствующее указание Юстиниана свидетельствуют о том, что он стал городом не в VI в. а раньше. Можно полагать, что он стал столицей Лазики еще в период возникновения этого царства.

Разумеется, археологическое изучение такого города должно представлять собой большой интерес с точки зрения изучения социально-экономической, политической и культурной истории Западной Грузии и вообще всей Грузии в целом.

Археополис был локализирован впервые Ф. Дюбуа де Монпере, исходившим из описания этого города Прокопием Кесарийским и из осмысления самого названия города («Архая полис» = древний город). Дюбуа вполне убедительно отождествил Археополис с грандиозными развалинами городища в с. Нокалакеви, расположенном в современном Цхакаевском районе[9]. С таким отождествлением Археополиса полностью соглашаются все исследователи и теперь никто не сомневается в том, что сохранившиеся в сегодняшнем Нокалакеви развалины принадлежат Археополису.

О конечном периоде существования Археополиса сохранилось только два сообщения. Первое сообщение принадлежит грузинскому летописцу Джуаншеру, который, описывая разрушение городов и крепостей Картли арабским полководцем Мерваном-Кру (в 736—738 гг.), пишет, что последний «узнав об уходе картлийских царей и всей их родни в Эгриси, а затем отсюда в Абхазети, последовал за ними и разгромил все города и крепости страны Эгрисской. И крепость ту трехоградную («сам-згуде») Цихе-Годжи разрушил»[10]. Второе же сообщение принадлежит Вахушти, у которого мы читаем «Ныне выше Сенаки, у подножья [горы] Унагири, находится Накалакеви (буквально «городище» — авт.), именуемое Цихе-Годжи (т. е. «Крепость Годжи» — авт.). Построил его — город и крепость — во времена первого царя Парнаоза — Куджи. И эриставство его включало все земли западнее Риони и Сванетию. Разгромил его Мурван Кру, но оставался городом, а затем город был опустошен. Ныне является крепостью и дворцом Дадианов»[11].

Из приведенного сообщения Вахушти видно, что Нокалакеви (Накалакеви) отождествляется с Цихе-Годжи, сооружение которого Леонтий Мровели приписывает эгрисскому эриставу Куджи, явившемуся современником Парнаваза — первого царя Картли[12]. Если исходить из этого указания, то Нокалакеви должно было возникнуть уже в эллинистическую эпоху, что лишь увеличивает интерес к этому памятнику и ставит перед его исследователями задачу подтвердить или опровергнуть идентичность Цихе-Годжи с Археополисом-Нокалакеви.

Нокалакеви расположено на левом берегу р. Техури. Оно занимает территорию со сложным рельефом. Нижняя его часть располо-

---

8 Георгика, II, 1965, стр. 182.

9 F. Dubois de Montpereux. Voyage autour du Caucase, v. II, Paris, 1839, стр. 103—105.

10 Картлис Цховреба, т. I, Тб., 1955, стр. 234—235 (на груз. яз.).

11 Вахушти, Описание царства Грузинского, Тб., 1973, стр. 777. (на груз. яз.).

12 Картлис Цховреба, т. I, стр. 24.

жена на сравнительно ровном месте, остальная же часть вытянута вдоль склона, причем цитадель занимает вершину горы. Сегодня, насколько это можно установить, город разделен оградами на три части. Главную нижнюю часть города, кроме ограды обороняли с двух сторон и высокие берега реки. Между же нижней частью города и цитаделью была расположена вытянутая территория двора, также окруженная оградой. Городская ограда и башни везде частично разрушены; большая же часть городских сооружений разрушена полностью, за исключением расположенной внизу, несколько раз переделывавшейся церкви «Сорока мучеников»[13].

В начале экспедиция поставила своей основной целью провести в этом году работы по расчистке и по охране различных сооружений памятника, а также установить его стратиграфию. На громадной территории памятника осуществление этих задач повсюду оказалось невозможным, поэтому работы в этом направлении будут продолжаться и в дальнейшем.

Экспедиция начала сперва вырубку деревьев и кустарника в нижней части города и проделала здесь в этом отношении большую работу, выявившую, в частности, остатки фортификационной системы нижнего города с южной стороны. Здесь посредине ограды расположена одна прямоугольная башня (таб. $XXVII_1$). К западу от башни ограда сохранилась очень плохо, к востоку же от башни — довольно хорошо. Уже частичная расчистка в этом месте выявила здесь наличие по крайней мере шести строительных слоев. Первый древнейший слой принадлежит какому-то большому сооружению, от которого сохранились лишь промежуточные опоры стен. Возможно это арочное сооружение было дворцового типа. Следующим, вторым, строительным слоем представлена вся башня. По-видимому, первое здание было разрушено нашествием врагов; эгрисцы же затем вновь соорудили на этом месте прямоугольную упомянутую башню размером 10,7×13,1 м. От этой башни сохранились только три стены первого этажа. Четвертая же стена представлена незначительными остатками. Высота стен башни достигает изнутри 3,3 м, снаружи же 6,3 м. Башня сложена из еле обработанного рваного камня, в верхней же ее части сохранился кирпичный пояс, у которого видно два ряда кирпичей.

После окончательной расчистки башни в ней, может быть, будут установлены точные хронологические слои, теперь же можно говорить лишь о ее приблизительной датировке (V—VII вв.).

Та часть ограды, которая примыкает к башне с востока, состоит в основном из двух слоев. Первый слой относится к эпохе возникновения лазской столицы; второй — к конечному периоду ее существования. Древнейшая стена отличается своей толщиной (2,6 м); последующая же стена менее мощная (0,8 м). От древнейшей ограды сохранилось несколько ступеней от лестницы, по которой поднимались на боевую тропу. Лестница эта построена из громадных хорошо отесанных блоков, сама же стена построена из рваного камня. Поздняя стена построена из голыша с примесью рваного камня.

Основным результатом раскопок этого года в Археополисе является выявление бани, которая может быть смело причислена к одним из интереснейших и важнейших археологических открытий в Грузии (рис. 1, таб. $XXVII_2$). В крайней западной прибрежной части городища у самой дороги местные органы перед самым приездом нашей эк-

[13] Г. Н. Чубинашвили, К вопросу о Нокалакеви, „Вопросы истории искуства", Тбилиси, 1970, стр. 97—101.

спедиции собирались строить электрокиоск. В процессе начавшихся в связи с этим земляными работами здесь были обнаружены фрагменты круглых кирпичей, использовавшихся в калориферах. Таким образом, в этом месте должны были находиться остатки древней бани, которые необходимо было срочно «спасать», с чем были связаны определенные административные хлопоты. Параллельно были начаты в этом месте и раскопки, потребовавшие в этом сезоне от экспедиции много времени и сил. В результате баня была в основном раскопана. Остались невыявленными лишь некоторые ее незначительные детали.

После вырубки леса, кустарника и удаления завала выяснилось, что мы имеем дело с крупным сооружением, которое является в Грузии уже седьмой баней (после Армазисхевской, Багинетской, Урбнисской, Бичвинтской, Шухутской и Цихисдзирской). По сравнению с перечисленными банями Нокалакевская оказалась самой крупной, сложной и интересной.

Баня эта сильно разрушена, так как стены ее были разобраны на строительные нужды. В связи с этим весь план сооружения в деталях до конца не устанавливается. Однако об основных особенностях бани говорить уже можно. Как это бывает обычно, часть помещений в бане двухэтажна, остальные же помещения одноэтажные. Наличие двух этажей у помещений обусловлено устройством калориферов. Западная часть бани имеет крестообразную форму плана и большие размеры. Как видно, здесь находился вестибюль с раздевалкой, где можно было, по-видимому, и отдохнуть после купания. Из восточного рукава этого помещения можно было попасть в холодную баню с бассейнами. К югу от вестибюля и холодной бани находятся два сообщающихся помещения, одна сторона у которых снабжена абсидами с устроенными в них ваннами. К юго-востоку от перечисленных помещений расположена горячая часть бани, под которой и был устроен калорифер — подпольная отопительная система. Горячая часть бани состоит из двух помещений, у внешних стен которых были устроены топки, над которыми должны были находиться котлы с горячей водой. Именно внешние стены горячих отделений бани и сохранились хуже всего, однако не исключено, что углубив в дальнейшем с этой стороны раскоп мы выявим много новых деталей.

Баня сложена из мелких хорошо обработанных квадров. Перекрытия у нее были сводчатыми. От сводов и арок сохранились клинья, которые были обнаружены во время раскопок на полу бани. Возможно, что центральная часть крестообразного вестибюля была перекрыта даже куполом. Полы в бане были выложены различными способами и материалами. В вестибюле настил пола состоял из кирпичей и черепицы (соленов), обращенной бортиками книзу. В холодном отделении бани и в двух помещениях с абсидами настил пола состоял из больших прямоугольных каменных плит. Многослойные же полы со слоями гидравлического раствора (с примесью толченной керамики) и кирпичей применялись в тех помещениях бани, где пол подогревался снизу. Этот пол сохранился частично в маленьком помещении горячей бани, где хорошо видно, как столбики калорифера, сложенные из круглого кирпича, перекрывались сперва большими прямоугольными кирпичами, затем эти кирпичи заливались гидравлическим раствором, который затем вновь покрывался кирпичем, затем и эти кирпичи также заливались раствором. Стены же помещений с такими полами выстилались изнутри черепицей (соленами), за которыми также циркулировал горячий воздух, обогревавший стены.

В развалинах маленького отделения горячей бани был обнару-

жен обломок одного кирпича с греческой надписью, которая нуждается еще в окончательной расшифровке.

Вся баня является прекрасным позднеантичным или раннесредневековым образцом сооружений этого рода, поэтому ее необходимо консервировать, реставрировать (что экспедиция уже частично проделала), перекрыть легкой конструкцией и сделать объектом осмотра.

У бани, а именно у вестибюля, имелись две наружные двери, обращенные к северу. Возможно эти, двери имели различное назначение. Более удобной для посетителей была бы, несомненно, западная дверь, так как именно она «обслуживала» весь вестибюль, а не только его часть, как это наблюдается в отношении второй двери.

В процессе раскопок этого года в Археополисе был выявлен и довольно обильный массовый археологический материал, укладывающийся, за исключением нескольких находок, в те же хронологические рамки, которыми датируются и городские сооружения.

Экспедиция провела расчистки и заложила разведочные раскопы в нескольких местах, однако больше всего находок было сделано в бане и в окружающей ее траншее. Древнейшей находкой этого года является пока только одно массивное донышко местной амфоры из коричневой глины, которое можно датировать III—I вв. до н. э. (рис. 4). Такого типа амфоры известны, например, из находок в Вани.

Позднейшей из наиболее хорошо датируемой вещью, найденной возле бани, является черепок глазурованной полихромной чаши с выгравированным по ангобу и раскрашенным орнаментом (таб. $XXVIII_4$). Черепок этот датируется XII—XIII вв.

Основная же масса датирующихся находок из бани (II — раскоп) укладывается в рамки IV—VI вв. н. э. Это главным образом особенно многочисленные здесь черепки от местных амфор из коричневой глины, имеющихся вытянутую, почти цилиндрическую, форму корпуса с небольшим перехватом посредине (таб. $XXVIII_1$). Горлышки и ручки у них маленькие. Такие амфоры датируются, как известно, в основном именно IV—VI вв. н. э. К этому же времени относятся к сожалению очень фрагментированные многочисленные черепки импортных амфор с глубоким и частым рифлением поверхности верхней части корпуса (таб. $XXVIII_5$). Найдено было здесь и несколько донышек от импортных, так называемых самосских амфор, датирующихся уже только IV в. н. э. (таб. $XXVIII_3$). Глина этих амфор тоже коричневая, но тонко отмученная, твердая и с примесью слюды. Имеются также и черепки других импортных светлоглиняных широкогорлых амфор, о происхождении которых пока трудно что-либо сказать.

Очень много найдено в Археополисе черепков от местных пифосов, имеющих резко выделенное донышко, и поверхность с частым, но очень неглубоким рифлением. Такие пифосы известны, например, и среди Гудавских находок, так что их теперь смело можно датировать позднеантичным и раннесредневековым временем.

Среди находок в бане особо следует отметить громадное количество обломков от оконного стекла, которое в целом виде имело прямоугольную форму с неровными краями, обусловленными тем, что стекло это при изготовлении растягивалось щипцами и не обрезалось. Найдено было в бане и несколько ножек от стеклянных рюмкообразных сосудов. Полагают, что эти сосуды являлись светильниками. Такие сосуды имели очень широкое распространение в IV—VI вв. н. э.

Из единичных находок в бане и возле нее следует отметить медный наконечник ремня, украшенный выгравированным орнаментом в виде стилизированной бараньей головы; медную поврежденную ча-

шечку с кольцевым поддоном и антефикс с изображением креста (таб. XXVIII$_2$). Такие антефиксы находились в Нокалакеви и раньше. Точные аналогии им известны из находок в Гудаве.

На I раскопе (в котором находилась вышеупомянутая прямоугольная башня) велись, в основном, подготовительные работы по расчистке завала камней, среди которых было найдено лишь несколько керамических вещей. Из них заслуживают внимания поломанный пифос, частично закрытый в пол башни. Здесь же было найдено еще одно донышко самосской амфоры и пока единственное среди находок 1973 г. горлышко с ручками от такой же амфоры (рис. 8).

Разведочный раскоп был заложен экспедицией в восточной окраине нижней части города (III раскоп), где были обнаружены остатки позднеантичных ворот города, сложенные из громадных хорошо отесанных квадров.

На территории же современного кладбища (IV раскоп) началась расчистка громадного сооружения, где разведочный шурф показал, что у этого здания было три этажа. Не исключена возможность, что здесь находился царский дворец.




სურ. 1. ნოქალაქევი. აბანოს პირველი და მეორე სართულის გეგმა.
Рис. 1. Нокалакеви. Баня; план первого и второго этажа.

Все вышеизложенное свидетельствует о том, что начавшиеся археологические раскопки в Нокалакеви выявили много интересных сооружений и важный археологический материал. Эти раскопки показали, что здесь может оказаться и гораздо больше памятников. Таким образом, продолжение здесь раскопок крайне необходимо.

# ᲢᲐᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

## ხრამის დიდი გორა

I. 1. ბორცვის საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.
2. საძიებო თხრილის ხედი აღმოსავლეთიდან; გვიანი ხანის მიწურების ნაშთები (1972).
3. საძიებო თხრილის ხედი ჩრდილოეთიდან. ადრესამიწათმოქმედო ფენის ზედა საამშენებლო ჰორიზონტები (1972).

II. გათხრილი ფართობის საერთო ხედები ჩრდილოეთიდან (1973).

III. თიხის ანთროპომორფული ფიგურები.

IV. ძვლის იარაღის ნიმუშები.

V. რქის კვერთხისთავები, ნამგლის ბუდე და ძვლის ისრისპირი.

VI. ქვისა და თიხის ჭურჭლის ნიმუშები.

## ახჩია

VII. ყორღანი № 14; კამერის ხედი.

VIII. 1. ყორღანი № 13; კამერის ხედი.
2. ყორღანი № 15; კამერა.

## ნოსირის ბორცვი

IX. 1. დიდი თხრილის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე (წინა პლანზე) და N—SA თხრილის ჩრდ. ნაწილი ძელური ნაგებობით (უკანა პლანზე, მარჯვნივ); ხედი ჩრდილოეთიდან.
2. N—SA თხრილის ჩრდ. ნაწილი ძელური ნაგებობით; ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
3. N—SA თხრილის ჩრდილოეთი ნაწილი ძელური ნაგებობით; ხედი სამხრეთიდან.
4. ძელური წყობა N—SA თხრილის შუა ნაწილში; ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

X. 1. ძელები N—SA თხრილის სამხრეთ ნაწილში; ხედი ჩრდილოეთიდან.
2. ვიწრო თხრილი N—SA თხრილის სამხრეთ ნაწილში; ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

XI. კერამიკა II—III კულტურული ფენებიდან.

XII. კერამიკა III—IV კულტურული ფენებიდან.

## სამადლო

XIII. 1. სამადლო I. საკურთხევლიანი სათავსო; ხედი სამხრეთიდან.
2. ციხედიდი. სამარხი № 1.
3. თხოთის ქედი. კერამიკული ფილა.
4. თხოთის ქედი. ქვის სტელა.

XIV. 1. დედოფლის მინდორი. სარკის წმ. გიორგის ნიში.
2. დედოფლის მინდორი, I უბანი; № 1 კაპიტელის ნატეხები.
3. თრიალეთის ქედი. სარკის წმ. გიორგის ეკლესია.
4. დედოფლის მინდორი. კაპიტელის ნატეხები სიმინდის ყანაში.

## კაზრეთი

XV. 1. ბალიჭის სამაროვანი, სამარხები № 6, 9 და 10.
2. ბალიჭის სარკოფაგში აღმოჩენილი ოქროს ნივთები.

XVI. 1, 2. სამტრედო. „აგურის ნაგებობა“.

XVII. 1, 2. კაზრეთი. „საცხოვრებელი სახლების“ საამშენებლო უბანზე № 1 ორმოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ენახოე და მინის სანელსაცხებლე.

XVIII. 1, 2. კაზრეთი. „პურის საცხობის“ საამშენებლო უბანზე აღმოჩენილი სამარხი № 4 — სამარხის თავზე ნაყარი ქვები და სამარხის ორმო პრეპარაციის შემდეგ.

### არეშის ნაქალაქარი.

XIX. გათხრილი ფართობის გეგმა.
XX. 1. სამარხი № 7; საერთო ხედი.
2. სამარხი № 7; დეტალი.
XXI. ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები ქართული წარწერებით, აღმოჩენილი ეკლესიის გათხრის დროს.
XXII. სამარხეული თიხის ჭურჭელი.
XXIII—XXIV. კულტურულ ფენაში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი და მოჭიქული ჭურჭლის მინაბაძები.

### ნოქალაქევი

XXVII. 1. არქეოპოლისის ქვედა ნაწილის სამხრეთი კოშკი.
2. აბანოს საერთო ხედი.
XXVIII. 1. „წელში გამოყვანილი" ამფორის ყელი.
2. ანტეფიქსი.
3. ე. წ. სამოსური ამფორის ფრაგმენტი.
4. მოჭიქული ჯამის ნატეხი.
5. ღარული ზედაპირიანი ამფორის ნატეხი.

## ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

### Храмис Диди гора

I. 1. Общий вид холма с юго-запада.
2. Общий вид разведочного раскопа с востока. Остатки землянок позднего времени (1972).
3. Общий вид разведочного раскопа с севера; верхние строительные горизонты раннеземледльческого слоя (1972).
II. Общий вид раскопа с севера (1973).
III. Глиняные антропоморфные фигурки.
IV. Образцы костяных орудий.
V. Навершия булав и обоима серпа из рога; костяной наконечник стрелы.
VI. Образцы каменных и глиняных сосудов.

### Ахчиа

VII. Курган № 14; вид камеры.
VIII. 1. Курган № 13; вид камеры.
2. Курган № 15; камера.

### Носирский холм.

IX. 1. Юго-западный угол большого раскопа (на переднем плане) и сев. часть траншеи —N-SA с бревенчатым сооружением; вид с севера.
2. Северная часть траншеи N-SA с бревенчатым сооружением; вид с севера.
3. Северная часть траншеи N-SA с бревенчатым сооружением; вид с сев.-востока.
4. Бревенчатая кладка в средней части траншеи N-SA; вид с юга.
X. 1. Бревна с южной части траншеи N-SA; вид с юго-востока.
2. Узкий раскоп в южной части траншей N-SA; вид с севера.
XI. Керамика из II—III культурных слоев.
XII. Керамика из III—IV культурных слоев.

## Самадло

XIII. 1. Самадло I. Помещение с жертвенником; вид с юга.
2. Цихедиди. Погребение № 1.
3. Тхотский хребет. Керамическая плита.
4. Тхотский хребет. Каменная стелла.

XIV. 1. Дедоплис миндори. Молельня Саркского св. Георгия.
2. Дедоплис миндори, 1 участок; фрагменты капители № 1.
3. Триалетский хребет. Церковь Саркского св. Георгия.
4. Дедоплис миндори. Фрагменты капители в кукурузном поле.

## Казрети

XV. 1. Баличский могильник; погребения № 6, 9 и 10.
2. Золотые украшения из баличского саркофага.

XVI. 1, 2. Самтредо. «Кирпичное здание».

XVII. 1, 2. Казрети. Бронзовый энохои и стеклянный бальзамарий, найденные в яме № 1 на строительном участке «жилых домов».

XVIII. 1, 2. Казрети. Погребение № 4 на строительном участке «пекарни» — камни под могилой и погребальная яма.

## Городище Арешн

XIX. План раскопа.

XX. 1. Погребение № 7; общий вид.
2. Погребение № 7; деталь.

XXI. Фрагменты плоской черепицы с грузинскими надписями, найденные во время раскопок церкви.

XXII. Глиняные сосуды из погребений.

XXIII—XXVI. Глазурованная посуда и имитация глазурованной посуды из культурных слоев.

## Нокалакеви

XXVII. 1. Южная башня нижней части Археополиса.
2. Общий вид остатков бани.

XXVIII. 1. Горло амфоры с перехватом.
2. Антефикс.
3. Фрагмент «самосской» амфоры.
4. Черепок глазурованной чаши.
5. Черепок амфоры с рифленной поверхностью.







ტაბულა II

















1



2



3



4

ტაბულა VIII






1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11









1



2



3

4





1



2



3



4
















N 2
N 3
N 1
N 8
N 7
N 4
N 9
N 6
N 10
0
2
10
20

ტაბულა XX







ტაბულა XXII





ტაბულა XXIV







ტაბულა XXVI











# სარჩევი


დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972—1973 წწ. ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები . . . . 5

ლ. ღლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1972—1973 წწ.) . . . . . 22

ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—73 წლების მუშაობის ანგარიში . . . . . 41

ე. გოგაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. საგინაშვილი, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—73 წლების მუშაობის ანგარიში . . . . . . 47

ი. გაგოშიძე. სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის ანგარიში 59

მ. სინაურიძე, 1972—1973 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 75

ლ. ჭილაშვილი, არეშის ნაქალაქარის არქეოლოგიური დაზვერვები . . . . 89

პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, ნოქალაქევის ექსპედიციის 1973 წ. მუშაობის მოკლე ანგარიში . . . . . . . . . . 97

ტაბულების აღწერილობა . . . . . . . . . . , . . 111

# АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

## IV

დაიბეჭდა საქართველოს სს... ცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო ...ბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ალ. ჯავახიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი დ. ერისთავი

გადაეცა წარმოებას 28.5.1975; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.12.1975;
ქაღალდის ზომა $60\times90^1/_{16}$; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 12.60;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.98;
უე 01175; ტირაჟი 600; შეკვეთა № 1941
ფასი 1 მან. 05 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР. Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19